კულტურის

ჰრეოგრაფიები ბიბლიოთეკებისათვის

ბიბლიოთეკების, საზოგადოებისა და კულტურის დაკავშირება

დებორა ბ. რობერტსონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულტურის
პროგრამები
ბიბლიოთეკებისათვის

ბიბლიოთეკების, საზოგადოებისა და
კულტურის დაკავშირება



დებორა ა. რობერტსონი

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი

პროგრამების ოფისი

სიუზან ბრანდეჰოფის, მერი დევის ფურნიეს და ლაურა
ჰაიესის დახმარებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან თარგმნა მაია სიმონიშვილმა
რედაქტორები: ლეილა ზამბახიძე
ლაშა გველესიანი, ლილი საყვარელიძე
დამკაბადონებლი: თამარ ხახუტაშვილი
დაიბეჭდა: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მხარდაჭერით
ISBN: 978-9941-9160-6-9
©2005 ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია
© 2010 საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია (ქართულენოვანი გამოცემა)

Copyright@ 2005 by the American Library Association.
All rights reserved except those which may be granted by
Sections 107 and 108 of the Copyright Revision Act of 1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მადლობა ..... *v*

წინასიტყვაობა ..... *vii*

1. კულტურის პროგრამების ჩამოყალიბება 1
2. დაგეგმვა: მიზნებიდან შეფასებამდე და პირიქით 11
3. მონაწილეობის უზრუნველყოფა: აუდიტორიისა და ინტერაქტიული ჩართულობის განვითარება 27
4. თანამშრომლობა 35
5. ციკლები, ფორმატები, თემები და შერწყმული პროგრამები 48
6. ტალანტი და წარმოდგენა 71
7. კულტურის პროგრამების დაფინანსება 83
8. მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა პროგრამებისთვის 91

დასკვნა 111

დანართი: ხუთვარსკვლავიანი პროგრამები 115

ლიტერატურა 132

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა

წიგნზე ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისი მრავალ კერძო პირსა თუ ორგანიზაციასთან ერთად მუშაობდა, რომლებმაც მთავავგიონეს და მოგვაწოდეს შესაბამისი მასალა. მათ შორის არიან: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის ოფისის ყოფილი და დღევანდელი თანამშრომლები: ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის თანამშრომლები, ბრენდა ბარერა, სიუზანნ ბრანდეჰოფი, მერი დევის ფურნიე, პამელა გუდესი, ლაურა ჰაიესი, მარა კარდუკი, ოდრი ჯონსონი, მელინდა ლითლი, მარშა მორგანი და სოფია პეტერსონი; ინტერნი მიშელ ტრუმანი; კონსულტანტი ქრისტინე უოტკინსი და დებრა ვილკოქს ჯონსონი; აგრეთვე, ის ხუთი ათასზე მეტი ბიბლიოთეკარი, რომლებიც საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის საგრანტო პროგრამებსა და ინიციატივებში მონაწილეობდნენ.

განსაკუთრებული მადლობა შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს: ანდრეა ანდერსონს, სალი ანდერსონს, ფრენსის ოშბორნს, პეგი ბარბერს, კლიფ ბეკერს, მერლინ ბორიას, დიანა ს. ბრეიდის, ლიი ბრიკეტის, მეტ ბროგანს, მერი კარლოგმაგნოს, მარლენ ჩემბერლეინს, პეტ ჩესტერს, ნატალი კოლს, იუდით კუპერს, კეთლინ დე ლა პენა მაკლუკს, სტიუარტ დიბეკს, რივა ფეშბახს, რიჩ გეიჯს, პატრიკ გოლდენს, ჯეიმი გორდონს, ტიმ განს, რუთ ჰამილტონს, რობელ ჰარტმანს, მარიანა ჰართველს, ჯერალდ ჰოდჯს, ლინდა ჰოლთსლანდერს, ბარბარა იმროთს, დებორა ჯაკობსს, ჰელენ კლავიტერს, მარსია კუსცმაულს, მილდრედ ლარსონს, სარა ან ლონგს, ჯილ მაკკორლკს, დუაით მაკინეეილს, ესთერ მაკინტოშს, კაროლინ მარგოლის, სალი მეისონ-რობინსონს, დიანა ვუდ მიდდბრუკს, ე.ეთელბერტ მილერს, ალან მურს, შეილა მარფის, ჯორჯ ნიდჰემს, ჯოსეფ პარისის, ჯენიფერ პაუსტენბაფს, ნენსი პეარლს, თომას ფელპს, სიუზან რიჩარდს, ჯიმ როს, რეა რუბინს, სიუზან საიდენბერგს, სკოტ რასელ სანდერს, მაიკლ სარტისკის, მართა სიუელს, სემ სილვიოს, ჯეკი სლაიითს, ლიი სმითს, ლინდა ს. სმითს, ვალერის სმითს, ვირჯინია სტენლის, ბარბარა სტაუფერს, ილან სტევანს, ინა სტერნს, ლუ სტორის, ვიქტორ სუენსონს, იუდით ტენბაუმს, ჰერმან ვიოლას, ნატალი ვაიკარტს, კოლსონ ვაითჰიდს, სტიუარტ ვილსონს, კევინ იანგს, სტეფან იუნგს, დევიდ ზაიდბერგს.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციას, Annenberg/CPB პროექტს, „Barnes & Nobles“, 21-ე საუკუნის არჩევანი/ზრაუნის უნივერსიტეტს, სახელმწიფო ჰუმანიტარული საბჭოების ფედერაციას, ფლოსმერის (ილინოისი) საჯარო ბიბლიოთეკას, ჯონ ს. და ჯეიმს ლ. ნაიტების

ფონდს, ლუისიანას ჰუმანიტარული განვითარების ორგანიზაციას, მინესოტას ბავშვთა მუზეუმს, ხელოვნების განვითარების ეროვნული სააგენტოს, ეროვნული სამედიცინო ბიბლიოთეკას, ეროვნული ვიდეორესურსების ცენტრს, ნექსთბუქს, ჟურნალის „პოეზია"/თანამედროვე პოეტთა ასოციაცია (პოეზიის ფონდი), პოეტთა სახლს, საჯარო ბიბლიოთეკათა ასოციაციას, რობერტ ვუდ ჯონსონის სახელობის ფონდს, სმითსონის ინსტიტუტს, ილინოისის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებათა უმაღლეს/სამაგისტრო სკოლას, ვერმონტის წიგნის ცენტრს, ვერმონტის ჰუმანიტარულ საბჭოს და უოლესის ფონდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

კულტურა ეწოდება ყველაფერს, რაც ადამიანებს აინტერესებთ – მათ აზრებს, მათ მოდელებს, წიგნებს, რომლებსაც ისინი კითხულობენ და გამოსვლებს, რომლებსაც ისმენენ, მათ საუბრებს, კამათს, ისტორიულ აზროვნებასა თუ სამეცნიერო სემინარებს, მათ ფასეულობებს, მათთვის იდეალური ცხოვრების ხარისხს. ყველა საზოგადოებას აქვს კულტურა, ეს მათი ცივილიზაციის კლიმატია.

- ვალტერ ლიპმანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვენს წინაშეა წიგნი – „კულტურის პროგრამები ბიბლიოთეკებისათვის“ და კულტურის პროგრამების სამყარო. ეს წიგნი თქვენთვის შეიქმნა, თუ ეს თქვენი საქმიანობაა ან დაინტერესებული ხართ ისეთი კულტურის პროგრამების განვითარებითა და პრეზენტაციით, რომელთა მიზანი სცილდება აუდიტორიის ფორმალურ სწავლებას და მიმდინარეობს საჯარო, აკადემიურ, სასკოლო თუ ნებისმიერი სხვა ტიპის ბიბლიოთეკებში. თუ კულტურის პროგრამების მაყურებელი, დაგეგმვის ჯგუფის წევრი ან თავად პროგრამის შექმნის მონაწილე ხარო, შესაძლოა, ჯგუფის ლიდერი ხართ, ან ერთი პიროვნების შოუს ანიჭებთ უპირატესობას.

თუ ბიბლიოთეკის, როგორც კულტურის ცენტრის გაფართოებაზე მუშაობთ და თქვენი უნარ-ჩვევების განვითარება, საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, შემოქმედებითი უნარების დახვეწა გსურთ, უთუოდ დაგჭირდებათ შესაბამისი საშუალებები და შთაგონება. ეს წიგნი იმისთვის შეიქმნა, რომ ახალბედებს საბაზისო ინფორმაცია მიაწოდოს, ხოლო პროგრამის გამოცდილ სპეციალისტებსა და ექსპერტებს ახალი შესაძლებლობები უჩვენოს.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო იმ მოძრაობის შედეგია, რომელიც წლების განმავლობაში ვითარდებოდა მრავალი პროგრამის, ინიციატივის, ორგანიზაციების ხელშეწყობით; უპირველეს ყოვლისა, საქმის ერთგული იმ მრავალი ადამიანის დახმარებით, რომელთა მიზანი კულტურის პროგრამების, როგორც ყოველი ტიპის საბიბლიოთეკო მომსახურების შემადგენელი ნაწილის განვითარება არის.

„კულტურის პროგრამები“ მოიცავს ხელოვნებას, მეცნიერებას, ჰუმანიზმსა და საზოგადოებრივ დიალოგს, რასაც ამდიდრებს მოვლენები: ხელოვანთა პერფორმანსი, ინტერპრეტაციული გამოფენები და ლიტერატურული დისკუსიები. კულტურის პროგრამების აუდიტორია მოიცავს ზრდასრულებს, ახალგაზრდებსა და ოჯახებს, ხოლო ბავშვებისთვის უკვე არსებობს მრავალი სპეციალური რესურსი.

ბიბლიოთეკის კულტურულ პროგრამებს ხანგრძლივი ისტორია აქვს და ცვალებადი საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად დღესაც ვითარდება. ამ კულტურის ცენტრისა და მისი პროგრამის როლი სცილდება ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო მისიას და სოციალური თუ საგანმანათლებლო ტენდენციების პარალელურად ვითარდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში საჯარო ბიბლიოთეკების დაარსება მე-19 საუკუნის შუა წლებსა და მეორე ნახევარში დაიწყო, რაც დაკავშირებული იყო ისეთ საზოგადოებრივ მოვლენებთან, როგორებიცაა: ჩაუთაუქუას მოძრაობა, უნივერსიტეტის გაფართოება, ინტელექტუალური საქმიანობისთვის კლუბებისა და საზოგადოებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობით ზრდასრულთათვის ცნობილი საბიბლიოთეკო პროგრამების შექმნით ყველა ტიპის ბიბლიოთეკა დიდი წარმატებით ავითარებს კულტურის პროგრამების მრავალფეროვან ფორმატს. ამ წიგნის მისია შესრულდება, თუ პროგრამების დონე გასცდება ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოთეკების ქომაგების მიერ ბიბლიოთეკისთვის, როგორც კულტურის ცენტრისთვის მინიჭებულ მასშტაბს საზოგადოებაში.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის (PPO) საქმიანობა, რომელსაც, ძირითადად, ეფუძნება ეს წიგნი, გვიჩვენებს, რომ ბიბლიოთეკებში არსებობს ეფექტური პროგრამების ფართო სპექტრი, რომელიც ამ წიგნში განხილულ ისტორიებსა და მაგალითებში აისახება. საზოგადოებრივი პროგრამების ოფისი მიზნად ისახავს ბიბლიოთეკარების მხარდაჭერას გააზრებული დაგეგმვის, მრავალფეროვანი პროგრამების მომზადების, განმცხადებელთა მოზიდვის საკითხებში, პროფესიონალურ მარკეტინგში, ისეთი აუდიტორიის განვითარებაში, რომლის წევრებიც არ იქნებიან მხოლოდ ტრადიციული მკითხველები; ოფისი ბიბლიოთეკარებს ეხმარება პროგრამების ისეთი ციკლების შექმნაში, რომლებიც ინდივიდებს მნიშვნელოვან დიალოგსა და საგანმანათლებლო პროცესში ჩართავს.

უფრო დეტალურად, ეს წიგნი გვიქმნის მუშაობის საფუძველს, გვასწავლის პრაქტიკულ ნაბიჯებსა და გვაწვდის იდეებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკის შესაძლებლობების გაზრდას სხვადასხვა თემატიკის ბრწყინვალე კულტურის პროგრამების შექმნისთვის, ნებისმიერი კულტურის წარმომადგენელი ფართო აუდიტორიისთვის – ზრდასრულთათვის, ახალგაზრდებისა და ოჯახებისთვის. ამ წიგნში ბიბლიოთეკის მენეჯერები, თანამშრომლები და მოხალისეები გაეცნობიან, თუ როგორ არის შესაძლებელი საზოგადოების მოთხოვნილებებისა და ინტერესების შესწავლა, მიზნების დასახვა და სავარაუდო შედეგების განსაზღვრა; ასევე, პარტნიორობის განვითარება, რომლის შედეგი იქნება მაღალი ხარისხის, კარგი დასწრების მქონე პროგრამები. მკითხველები ისწავლიან, თუ როგორ გამოიყენონ ეს პროგრამები ბიბლიოთეკის კოლექციის გაზრდის, გამუქებისა და აქტიურად გამოჯენებისთვის; ასევე, როგორ მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება და მოიპოვონ მხარდაჭერა კულტურის პროგრამების საშუალებით.

ბიბლიოთეკებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ დაფინანსებულ კულტურულ პროგრამებში, ეფექტური პრომოსთვის მრავალი სხვადასხვა სახის მასალა მოამზადეს. ასეთი მასალების მაგალითები წიგნში ჩართულია ილუსტრაციების სახით და, შეიძლება, სახელმძღვანელო ნიმუშებად ჩაითვალოს.

ამ წიგნში ასევე განხილულია: პროგრამებისთვის დაფინანსებისა და კეთილი ნებით შემოწირულობების მოზიდვის, სასურველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების მქონე წამყვანების მოძიებისა და მათი მასპინძლობის საკითხი, პროგრამების უარყოფითი და დადებითი ასპექტები, წარმატებული პროგრამების მაგალითები და არსებული მოდელები. და ბოლოს, ეს წიგნი გაგაცნობთ პროგრამების დაგეგმვისა და დაფინანსებისთვის აუცილებელ დამატებით რესურსებს.

საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის თანამშრომლების რჩევაა, გამოიყენოთ ეს რესურსები და ვებ-გვერდები (www.ala.org/publicprograms/orc/), დაესწროთ პროგრამებსა და კონფერენციებს მომავალი პროფესიული განვითარებისა და ქსელური მუშაობისთვის, შეიტანოთ განაცხადი ოფისის მიერ წარმოდგენილი გრანტებისთვის, ისარგებლოთ თანამშრომელთა რესურსებით, გაგვიზიაროთ თქვენი გამოცდილება.

გისურვებთ წარმატებასა და კარგ პროგრამებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი I

კულტურის პროგრამების ჩამოყალიბება

ისწავლე, ვიდრე ცოცხლობ
– დუ ფორი, 1608

ისწავლე ახალგაზრდამ, ისწავლე კარგად;
ისწავლე ასაკოვანმა, ისწავლე მეტი

– შოტლანდიური ანდაზა

In celebration of the exhibition and in
appreciation for the hard work and generosity
of all those who have made it possible,

Please join us for a reception
to mark the opening of
Elizabeth I: Ruler and Legend
at the Newberry Library

Friday, the third of October
two thousand and three
half after five in the evening
The Newberry Library
Towner Fellows' Lounge
60 West Walton Street
Chicago, Illinois 60610

cocktails and hors d'oeuvres
followed by a short gallery walk with the curator

R.S.V.P. by September 26 to Dina Spoerl
at 312.255.2539 or spoerld@newberry.org
Parking is available in the Newberry's lot

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ბიბლიოთეკაში კულტურის პროგრამების ჩამოყალიბება წარმატების უზრუნველყოფის ერთ–ერთი მთავარი კომპონენტია. თქვენი ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია, საბჭო, დამფინანსებელი სააგენტოები თუ საზოგადოების წევრები უნდა დაარწმუნოთ, რომ კულტურის პროგრამები და დიალოგი თემთან მნიშვნელოვანია და მხარდაჭერას იმსახურებს. შეიძლება, დაგიხვან კითხვა: რატომ უნდა აიღოს ბიბლიოთეკამ ეს პასუხისმგებლობა? ვინ მოიგებს ამით? რა და რატომ არის საჭირო? რამდენად კარგად არის ბიბლიოთეკა მომზადებული კულტურის პროგრამების განსახორციელებლად? რამდენად შეესაბამება ეს პროგრამები ბიბლიოთეკის მიზნებს?

ბიბლიოთეკის როლი და მისია საზოგადოებასა და განათლებაში

ბიბლიოთეკის ძირითადი მისიაა მუდმივი განათლების ან მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის პირობების უზრუნველყოფა: ყველა ტიპის ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანა არის, დაეხმაროს მომხმარებელს განათლების მიღებაში. თავდაპირველად, ბიბლიოთეკები საყოველთაო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის შეიქმნა. ბიბლიოთეკები უნიკალურად არის აღჭურვილი ინფორმაციის მიწოდებისა და ამ ინფორმაციის შინაარსობრივი დტვირთვისთვის. შერჩევით, კოლექტირებით, ორგანიზებით, დაცვითა და კულტურის სფეროდან მნიშვნელოვანი მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით ბიბლიოთეკარები თავიანთ ორგანიზაციებს კულტურის პროგრამებისთვის სიცოცხლისუნარიან ადგილად აქცევენ. პირდაპირი საჯარო ლექციებით, წიგნებითა და ფილმებით, მწერლებთან შეხვედრებითა და ხელოვანთა ღონისძიებებით, მოძრავი გამოფენებითა და სხვა კულტურის პროგრამებით ბიბლიოთეკა ხელს უწყობს საზოგადოებრივ დიალოგს.

დღევანდელ „ონლაინ" სამყაროში ბიბლიოთეკები და მათი შენობები ისევ რჩება კონტაქტების, საზოგადოებრივი თავშეყრისა და კულტურის ადგილად. საზოგადოებას სჭირდება ადგილები, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი ინტერესების შესაბამისი პროგრამები, აუდიტორიას – ადგილი, სადაც მისი წევრები თავს სასურველ სტუმრად, კომფორტულად იგრძნობენ; მწერლებს, ხელოვნებს, წამყვანებს, მეცნიერებს, სხვა კულტურის წარმომადგენლებს და მიმწოდებლებს – ადგილი, სადაც პირადად წარმოადგენენ, თავიანთ ნაშრომებს, რომლებიც შეკრებილი, დაცული, გავრცელებული და ინტერპრეტირებულია. კერძო პირებს მოთხოვნა აქვთ ადგილზე, სადაც თავიანთ ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებენ, შეკითხვებს დასვამენ და ერომანეთს იდეებს გაუზიარებენ. ყოველივე ეს არის ბიბლიოთეკა.

„ბიბლიოთეკებს თავიანთი საზოგადოებისთვის მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს", - აღნიშნავს სიუზან ბრანდეჰოფი, „Whole Person Catalog 3"-ის ავტორი (ALA/PPO 1994).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბიბლიოთეკები პრაქტიკულ ინფორმაციას აწვდიან მათ, ვისაც თავიანთი ცხოვრების ხარისხის ამაღლება და კომპლექსურ საზოგადოებაში ინდივიდუალიზმის ხელშეწყობა სურს – ეს არის ინფორმაცია ჯანმრთელობის, განათლების, მიზნესის, ბავშვის მოვლის, კომპიუტერების, გარემოს, თავისუფალი ვაკანსიებისა და სხვა ბევრი საკითხის შესახებ.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკები თავიანთი ადგილობრივ თემებს უზრუნველყოფენ ნაკლებად ხელშესახები, მაგრამ ხარისხიანი ცხოვრებისთვის არსებითი, სულიერი საკვებით. ბიბლიოთეკის მისიის ნაწილია ჰუმანიტარული და სახელოვნებო ხასიათის პროგრამების განხორციელება, რომლებიც სტიმულს აძლევს ადამიანებს, იფიქრონ ეთიკის, ღირებულებების, ისტორიის, ხელოვნების, პოეზიისა და სხვადასხვა კულტურების შესახებ.“ (გვ.2)

პროგრამები ხელს გვიწყობს, ,,დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ის გამოცდილება, რწმენა და ფასეულობები, რომლებიც საერთოა ყველა ადამიანისთვის; სტიმულს გვაძლევენ კავშირების დამყარებისთვის, რომლებზეც მანამდე არ გვიფიქრია – ჩვენსა და ჩვენს წინაპრებს, სხვადასხვა კულტურებსა და პიროვნებებს შორის.“ – ამბობს ბრანდეჰოფი.

„დიდი ხანია, ბიბლიოთეკები უმუალო კავშირშია ზრდასრულთა თვითგანათლებასთან“, – აღნიშნავს ფილიპ ს. კენდი ნაშრომში „თვითორგანიზება სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის“ (*Self-Direction for Lifelong Learning*) (1991).

მე-19 საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და ამერიკის შეერთებული შტატები, ჩიგნიერების გავრცელებისა და სამკითხველო დარბაზების მოწყობის პროცესს თან ახლდა ზრდასრულთა განათლების ადრეული ფორმებით დაინტერესება – ტექნიკური ინსტიტუტები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებები, ზრდასრულთა საკვირაო სკოლები და ა.შ. შედარებით გვიან საჯარო ბიბლიოთეკები იქცა ზრდასრულთა ფართო სპექტრისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე განათლებისა და თვითგანათლების შესაძლებლობად და ინიციატივების სამიზნედ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდის მრავალი კვლევა მოიცავდა საორგანიზაციო პოლიტიკისა და ინსტიტუციური ხელმისაწვდომობის საკითხებს, სპეციალისტებმა კიდევ ერთხელ გადახედეს ბიბლიოთეკართა საქმიანობას; როგორც გაირკვა, მათი, როგორც მეთვალყურეთა ფუნქცია კონსულტანტისა და მრჩევლის ფუნქციით შეიცვალა (გვ. 191–192).

უეინ ა. ვიგანდი თავის ნაშრომში, რომელიც მომხმარებლის ცხოვრებაში ბიბლიოთეკის როლს ეხება, აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მილიონობით ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაცია სხვადასხვა სფეროზე;
2. შექმნა ათი ათასობით ადგილი, სადაც ბიბლიოთეკების უფროსებს, როგორც კლუბის წევრებს ფორმალური შეხვედრების შესაძლებლობა აქვთ, ხოლო სტუდენტები და მოქალაქეები სამოქალაქო ორგანიზაციებისა და კულტურული სააგენტოების დახმარებით ივრიბებიან.
3. მილიონობით ადამიანი მილიონობით საკითხავი მასალით უზრუნველყო (2003, 2).

მიუხედავად ამისა, ვიგანდი აღნიშნავს, რომ საბიბლიოთეკო კვლევები პირველ საკითხზე უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს და სიღრმისეულად არ აანალიზებს „ბიბლიოთეკის, როგორც ადგილის" საზოგადოებრივ როლს, კითხვის, როგორც აქტის სოციალურ ბუნებას. ამასთან, საზოგადოებას სრულად გაცნობიერებული არ აქვს ამ ფუნქციების ბუნება (2000b, 24).

„დღეს ჰოულარული პრესა და ლიტერატურა პოლიტიკურ მეცნიერებათა და უმაღლესი განათლების შესახებ სავსეა საზოგადოების მოწყობისა და სამოქალაქო განახლებისკენ მოწოდებებით. სამოქალაქო განათლება არის მოძრაობა, რომელიც მოქალაქეებს მოუწოდებს საზოგადოების მოწყობისკენ მიმართულ ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობისკენ." – წერს კეტლინ დე ლა ჰენი მაკკუკი თავის ნაშრომში „ვვარტალური რეკომენდაცია და მომხმარებელთა სერვისი" (2000b, 24). იგი ასევე ავტორია წიგნისა – „ადგილი მაგიდასთან: მონაწილეობა საზოგადოების მოწყობაში" (2000a) და სხვა ნაშრომებისა ბიბლიოთეკის საზოგადოებრივი როლის შესახებ.

„დაგეგმვასა და წინასწარ განსაზღვრაში მონაწილეობით ბიბლიოთეკარებს საშუალება ეძლევათ, საქმეში ჩაერთონ, განსაზღვრონ ბიბლიოთეკისა და მისი სერვისის შესაძლებლობები საზოგადოებისა და საუნივერსიტეტო ქალაქების გამოწვევების საპასუხოდ. ეს მარტივი ამოცანა არ არის," – აღნიშნავს დე ლა ჰენი მაკ კუკი (2000b, 25).

კულტურის პროგრამების მომზადებისას ურთიერთთანამშრომლობა და აუდიტორიის ჩამოყალიბება კიდევ ერთი გზაა როგორც ბიბლიოთეკების ადგილის დამკვიდრების, ისე მათი საზოგადოების გამოცოცხლებისა და გააქტიურებისთვის.

რა არის კულტურის პროგრამები?

ამ ნაშრომის მიზნის გათვალისწინებით განვმარტავთ, რომ კულტურის პროგრამები არის ბიბლიოთეკების მიერ წარმოდგენილი პროგრამების ციკლი, რომელთა მიზანია საზოგადოების გართობა, განათლება, ზრდასრულთა და ოჯახების აუდიტორიის მოზიდვა, უპირველესად, ხელოვნების, ჰუმანიტარული სფეროების, მეცნიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა დარგების, საზოგადოებრივი პოლიტიკისა და სხვა სფეროების გაცნობა. პროგრამების ეს ტიპი იქმნება დიალოგებისთვის, დისკუსიებისთვის, იდეებისა და საკითხების განხილვისთვის ისევე, როგორც ინდივიდუალური სწავლის ხელშეწყობისთვის.

ვინ და რატომ აწყობს კულტურის პროგრამებს?

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის მიერ 1998 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საჯარო ბიბლიოთეკების, დაახლოებით, 86 პროცენტი აქტიურად წარუდგენს კულტურულ პროგრამებს თავიანთ ადგილობრივ თემებს. შესაძლოა, ეს მონაცემები ზუსტად ასახავს აღნიშნული პერიოდის მდგომარეობას, დღეს კი ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკა, მათ შორის აკადემიური, სასკოლო და სპეციალიზებული ორგანიზაციები აწყობენ კულტურის პროგრამებს ზრდასრულთა აუდიტორიისთვის. „ჩვენ შევქმენით მოთხოვნა ამ სახის პროგრამებზე“, – ამბობს ჩრდილოეთ კაროლინის წიგნის ცენტრის დირექტორი და სახელმწიფო, ეროვნული მასშტაბის პროგრამების ხელმძღვანელი ფრანი ეშბარნი. – „მოხარული ვარ, რომ ბიბლიოთეკები იღებენ ამ გამოწვევას და მას სულ უფრო მეტი, მაღალი ხარისხის პროგრამებით პასუხობენ“.

ამ მიმართულებით არ არსებობს კვლევა აკადემიური, სასკოლო და სპეციალიზებული ბიბლიოთეკების შესახებ. და მაინც, იმ ბიბლიოთეკების 30 პროცენტს, რომლებიც ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის მიერ განხორციელებული მოძრავი გამოფენების მოწყობაში მონაწილეობს, აკადემიური სტატუსი აქვს; საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის პროგრამებშიპერიოდულად მონაწილეობს სკოლებისა და სპეციალიზებული ბიბლიოთეკები (სტატისტიკური მონაცემებით ეს ბიბლიოთეკები მონაწილეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 5 პროცენტს შეადგენს და არ წარმოადგენს აღნიშნული ორგანიზაციის მთავარ სამიზნეს). მიუხედავად ამისა, არსებული ინფორმაციის მიხედვით, ეს ორგანიზაციები აქტიურად არიან დაინტერესებულნი კულტურის პროგრამებითა და შესაბამისი რესურსებით.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის სპო–ს მიერ 1998 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ იმ საჯარო ბიბლიოთეკების 86 პროცენტმა, რომლებიც 5000 მკითხველს ემსახურება, წარმოადგინა კულტურის პროგრამები, რომელთა 62 პროცენტს ლიტერატურული დისკუსიები და წიგნების განხილვები შეადგენდა (1999a, 1). სახეზეა მუშაობის ამ მიმართულებით გააქტიურება, თუმცა, ეს სიახლე არ არის.

დაახლოებით 10 წლით ადრე, 1986 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, რომლის მიზანი ზრდასრულთა მომსახურების შესწავლა იყო, საჯარო ბიბლიოთეკების 55 პროცენტმა (25000 ან მეტი დამსწრე) მოაწყო წიგნების პრეზენტაცია ან ლიტერატურული დისკუსია, 74 პროცენტმა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე.წ. Live პროგრამები. 5%-დან 38 %-მდე გაიზარდა იმ ბიბლიოთეკების რიცხვი, რომლებიც სპეციალური ჯგუფებისთვის ამზადებს პროგრამებს. მათ შორის, უმაღლესი პრიორიტეტული მაჩვენებელი აქვთ იმ ბიბლიოთეკებს, რომელთა პროგრამებიც მომზადდა უფროსი ასაკის აუდიტორიისა და მშობლებისთვის (უოლასი 1990, 58-59).

კულტურის პროგრამების რიცხვი სულ უფრო იზრდება ყველა ტიპის, განსაკუთრებით საჯარო ბიბლიოთეკებში. ბოლო პერიოდში გაიზარდა პროგრამების რაოდენობა აკადემიურ ბიბლიოთეკებშიც, რომლებიც საუნივერსიტეტო სივრცეებთან, მკითხველებსა თუ პოტენციურ მკითხველებთან და, ზოგადად, საზოგადოებასთან თანამშრომლობის ახალ მეთოდებს მოიძიებენ.

ცხრილი 1–1

10 მთავარი მიზეზი, თუ რატომ უნდა მოვაწყოთ კულტურის პროგრამები	
10. ბიბლიოთეკის, როგორც თემის/საზოგადოების ცენტრისთვის მნიშვნელოვანია პროგრამების განხორციელება და საზოგადოების მოზიდვა;	4. კულტურის პროგრამები ამდიდრებს და აკმაყოფილებს ბიბლიოთეკარების, მკითხველებისა და პროგრამის ავტორების ინტელექტუალურ მოთხოვნებს;
9. კოლექციის ინტერპრეტაცია, ძირითადად, მკითხველთა რჩევა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიბლიოთეკარებისთვის;	3. პროგრამები მთელი ოჯახის სიამოვნებისთვის იქმნება: დაგეგმეთ ერთობლივი პროგრამები სხვადასხვა თაობისთვის ან შეკრიბეთ პატარა აუდიტორია თქვენი საკუთარი ოჯახის წევრების მონაწილეობით;
8. ყველა აწყობს კულტურის პროგრამებს: გამოკითხვების თანახმად, სულ უფრო მეტი სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკა გვთავაზობს მათ;	2. პროგრამა ავითარებს თანამშრომლების ურთიერთობას: მათ ჯგუფურ მუშაობას, კორპორატიული სიამაყის შეგრძნებასა და ენთუზიაზმს.
7. კულტურის პროგრამებისთვის ადვილია დაფინანსების მოპოვება. ბიბლიოთეკის მიერ მოპოვებული წარმატებების შედეგად ადგილობრივი და ეროვნული რესურსები გახსნილია განსხვავებული ტიპის კულტურის პროგრამების დაფინანსებისთვის;	1. პროგრამები საუკეთესო გზაა სხვა ბიბლიოთეკარებსა და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრისთვის (სულ მცირე, მეცნიერთა და ბიბლიოთეკართა ერთი ჯგუფის წევრებმა ამერიკის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის პროექტის განხორციელებისას გაიცნეს ერთმანეთი და დაქორწინდნენ).
6. კულტურის პროგრამები თვალსაჩინოს ხდის ბიბლიოთეკისა და მისი პარტნიორი სააგენტოების საქმიანობას;	
5. პროგრამები ხელს უწყობს პროგრამის თემატიკასთან დაკავშირებული მასალების ბრუნვას, რაც მნიშვნელოვანი საზომია ბიბლიოთეკებისთვის;	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათა უმრავლესობა აღიარებს, რომ მათთვის საკმარისი აღარ არის შეასრულონ „წიგნსაცავის" ფუნქცია. თანამედროვე მომხმარებელს უფრო მდიდარი სერვისისა და პროდუქტის მიღების მოთხოვნილება აქვს, შეიძლება, ეს იყოს დახმარება ინფორმაციის მოძიებისას, მკითხველისთვის რჩევების მიცემა ან პროგრამები, რომლებიც გვეხმარება კოლექციების ინტერპრეტირებაში და კარს გვიღებს მათი შეცნობისთვის. სწორედ ამ ტიპის სერვისისა და გამოცდილების მიწოდებისთვის აქვთ ბიბლიოთეკარებს იდეალური, შესაფერი პოზიცია.

წარსულში კამათის საგანი იყო ბიბლიოთეკის, როგორც საზოგადოებრივ-კულტურული ინსტიტუტის როლის საკითხი (ჯონი ვან ფლიტისა და დუგლას რაბერის „ბიბლიოთეკა, როგორც საზოგადოებრივი კულტურის ორგანიზაცია" (1990). *ზოგი ამტკიცებს, რომ ბიბლიოთეკარები მხოლოდ მათთვის კარგად ნაცნობი საქმიანობით (წიგნებით) უნდა დაკმაყოფილდნენ, სხვებს კი ეს ზედმეტ შეზღუდვად მიაჩნიათ."* – აღნიშნავენ ვან ფლიტი და რაბერი. – *„თითქოს და ტრივიალური კამათი იმის შესახებ, უნდა შესთავაზოს თუ არა ბიბლიოთეკამ მომხმარებელს მომსახურების არატრადიციული ფორმები (ძირითადად, Live პროგრამები და ღონისძიებები), ბიბლიოთეკარის პროფესიის განსაზღვრის აქტუალურ ასპექტს ეხება. საკითხავია, ბიბლიოთეკარები წერილობით ინფორმაციას, როგორც ასეთს, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად იცავენ თუ მათი მიზანია საზოგადოებისთვის ამ ჩანაწერებში აღმოჩენილი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა? ამ დებატებში წამოიჭრა იმ ღონისძიებების საკითხი, რომელიც უმუალოდ წიგნებით მომსახურებას არ უკავშირდება. რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს კულტურულ პროგრამებს: საბიბლიოთეკო კოლექციით სარგებლობის სტიმულირება. თუ პროგრამებს – როგორც კავშირს კაცობრიობის მეხსიერებასთან – თვითკმარი ღირებულებაც გააჩნია?"* (458).

ვან ფლიტსა და რაბერს მოჰყავთ ციტატა ზრდასრულთა საბიბლიოთეკო მომსახურების პიონერის, მარგარეტ ე. მონროს 1981 წელს გამოცემული ნამრომიდან, რომელშიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის, როგორც კულტურის ორგანიზაციის 6 ძირითადი ფუნქცია:

1. საზოგადოების უზრუნველყოფა ხელოვნების შესახებ ინფორმაციით (მათ შორის, ხელოვანთა და მეცნიერთა მოთხოვნების დაკმაყოფილება);
2. ადგილობრივი თემის უზრუნველყოფა სახელოვნებო ჩვენებ-ებისთვის საჭირო სივრცით;
3. თემის ორგანიზაციებსა და ჯგუფებს შორის სახელოვნებო პროგრამების კოორდინაციის ხელშეწყობა;
4. თემისთვის კულტურის ცენტრების ქსელის შექმნა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საზოგადოებრივი პრობლემების განხილვა ჰუმანისტური ფასეულობების ჭრილში და ამ ფასეულობების დანერგვა ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში;
6. საფუძვლიანი განათლების მიწოდება კულტურისა და ხელოვნების სფეროში გამოცდილებისთვის (484).

ვან ფლიტისა და რაბერის აზრით, *„დღეს ბიბლიოთეკარის პროფესია მოიცავს პირობების შექმნას ადამიანის თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებისთვის, თვითშემეცნებისა და თვითგამოხატვისთვის“* (494).

ავტორების დასკვნით, *„დღესაც ბევრს კამათობენ იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია პროგრამები, რომლებიც წიგნებს არ უკავშირდება; ამ ტიპის მასალები სულ უფრო მეტ აღიარებას მოიპოვებს, ბევრი ბიბლიოთეკა გვთავაზობს ე.წ. ცოცხალ პროგრამებს, რომლებიც არა მხოლოდ ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილს გვიჩენს, არამედ სამუალებას გვაძლევს მის კედლებში მიღებული ცოდნა ერთმანეთს გავუზიაროთ“*(494-95).

პროგრამების გურუდ წოდებული რეა ჯოის რუბინი სახელმძღვანელოში – „ჰუმანიტარული პროგრამები: სახელმძღვანელო“ (1997) – აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკები კულტურის პროგრამების შექმნის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ:

- საბიბლიოთეკო რესურსებით ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია და თემის დაინტერესების გაზრდა;
- სხვადასხვა სახის ინფორმაციისა და განათლების მიწოდება, სწავლების განსხვავებული სტილისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისად;
- გართობის კომერციული ფორმების ალტერნატივის შეთავაზება;
- პროგრამები მიმზიდველს ხდის ბიბლიოთეკას როგორც წიგნებით, ასევე სხვა სახის პროდუქციით დაინტერესებულთათვის;
- პროგრამები თვალსაჩინოს ხდის ბიბლიოთეკის სიცოცხლის-უნარიანობას მთავრობის ლიდერებისთვის, გადასახადების გადამხდელთა და ფინანსური ორგანიზაციებისთვის.

საბიბლიოთეკო პროგრამები:

- ზრდის მასალების ბრუნვას;
- ქმნის საზოგადოებრივ ფორუმს იდეების გაცვლისთვის;
- ხელს უწყობს სხვა სააგენტოებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარებას;
- უზრუნველყოფს მონაწილეთა მრავალფეროვნებას;
- აფართოებს ბიბლიოთეკის გავლენის სფეროს (5-6).

„ტრადიციულად, საჯარო ბიბლიოთეკები სკოლადამთავრებულთა განათლებისა და დასვენების ადგილი იყო, – ამბობს რუბინი. – საზოგადოებრივი ბიბლიოთეკები აქტიურად ერთვებოდნენ 1930–1940–იანი წლების ზრდასრულთა საგანმანათლებლო მოძრაობაში. საბიბლიოთეკო საქმიანობაში საგანმანათლებლო პროცესი ლიტერატურის მითითებიდან იღებს სათავეს, მაგრამ მოგვიანებით დიფერენცირდება ჯგუფური მუშაობისა და ჩამოყალიბებული პროგრამების სახით. მარგარეტ ე. მონროს თანახმად, ზრდასრულთა განათლება მიმართულია მიზნობრივ კითხვასა და საბიბლიოთეკო მასალებით, როგორც განხორციელებადი იდეების წყაროებით სარგებლობაზე; ასევე, ბიბლიოთეკის მონაწილეობაზე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში. ბიბლიოთეკა, როგორც ზრდასრულთა დამოუკიდებელი სწავლების ცენტრი, თვითგანათლებისთვის საჭირო რესურსებით გვამარგებს და ამ განათლებას ლიტერატურის დაკონკრეტებული სიითა და კურიკულუმით, სახელმძღვანელოებითა და ჰუმანიტარული პროგრამებით – ლიტერატურული დისკუსიებითა და სალექციო ციკლებით - უწყობს ხელს“ (4-5).

სად არის ჩემი ბიბლიოთეკის ადგილი?

კულტურის პროგრამების აქტუალობის დასაბუთება თქვენი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისთვის მხოლოდ საწყისი ნაბიჯია ორგანიზაციის შესაბამისი როლის განსაზღვრისთვის, კულტურის პროგრამების დაგეგმვის, სპეციფიკური მიზნებისა და ამოცანების დასახვის, ღონისძიებების დანერგვისა და შედეგების შეფასებისთვის. პროგრამების ეფექტურობისთვის, ისინი ბიბლიოთეკის მისიის ნაწილად უნდა იქცეს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მენეჯმენტისა და ადმინისტრაციის ყველა დონის წარმომადგენელთა მხარდაჭერას. ამ სფეროში ყველაზე წარმატებული ბიბლიოთეკები ერთგული მხარდამჭერებისგან იღებენ მნიშვნელოვან დახმარებას.

1998 წელს, როდესაც ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლებმა რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ ზრდასრულთა კულტურის პროგრამების ადგილი მათი ბიბლიოთეკის მისიაში, შედეგები გაიყო: 47.1 პროცენტმა თქვა, რომ ამ სფეროს მთავარი ადგილი უჭირავს, 45.3 პროცენტმა კი - პირიქით;

კვლევის მონაწილეებმა შეაფასეს ბიბლიოთეკის თანამშრომლების, ხელმძღვანელობის, თემის, თავად პიროვნების მიერ კულტურის პროგრამების მხარდაჭერის დონე („საერთოდ არა“, „მცირედ“, „საშუალოდ“, „მნიშვნელოვნად“, „სრულებით“) პასუხები დამაკმაყოფილებელი იყო. ხშირ შემთხვევაში, თავად რესპონდენტი აბსოლუტურად უჭერდა მხარს პროგრამას, სამიდან ერთი რესპონ-დენტი კი ძლიერ მხარდაჭერას იღებს ბიბლიოთეკის ხელმძღვანე-ლობისა და თანამშრომლების მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც განსაზღვრავთ, თუ როგორ წარმართავთ კულტურის პროგრამებს, მზად იქნებით მომავალ ეტაპზე გადასვლისა და უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნების განხორციელებისთვის. ეს მიზნები შეიძლება უკავშირდებოდეს პოტენციური კლიენტების მოზიდვას, ბიბლიოთეკის სერვისის პოპულარიზაციას ან თქვენს მიერ განსაზღვრულ სხვა გეგმებს. მაგალითისთვის, თუ როგორ დაეხმარა ბიბლიოთეკას მომავლის განსაზღვრისა და პროგრამირებისთვის ერთი ინიციატივის შეფასება, იხილეთ ცხრილი 1-2.

ცხრილი 1–2.

„მწერლები ცხოვრობენ ბიბლიოთეკაში“

ამ პროგრამამ გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს ერთი პროექტის შედეგების შეფასება მომავალი პროგრამების გასანაზღვრაში. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის აღნიშნული წამოწყების შეფასებისას კონსულტანტმა შეფასების დარგში, დებრა უილკოქს ჯონსონმა აღმოაჩინა, რომ პროექტში მონაწილე ყველა ბიბლიოთეკას ერთი და იგივე შედეგები ჰქონდა. იმ ბიბლიოთეკების განცხადებით, რომლებმაც წარმოადგინეს ერთი წლისთვის განსაზღვრული ლიტერატურული პროგრამები თემის მონაწილეობითა და სხვა ორგანიზაციებთან პარტნიორობით, ყველა მონაწილემ მიიღო გამოცდილება, რაც მათ მომავალი ლიტერატურული პროგრამების დაგეგმვაში დაეხმარათ:

- პროგრამამ დაახლოვა თანამედროვე და მომავალი მწერლები;
- ციკლები საინტერესო იყო და გავლენა იქონია მკითხველთა მრავალფეროვან ჯგუფზე;
- ბიბლიოთეკაში მცხოვრებმა მწერლებმა ხელი შეუწყვეს ახალი აუდიტორიის მოზიდვას;
- ბიბლიოთეკაში პოპულარული მწერლების ცხოვრებამ პროექტი საზოგადოებისთვის საამაყო გახადა;
- თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის ზრდასრულთა პროგრამების წარმატებისთვის;
- წარმოდგენილი ციკლების მეშვეობით მონაწილეები გაეცნენ ახალ იდეებსა და ალტერნატიულ შეხედულებებს;
- ბიბლიოთეკებმა უკეთ ისწავლეს, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელონ ლიტერატურულ პროგრამებს;
- საჯარო ბიბლიოთეკამ უფრო მეტად დაიმკვიდრა საზოგადოებაში კულტურის ცენტრის ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Native Words



"Sister Nations is a lively, challenging, and entertaining anthology of contemporary Indian women's voices. Heid Erdrich and Laura Tohe have collected prose and poetry that will provoke, amuse, console, and transform their audiences. Sister Nations is a valuable document and an artistic gift."
— Valerie Miner, author of
The Low Road and *Range of Light*

ikwewag diibaajimewag — the women are telling stories

თ ა ვ ი II

დაგეგმვა: მიზნებიდან შეფასებამდე და პირიქით

განსხვავება იმას შორის, თუ სად ვართ (დღევანდელი სტატუსი) და სად გვინდა რომ ვიყოთ (მიზნები და ამოცანები), არის ის, რასაც ვაკეთებთ (მიზნები და სამოქმედო გეგმები).

– ეროვნული სასკოლო საგჭოების ასოციაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნებისა და ამოცანების განვითარება

მიუხედავად იმისა, ჯერ კიდევ გეგმავთ თქვენი ბიბლიოთეკის მოწყობას თუ მისი საზოგადოებისა და კულტურის პროგრამების ცენტრად გარდაქმნის პროცესში ხართ, მიზნებისა და ამოცანების დასახვა გვეხმარება:

- ნათლად გავიაზროთ და გადმოვცეთ ჩვენი მიზნები;
- უზრუნველგვყოფს სახელმძღვანელო სქემით და გვიადვილებს მის განხორციელებას, ცვლილებების შეტანასა და მართვას;
- შესაძლებლობას გვაძლევს, შევაფასოთ და დავგეგმოთ მომავალი ქმედებები.

მიზნები არის დიდი სურათი, რომელიც უცვლელი რჩება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამოცანები და სტრატეგიები კი უფრო ხანმოკლეა და უმეტესად შეფასებად მოქმედებებსა და შედეგებს გულისხმობს. შესაძლებელია, თქვენი მიზნები უკავშირდებოდეს თქვენს მიზნობრივ აუდიტორიას, ბიბლიოთეკის კოლექციას, გარკვეულ საკითხებს, თქვენი თემის ან სპეციფიკურ პროგრამებს. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს კულტურის პროგრამების მიზნებისა და ამოცანების შესაძლო სპექტრს ზოგადიდან კონკრეტულამდე:

მიზანი

ბიბლიოთეკის მომსახურების სივრცეში ახალი ემიგრანტი მოსახლეობის მოზიდვა;

ამოცანები

აღნიშნული თემის წევრებთან თანამშრომლობა საინტერესო პროგრამების განხორციელებისთვის.

მიზანი

პროგრამის დამსწრეთა პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა;

ამოცანები

ისეთი პროგრამების შეთავაზება, რომლებიც შეესაბამება მიმდინარე ტენდენციებს;

ფოკუს–ჯგუფების მოწვევა იმ ბარიერების განსაზღვრისთვის, რომლებიც ხელს უშლის აუდიტორიის გაზრდას; შესაბამისი პირობების შექმნა.

ბიბლიოთეკის ფარგლებს გარეთ ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება.

მიზანი

თემის მეტად დაინტერესება კარგი პოეზიით;

ამოცანები

ბიბლიოთეკაში დაცული პოეზიის კოლექციის მოხმარების გაზრდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის კოლექციების გამდიდრება, მათი მრავალფეროვნებისა და ხარისხის უზრუნველყოფა;

პოპულარული ლიტერატორების ხელშეწყობით კონკურსებში გამარჯვებული პოეტური კრებულების საჯარო განხილვების მოწყობა.

მიზანი

ბიბლიოთეკის პროგრამების განვითარება წლის თემასთან – „ემიგრაცია და მიგრაცია“ – დაკავშირებით;

ამოცანები

ორ თვეში ერთხელ, ადგილობრივი საჯარო კოლეჯების პედაგოგთა და მეცნიერთა მონაწილეობა წიგნისა და ფილმების პრეზენტაციებში, მათ შესახებ დისკუსიებსა და ლექციების ციკლებში;

ემიგრანტთა სამი ორგანიზაციის მოწვევა პროგრამების თანამასპინძ-ლობისა და დაფინანსებისთვის;

მიზანი

საზოგადოებისთვის აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება;

ამოცანები

სივრცის შექმნა საზოგადოებრივი ფორუმისთვის ადგილობრივი ლიდერების წარმოსადგენად;

თემატური მასალების წარმოდგენა;

ვებ-გვერდის შექმნა დამატებითი ინფორმაციისა და სამომავლო გეგმების ბმულებით;

მიზანი

„ამომრჩეველ ქალთა კავშირთან“ თანამშრომლობის შესაძლებ-ლობათა მოძიება მომავალი არჩევნების საკითხის წინ წამოსაწევად;

ამოცანები

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე „ქალთა კავშირის“ ვებ-გვერდის ბმულის განთავსება;

„კავშირთან“ თანამშრომლობით ამ სფეროში ბიბლიოგრაფიის შექმნა;

„კავშირთან“ მოლაპარაკება თემების მოწოდებისა და მომავალი მომხსენებლების მოწვევისთვის, ჯგუფური ციკლების მოდერი-რებისთვის.

მიზანი

საზოგადოებაში ადგილობრივი თეატრალური ცენტრის დახურვით წარმოქმნილი ნიშის შევსება.

ამოცანები

სივრცის შექმნა თეატრალური დასის მონაწილეობით რეპეტიციებისა და წარმოდგენების მოწყობისთვის;

თეატრალებისთვის საინტერესო პროგრამების შემუშავება.

მიზანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო გრძელვადიანი პროგრამების მხარდაჭერის გზების მოძიება და განვითარება;

ამოცანები

შესაძლებლობათა საჯარო განხილვების მოწყობა მათი მონაწილეობით, ვინც ქმნის საზოგადოებრივ აზრს.

ფონდების მოზიდვის პროგრამების დანერგვა/განვითარება.

პროგრესის შეფასება

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ თქვენს მიზნებს, მათი განხორციელებისთვის საჭირო ამოცანებსა და სტრატეგიას, დასაზუსტებელია ამ მიზნების შესრულების პროგრესის განსაზღვრის მეთოდები. რა სახის წარმატებას მოველით? როგორ უნდა მივხვდეთ, რომ წარმატება მოვიპოვეთ? რა სახის ინფორმაცია დაგვეხმარება წარმატების განსაზღვრაში და როგორ უნდა მოვიპოვოთ ის? შესაძლოა, თქვენი ზოგიერთი მიზანი მოგვიანებით განხორციელდეს ან პირიქით. მაგრამ თქვენ უნდა შეგეძლოთ პროგრესის განსაზღვრა და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის, მათ შორის, თქვენი პროგრამის ჩამოყალიბებისთვის. ყოველი დასახული მიზნისთვის განსაზღვრეთ დროის ფარგლები და ისეთი ამოცანები, რომელთა შეფასებას ან გამოკვეთას შეძლებთ. შესაძლოა, დაგჭირდეთ ინფორმაციის შეგროვება უშუალოდ მუშაობის პროცესში. მაგალითად, თუ გსურთ ბიბლიოთეკის კოლექციის მასალების ბრუნვის გაზრდა, შედარებისთვის დაგჭირდებათ არსებული ბრუნვის რიცხვობრივი მაჩვენებლების დადგენა. თუ გსურთ პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა, უნდა მოძებნოთ გზები დასწრების მაჩვენებლის შეფასებისთვის როგორც დღეს, ისე მომავალში...

დაიმახსოვრეთ, რომ მომავალი პროგრამებისთვის დაგჭირდებათ ორი სახის ინფორმაცია – რაოდენობრივი და თვისებრივი:

- რაოდენობრივი გვიჩვენებს იმას, რისი დათვლაც შეიძლება, მაგალითად, პროგრამის დამსწრეთა რაოდენობას (ნუ შეაფასებთ და ივარაუდებთ, ყოველთვის დათვალეთ!) ან ბრუნვის სტატისტიკას.
- თვისებრივი მაჩვენებლებია: ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის წერილი, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ შეეცვალა პროგრამამ მისი ცხოვრება; იმ დამსწრის კომენტარი, რომელსაც მანამდე ბიბლიოთეკაში არ შეხვედრიხართ; პროგრამის წამყვანი, რომლისთვისაც აუდიტორიასთან ურთიერთობით თავისი საქმის ახალი ნიუანსები გახდა ცნობილი; ბიბლიოთეკის პროგრამებით შთაგონებული ანონიმური სპონსორი (დაიჯერეთ, ასეც ხდება!).

ინფორმაციის მოპოვების გზებია: კითხვარები, ინტერვიუები, ციფრული მონაცემების შეგროვება, არსებული მონაცემების გამოყენება, დაკვირვება, სარეგისტრაციო მონაცემები ან მოხსენებითი ბარათები (რაპორტები) მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვარები

თუ თქვენ იყენებთ კითხვარს ან შეფასების ფორმებს, კარგად დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია გჭირდებათ და რისთვის. თქვენთვის საინტერესო საკითხები შეიძლება იყოს: აუდიტორიის მახასიათებლები (დემოგრაფიული მონაცემები), პროგრამების მახასიათებლები (როგორ შეიტყვეს დამსწრეებმა პროგრამის შესახებ, როგორ მოსწონთ იგი); აგრეთვე, სამომავლო პროგრამები (რის ნახვას ისურვებდა საზოგადოება). თქვენი კითხვარი ადვილი უნდა იყოს პასუხების გასაცემად, დასვით სპეციფიკური შეკითხვები და დარწმუნდით, რომ არ ცდილობთ უკვე არსებული ან ისეთი ინფორმაციის მოპოვებას, რომლის შესაბამისად ვერ იმოქმედებთ.

კითხვარები სხვადასხვა ფორმისა და სიგრძის შეიძლება იყოს. ცხრილი 2-1 გვიჩვენებს კითხვარს, რომელიც მიჩიგანისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტების პროექტის – „როგორ გვეხმარება ბიბლიოთეკები“ – ფარგლებში მომზადდა და გამოიყენება კინგის საგრაფოს (ვაშინგტონის შტატი) ბიბლიოთეკის სისტემის მხარდაჭერისთვის (ციკლი „ხმები რიმიდან“). ეს პროგრამა 2001 წლის სექტემბერში ჩატარდა, რათა საზოგადოებას გაეცნო ძველი რიმის (წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები, მ.ს.) სხვადასხვა კულტურები. კვლევის საგანი იყო საზოგადოებრივი კავშირების სიმყარე, აგრეთვე, იმის დადგენა, თუ როგორ უწყობს ხელს კულტურის პროგრამები დამსწრეთა შორის ახალი ურთიერთობების დამყარებას და/ან უკვე არსებულის გაღრმავებას.

ინტერვიუები

ინტერვიუ შეიძლება იყოს ერთი ერთზე (სატელეფონო გამოკითხვა) ან ჯგუფური (ფოკუს-ჯგუფები). ხშირად ინტერვიუში შესული კითხვები უფრო ღიაა, ვიდრე კითხვარებში. განსვრცეთ კითხვები და თანამიმდევრულად მიჰყევით მათ. ცხრილი 2-2 გვიჩვენებს ცხრილ 2-1–ში მოცემული გამოკითხვის შემდეგ ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუების ფორმატს. ინტერვიუს კითხვები მომზადდა პროგრამის – „ხმები რიმიდან“ გრძელვადიანი გავლენის შესაფასებლად.

ფოკუს-ჯგუფები კიდევ ერთი პოპულარული გზაა უკუკავშირის დამყარებისთვის, განსაკუთრებით, მოწვევებისას, როდესაც სასურველია მოსახლეობის სპეციფიკური სეგმენტის თვალსაზრისის შესწავლა.

რაოდენობრივი მაჩვენებლების შეგროვება

ციფრები გვაწოდებს ინფორმაციას სხვადასხვა სახის შეფასებისთვის. ზოგიერთი უკვე არსებული მაჩვენებელი მხოლოდ გაანალიზებას საჭიროებს, ზოგი მონაცემი კი უნდა დადგინდეს და მოძიებულ იქნას. ციფრობრივი მონაცემები მოიცავს:

- ტენდენციების გამოსავლენად დამსწრეთა რიცხვის დადგენასა და, პერიოდულად, რაოდენობრივი მაჩვენებლების გაანალიზებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2-1 პროგრამის შეფასების კითხვარის მაგალითი

გამოკითხვა №---------- პერსონალი /მკვლევარი----------თარიღი----------

პროგრამა----------ადგილმდებარეობა----------

შეფასების კვლევა

ჩვენ ვართ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევარები. ჩვენ ვიკვლევთ ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებრივ პროგრამებს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ პროგრამის შეფასებაში ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით. თქვენი პასუხები კონფიდენციალური დარჩება. გამოკითხვა მხოლოდ რამდენიმე წუთი გაგრძელდება.

რამდენი დრო დაგჭირდათ აქამდე მოსასვლელად? -10წთ. 10-30წთ. 30-60 წთ. 1სთ–ზე მეტი

როდის გადაწყვიტეთ აქ მოსვლა? დღეს გუშინ გასულ კვირას გასულ თვეს

რატომ გადაწყვიტეთ ამ პროგრამაზე დასწრება?

_____

_____

_____

რის ნახვას/გაკეთებას ელით ამ პროგრამისგან?

_____

_____

_____

როგორ შეიტყვეთ ამ პროგრამის შესახებ?

(აღნიშნეთ ყველა თქვენთვის მისაღები პასუხი)

მეგობრისგან ნათესავისგან ბიბლიოთეკაში კოლეგისგან

გაზეთით რადიოთი ინტერნეტით სხვა ----------

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ დაესწარით სხვა მსგავს პროგრამებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში? დიახ არა

თუ დაესწარით, რა სახის პროგრამა იყო (საცეკვაო პროგრამა, ლექცია ა.შ.)?

_____

_____

სად ტარდებოდა ეს პროგრამები? ----------

_____

ამ პროგრამაში მონაწილეობის შედეგად რამდენად მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა თქვენთვის პროგრამას?

(გთხოვთ, ვრცლად აღნიშნოთ ამის შესახებ მოცემულ გრაფაში)

K 33.111 4

(შემოხაზეთ ერთი პასუხი)

	სრულებით არა				ძალიან ბევრი რამ
	არაფერი		მნიშვნელოვნად		
განვითარეთ ახალი უნარ-ჩვევები ან ისწავლეთ რამე ახალი?	1	2	3	4	5
შეგექმნათ მოტივაცია რაიმეს გაკეთებისთვის?	1	2	3	4	5
დაუკავშირდით ვინმეს ან რაიმეს?	1	2	3	4	5
ისიამოვნეთ და გაერთეთ?	1	2	3	4	5

პროგრამის რომელი ნაწილი იყო თქვენთვის ყველაზე ნაცნობი? რატომ?

_____

_____

_____

	არ იყო				ძალიან ძლიერი
რამდენად ძლიერი იყო ეს ფაქტორი?	1	2	3	4	5

(შემოხაზეთ ერთი პასუხი)

პროგრამის რომელი ნაწილი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან დამხმარე?

გთხოვთ განმარტოთ:

_____

_____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას ეტყოდით სხვა ადამიანებს ამ პროგრამის შესახებ?

რამდენი ადამიანი იყო თქვენს ჯგუფში? 1 (მხოლოდ თქვენ) 2 3 4 5

ჯგუფი შედგებოდა : ოჯახის წევრებისგან მეგობრებისგან კოლეგებისგან სხვებისგან

რამდენად ხშირად ხვდებით თქვენი ჯგუფის წევრებს? ყოველდღე კვირაში ერთხელ თვეში ერთხელ

თუ გაესაუბრეთ რომელიმე ნაცნობს ამ პროგრამის მსვლელობისას? დიახ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვის?

მეგობარს ნათესავს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს კოლეგებს სხვებს

თუ გაქვთ კინგის საგრაფოს ბიბლიოთეკის ბარათი? დიახ არა

მანამდე თუ ყოფილხართ ამ ბიბლიოთეკაში? დიახ არა

რამდენად ხშირად სარგებლობთ ამ ბიბლიოთეკით?

პირველად ვისარგებლე წელიწადში ერთხელ რამდენიმე თვეში ერთხელ ყოველთვე

ყოველკვირეულად ყოველდღიურად

ამ ხაფხულს რამდენჯერ ისარგებლეთ (ნებისმიერი) ბიბლიოთეკით? 0 1– 5 6-10 11+

სქესი: მამრობითი მდედრობითი

ოჯახური სტატუსი: დასაქორწინებელი დაქორწინებული

ბავშვები გყავთ: დიახ არა

ასაკი: ---------- საქმიანობა: ----------

რა ეთნიკური წარმომავლობის ხართ? ----------

ჩვენი სურვილია, მოკლე ინტერვიუსთვის ტელეფონით დაგიკავშირდეთ დაახლოებით 3 კვირაში. თუ გსურთ მონაწილეობის მიღება, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

სახელი:---------- ტელეფონის ნომერი: ( )----------

საუკეთესო დღე/დრო დასარეკად ----------

გმადლობთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2-2 მაგალითი პროგრამის შემდგომი სატელეფონო გამოკითხვისთვის

გამოკითხვა№----------თანამშრომლები პერსონალი/ მკვლევარი----------თარიღი----------

პროგრამა----------ადგილმდებარეობა----------

პროგრამის შემდგომი სატელეფონო გამოკითხვა

მე გიკავშირდებით იმ გამოკითხვის გაგრძელებისთვის, რომელიც დავიწყეთ კინგის საგრაფოს ბიბლიოთეკაში. შეგიძლიათ, გვიპასუხოთ რამდენიმე შეკითხვაზე პროგრამის – „წყნარი ოკეანეს სანაპიროს ხმების" – შესახებ, რომელსაც დაესწარით (თარიღი) ----------. შესაფერისი დროა საუბრისთვის? გამოკითხვა მხოლოდ რამდენიმე წუთი გაგრძელდება.

1. ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ ღონისძიებიდან ----------?

2. ღონისძიების შემდეგ, თუ ისაუბრეთ მის შესახებ ვინმესთან? თუ ისაუბრეთ:

ა. ვინ იყო ის?

ბ. რამდენად ხშირად ხვდებით მათ?

გ. რა სიტუაციაში წამოიწყეთ საუბარი, რატომ მოხდა ეს?

დ. როგორი იყო მსჯელობის შინაარსი და ფორმატი?

3. თუ გქონდათ კონტაქტი ვინმესთან, ვისაც ღონისძიებაზე შეხვდით

(ანუ მანამდე არ იცნობდით)?

ა. ვინ იყო ის?

ბ. რამდენად ხშირად ხვდებით მათ?

გ. რა სიტუაციაში წამოიწყეთ საუბარი, რატომ მოხდა ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. როგორი იყო მსჯელობის შინაარსი და ფორმატი?

4. ღონისძიებიდან რაიმე თუ წამოიღეთ სახლში? თუ წამოიღეთ:

ა. რა იყო ეს? (მაგ.: ფლაერები, ხელსაქმის ნაწარმი, საკონტაქტო ინფორმაცია, რეკომენდაციები და ა.შ.)

ბ. როგორ მოეჯარით მას? (მაგ.: გამოიყენეთ, ფაილში ჩადეთ, წაიკითხეთ წიგნი ამ თემაზე და ა.შ.)

გ. რას გააკეთებდით, რის გაკეთებას გეგმავთ?

5. ღონისძიებამ მოგაწოდათ რაიმე იდეა, რომელსაც განახორციელებდით?

ა. რა იდეაა ეს?

ბ. რატომ არის ეს თქვენთვის მნიშვნელოვანი?

6. რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდილებად, რომელიც ამ პროგრამიდან მიიღეთ?

7. თუ გააკეთეთ რაიმე ახალი ან განსხვავებული ღონისძიებიდან ----------მიღებული გამოცდილების შედეგად?

გმადლობთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

- *პროგრამის განხორციელებამდე და მის შემდეგ განსაზღვრული თემატიკის კოლექციების ბრუნვის კოეფიციენტს;*
- *ბრუნვის ზოგადი მაჩვენებლების გადახედვას და პერიოდულ შეჯამებას სპეციფიკური მოვლენებისა და სეზონების შეფასებისთვის;*
- *პროგრამის წარმომადგენელთა და მოკავშირე ორგანიზაციათა რაოდენობის დადგენას;*
- *პროგრამებისთვის მოპოვებული დაფინანსების აღრიცხვას პროგრამის წარდგენის შემდეგ;*
- *პროგრამის შესახებ პრესის სვეტების აღრიცხვას;*
- *პერიოდულად მოსახლეობის სტატისტიკის შედარებას დარეგისტრირებულთა პროცენტულ მაჩვენებელთან.*

არსებული მონაცემების გამოყენება

შეფასებისთვის საჭირო არსებული მონაცემები შეიძლება შეიცავდეს დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, სხვა ჯგუფების მიერ ჩატარებულ კვლევებს (მაგალითად, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის კვლევა საჯარო ბიბლიოთეკებში ზრდასრულთათვის კულტურის პროგრამების შესახებ), მოპოვებულ ციფრებს მოცემული თუ სხვა პროგრამებისთვის, მაგალითად, ზემოჩამოთვლილ მიზეზებს.

დაკვირვება

დაკვირვებით მოპოვებული ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ყურმოკრულ კომენტარებს, ზოგად დემოგრაფიულ მონაცემებს, დასმულ შეკითხვებს ან პროგრამის მსვლელობისას ჟესტიკულაციაზე დაკვირვების შედეგებს, ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური მონაცემების შესწავლას (მაგალითად, გვაქვს თუ არა სკამების საკმარისი რაოდენობა ოთახში) და დამსწრეთა შორის ინტერაქტივს.

სარეგისტრაციო მონაცემები ან საქმიანობის ანგარიშები

საქმიანობის შესახებ ტიპური მოხსენებითი ბარათი მოიცავს პროგრამების სახელწოდებებს, ხანგრძლივობას, ჩატარების დროს, წარმომადგენლებსა და დამსწრეებს, შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული პროგრამისას წარმომადგენელთა მიერ დასმულ კითხვებსაც. სხვა მოხსენებები შეიძლება ეხებოდეს კომენტარებს ან მნიშვნელოვან მონათხრობებს იმის შესახებ, თუ როგორ დადებით გავლენას ახდენს პროგრამები პიროვნებებზე. ზოგიერთმა დამფინანსებელებმა ან ადმინისტრაციულმა პირებმა შესაძლოა მოითხოვონ კონკრეტული ინფორმაციის შემცველი მოხსენებები. თქვენი მეთოდების მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენს მიერ შეგროვებული ინფორმაცია როგორც თქვენთვის, ისე ადმინისტრაციისთვის თვალსაჩინოს გახდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნების განხორციელების პროგრესს და თქვენს მიერ შეტანილ ცვლილებებს.

გეგმური კალენდარი

მიზნების ჩამოყალიბების შემდეგ, უკვე გაქვთ მთავარი ხედვა. დეტალების გამოკვეთისთვის გამოიყენეთ გეგმური კალენდარი. იხილეთ გეგმური კალენდარი პროგრამების ციკლისთვის ერთ სეზონზე (ცხრილი 2-4). იგი აღებულია წიგნიდან „მოდით, ვისაუბროთ ამაზე: სახელმძღვანელო დაგეგმვისთვის" (მურსი და რუბინი, 1984). ისარგებლეთ ამ წიგნით, როგორც დაგეგმვისთვის ამოსავალი წერტილით და გაუკეთეთ ადაპტირება.

ცხრილი 2-3 სამუშაო გეგმა მიზნების განსაზღვრისთვის

ბიბლიოთეკის მისია
ბიბლიოთეკის პროგრამებისა და კულტურის როლის ხედვა
მიზანი 1
ამოცანები/სტრატეგიები
როგორ და როდის შეფასდება პროგრესი
მიზანი 2
ამოცანები/სტრატეგიები
როგორ და როდის შეფასდება პროგრესი
მიზანი 3
ამოცანები/სტრატეგიები
როგორ და როდის შეფასდება პროგრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2-4 გეგმის კალენდარი

4-6 თვით ადრე	ჩამოწერეთ მიზნები და ამოცანები. განიხილეთ პროგრამების სერიები ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან; განავრცეთ დაფინანსების პოტენციური წყაროების სია; ჩამოაყალიბეთ პროგრამების სერიების დაგეგმვის კომიტეტი, რომელშიც შევლენ: პროგრამის დირექტორი, თემატური კონსულტანტ(ებ)ი/ ხელოვან(ებ)ი/ მეცნიერ(ებ)ი, მარკეტინგის/გრაფიკული ხელოვნების სპეციალისტები, სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენელ(ებ)ი საზოგადოებიდან, პარტნიორი წარმომადგენელ(ებ)ი, ბიბლიოთეკის მეგობრები, სხვები: ---------- დაუკავშირდით პოტენციურ დამფინანსებლებს
3-4 თვით ადრე	ჩაატარეთ დაგეგმვის კომიტეტის პირველი შეხვედრა. გადახედეთ მიზნებსა და ამოცანებს. განიხილეთ თემა და შინაარსი. განიხილეთ ფორმატი და სავარაუდო წამყვანების საკითხი. ჩამოაყალიბეთ გეგმის კალენდარი. განიხილეთ ფონდების მოზიდვის სტრატეგიები. განიხილეთ მარკეტინგის სტრატეგიები და სხვების ჩართვა პროცესში. განსაზღვრეთ ადგილი. განსაზღვრეთ მოქმედების შემდგომი ნაბიჯები და გადაანაწილეთ დავალებები ცალკეული წევრებისთვის. შექმენით წევრების ელ. ფოსტის მისამართების სია ახალი ინფორმაციის მისაწოდებლად. შეისწავლეთ და დაუკავშირდით პოტენციურ დამფინანსებლებს და პროგრამის მონაწილე ინდივიდებს. მოიძიეთ და დაუკავშირდით პოტენციურ წარმდგენლებს; განსაზღვრეთ მათი მოთხოვნები პრეზენტაციისთვის. დაჯავშნეთ სივრცე პროგრამისთვის. შეაჯამეთ ბიუჯეტი.
2 თვით ადრე	ჩაატარეთ დაგეგმვის კომიტეტის მეორე შეხვედრა. საბოლოოდ განსაზღვრეთ თემა/შინაარსი, პროგრამის განრიგი. შეაჯამეთ პოპულარიზაციისა და რეკლამის გეგმა. გააფორმეთ კონტრაქტები წამყვანებთან. ,,დაიზღვიეთ“ დაფინანსება. განავითარეთ მარკეტინგისა და პრომოს მასალები. განავითარეთ/უზრუნველყავით პროგრამის შინაარსობრივი მასალები და შესაბამისი აღჭურვილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 კვირით ადრე	დაუკავშირდით თემის/საზოგადოების ლიდერებსა და ბიბლიოთეკის მაკონტროლებელ ორგანოებს. დანერგეთ მარკეტინგისა და რეკლამის სტრატეგიები. დარწმუნდით, რომ საპროგრამო მასალები, წიგნები და სხვა მასალები/აღჭურვილობა ხელმისაწვდომია (მაგ.: ფილმები, ხელსაწყოები, სპეციალური აუდიოვიზუალური აღჭურ-ვილობა). დაუკავშირდით ადგილობრივ წიგნის გამყიდველებს ან სხვა მიმწოდებლებს.
1 თვით ადრე	გააგრძელეთ მუშაობა წარმდგენლებთან; მოიძიეთ ნებისმიერი დამატებით საჭირო ინფორმაცია ან მასალა. დაბეჭდეთ და მიაწოდეთ პრომო მასალები. მოამზადეთ ეკრანები. საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ დაარეგისტრირეთ მონაწილეები.
1 კვირით ადრე	შეახსენეთ ღონისძიების შესახებ წარმდგენლებს, დაგეგმვის კომიტეტის მოხალისეებს. მოამზადეთ სიტყვები წარმდგენლებისთვის. წინასწარ მოამზადეთ სპეციალური პირობები: ბავშვებზე ზრუნვისთვის; მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სავარაუდო ღონისძიებებისთვის; დამატებითი სერვისებისა და დასუფთავებისთვის; ჯგუფის ყველა წევრი შეკრიბეთ და გააცანით დეტალები; დაურიგეთ მონაწილეთა რეკვიზიტების ფურცლები.
პროგრამის დღეს	დარწმუნდით მოხალისეთა და შეთანხებების ხელმისაწვდო-მობაში; მიიღეთ წარმდგენელი; შეახსენეთ საორგანიზაციო ჯგუფს; შეამოწმეთ სივრცის მზაობა პროგრამისთვის.
უმუალოდ ყოველი პროგრამის შემდეგ	აღრიცხეთ დამსწრეთა რაოდენობა, ჩაიწერეთ, რამ გაამართლა და რამ არა, შემდეგი პროგრამის დასახვეწად;
პროგრამების სერიის შემდეგ	მიმართეთ პროგრესი მიზნებისკენ; დაუგზავნეთ მადლობის წერილები წარმდგენლებს; მადლობა გადაუხადეთ დაგეგმვის კომიტეტის წევრებს, თანამშრომლებს, სხვებს; ოფიციალურად მოიხსენიეთ ყველა, ვინც წვლილი შეიტანა ამ პროგრამებში, კონტრიბუტორები და პარტნიორები (ასევე, პროგრამის მსვლელობისას); მისწერეთ რედაქტორს სამადლობელო წერილი, რომელშიც აღნიშნული იქნება მოხალისეთა და მონაწილეთა დამსახურებები და მიღწეული შედეგები. საჭიროების შემთხვევაში მოამზადეთ მოხსენებითი ბარათები დამფინანსებლების, პარტნიორებისა და ბიბლიოთეკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ადმინისტრაციის/საბჭოსთვის; შეხვდით კომიტეტს ღონისძიებათა დასრულებული სერიის შეფასებისთვის და დაიწყეთ მომავალი სერიის დაგეგმვა.

პროგრამების სერიის დაგეგმვის ცხრილი

თქვენს მიერ წარსადგენი პროგრამის დაზუსტების შემდეგ, გამოყავით ცხრილში დეტალები და სრულად, ბოლო სვეტის ჩათვლით შეავსეთ, როგორც ეს მოცემულია ცხრილში 2-5. დაგეგმვა და განვითარება შეიძლება მოიცავდეს აუდიტორიის წევრთა სავარაუდო და მოვლენების უშუალო მონაწილეთა რაოდენობის აღრიცხვას. შეგიძლიათ, მოხაზოთ რეკლამის, კოლექციის განვითარების, კადრებისა და პარტნიორთა მუშაობის გეგმაც.

ცხრილი 2-5 პროგრამების სერიის გეგმა

სერიების/თემების დასახლება:						
პროგრამა/ ღონისძიება	სპონსორები/ დამფინანსებლები, რომლებსაც პროგრამის მსვლელობისას მადლობა უნდა გადაუხადოთ	წარმდგენელი (სახელი და/ან აღწერილობა)	ადგილი (ბიბლიოთე– კის ნაწილი/ კონკრეტული გარე ადგილი)	დაგეგმილი თარიღი (სავარაუდო ან დაგეგმილი)	მოსალოდნე ელი დასწრება	ფაქტობ რივი დასწრებ ა (დათვლ ილი)

რეკლამის გეგმა
კოლექციის განვითარების გეგმა
პერსონალის/მოხალისეების შერჩევის გეგმა
პარტნიორების/თანამშრომლების გამოვლენა და როლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტის შედგენა

ცხრილი 2-6 წარმოგვიდგენს იმ ძირითად კატეგორიებს, რომელთა გათვალისწინება დაგჭირდებათ პროგრამების სერიის ბიუჯეტის გამოთვლისას. მოცემული სვეტები მოიცავს სავარაუდო ხარჯების ტიპურ კატეგორიებს. „გამოთვლის მეთოდის“ გრაფაში მიუთითეთ, როგორ მიხვედით კონკრეტულ მაჩვენებლებამდე. მაგალითად: პრეზენტატორთა ჰონორარები: 3 წარმომადგენელი × თითო 250 დოლარი;

კოლექციის განვითარება: 50 პოეტური კრებული × საშუალოდ, თითო 15 დოლარი.

ბევრი დამფინანსებელი მოიძიებს ფინანსებს ფონდებიდან ან სხვადასხვა წყაროებიდან, შესაბამისად, ჯამურ მაჩვენებელში უნდა ჩაწეროთ ორივე – ხარჯები ნაღდი ფულით და არაპირდაპირი ხარჯები. თუ ადგილობრივი პარტნიორი საფოსტო ბარათების დაბეჭდვისთვის (ბრომო) გაიღებს 800 დოლარს, არაპირდაპირ ხარჯებში ჩაწერთ 800 დოლარს. წყაროები შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რომელ ხარჯს აფინანსებენ. მაგალითად, ადგილობრივი ხელოვნების სააგენტოს შეუძლია აანაზღაუროს მხოლოდ ხელოვანთა ჰონორარები, ხოლო „ბიბლიოთეკის მეგობრები“ სიამოვნებით უზრუნველყოფენ საუზმეს.

ცხრილი 2-6 პროგრამების სერიის ბიუჯეტი

აღწერილობა	გამოთვლის მეთოდი	რაოდენობა (ნაღდი ან სხვა ტიპის)	წყარო
თანამშრომლებისა და მოხალისეების დრო			
პრეზენტატორთა ჰონორარი			
პრეზენტატორთა მგზავრობის/განთავსების და მასპინძლობის ხარჯები			
პრომოს ხარჯები დიზაინი ბეჭდვა ფოსტა რეკლამა			
პროგრამის მასალები დიზაინი/ბეჭდვა შეძენა მიწოდება, დარიგება			
კოლექციის განვითარება			
აღჭურვილობა სივრცე ქირით აღჭურვილობა ქირით საუზმეები კვება			
სხვა			
სავარაუდო ხარჯები			

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი III

მონაწილეობის უზრუნველყოფა: აუდიტორიისა და ინტერაქტიული ჩართულობის განვითარება

კულტურა მსოფლიო ფენომენია, რომელიც ობიექტებს უკავშირდება; გართობა კი ცხოვრებისეული ფენომენი, რომელიც ადამიანებს აკავშირებს.

–ჰანა არენდტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლევისა და განვითარების ინსტიტუტის მიმოხილვის – „ახალი სტრუქტურა ხელოვნების სფეროში მონაწილეობის განვითარებისთვის“ ავტორებმა, მაკკარტიმ და ჯინტემა (2001, 2-3) დაასკვნეს, რომ ბოლო წლებში, ხელოვნების შესახებ სახოგადოებრივ პოლისებსა და ლიტერატურაში აქცენტები ხელოვნების მიწოდებასა და ხარისხზე შეიცვალა საზოგადოებისთვის ღია ხელმისაწვდომობითა და სახელოვნებო გამოცდილების გაზიარებით. ბიბლიოთეკები აღარ კმაყოფილდებიან მხოლოდ ხარისხით, კოლექციის სიღრმითა თუ ადმინისტრაციული საკითხებით და უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ თავიანთი აუდიტორიის გააქტიურებას.

ვინ არის ბიბლიოთეკის აუდიტორია?

ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკები რასის, კულტურის თუ ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, განათლებისა და ცხოვრების ეკონომიკური დონის მიხედვით, მრავალფეროვან აუდიტორიას იზიდავს. ბიბლიოთეკა უნიკალურია სხვა კულტურულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის, რადგან ის ყველასთვის ხელმისაწვდომია.

კვლევამ გამოავლინა ბიბლიოთეკის ფართო, მიდა აუდიტორია. 10 ზრდასრულთაგან 6-ზე მეტი (65 პროცენტი) წელიწადში ერთხელ მაინც შედის საჯარო ბიბლიოთეკაში; მკითხველთა 63 პროცენტი მამრობითი სქესისაა, 68 პროცენტი კი მდედრობითის. ბიბლიოთეკის აუდიტორია რასობრივად განსხვავებულია: ევროპული წარმომავლობის (65 პროცენტი), აფრიკული წარმომავლობის (63 პროცენტი), ლათინურამერიკული წარმომავლობის (58 პროცენტი), აზიური წარმომავლობისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებიდან (72 პროცენტი) და მკვიდრ ამერიკელთა (65 პროცენტი) უმრავლესობა ბიბლიოთეკების მომხმარებელია.

2002 წლის მარტში, კვლევისა და კონსულტაციის (KRC) ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა უმეტესობა 46 პროცენტი ბიბლიოთეკაში განათლების მისაღებად მიდის, 41 პროცენტი – გასართობად, ხოლო 90 პროცენტის აზრით, იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი ადგილია განათლებისა და თვითდახმარებისთვის. გასულ წელს, საჯარო ბიბლიოთეკის კლიენტთა საერთო რაოდენობის 14 პროცენტი დაესწრო ამა თუ იმ ზეპირ პრეზენტაციას, კინოჩვენებას ან სპეციალურ პროგრამას.

შედარებისთვის, 1997 წელს ხელოვნების ეროვნული განვითარების ორგანიზაციის გამოკვლევით, ზრდასრულთა 50 პროცენტი დაესწრო პრეზენტაციას, კინოჩვენებას ან სპეციალურ პროგრამას.

1997 წელს ხელოვნების განვითარების ეროვნული ცენტრის კვლევამ გამოავლინა, რომ ზრდასრულთა 50 პროცენტი ესწრებოდა ყოველი 7 წარმოდგენიდან ერთს (ჯაზი, კლასიკური მუსიკა, ოპერა, მიუზიკლი, თეატრალური წარმოდგენა, ბალეტი, სხვა საცეკვაო წარმოდგენები) ან ეწვია ხელოვნების მუზეუმს (1998, 14). ეს ჯგუფი უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირერიცხოვანია, ვიდრე ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებლები, მაგრამ მათი უმრავლესობა ესწრება პროგრამებს.

აკადემიური ბიბლიოთეკების უმრავლესობისთვის აუდიტორია არის თემი, რომელიც შედგება სტუდენტებისა და პედაგოგებისგან, ბიბლიოთეკებთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციებისა და ინდივიდებისგან, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ იმ უფრო დიდ თემებში, სადაც ბიბლიოთეკა დაარსდა. სასკოლო ბიბლიოთეკები ემსახურება საზოგადოებას, რომელშიც სტუდენტები, ფაკულტეტების წევრები, მშობლები და შესაბამისი აუდიტორია მოიაზრება, ხოლო სპეციფიკური ბიბლიოთეკების აუდიტორია უმეტესად სტუმარი ორგანიზაციების თანამშრომლებითა და კლიენტებით შემოიფარგლება. სპეციფიკური ბიბლიოთეკების აუდიტორია შეიძლება განსხვავდებოდეს დემოგრაფიული მახასიათებლებით, შესაძლებლობებითა და ორგანიზაციის მიმართ ინტერესებით.

ბიბლიოთეკის აუდიტორია ფართოა და გამოირჩევა მომსახურების დემოკრატიულობით. თითქმის ყოველი ამერიკელი სარგებლობს ბიბლიოთეკით. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ის ვერ იქნება „ყველაფერი ყველასთვის" – ბიბლიოთეკამ უნდა განავითაროს და „შეფუთოს" პროგრამები ისე, რომ მისაწვდომი გახადოს აუდიტორიის ყველა სამიზნე სეგმენტისთვის.

რატომ უნდა შევარჩიოთ აუდიტორია?

ბიბლიოთეკარებს თუ ვთხოვთ, აგვიწერონ მათი რომელიმე პროგრამის აუდიტორია, ბევრი მათგანი იწყებს საუბარს სხვადასხვა ტიპის „ზოგად აუდიტორიაზე", „ბიბლიოთეკის მომხმარებლებზე" ან „ადამიანებზე, რომლებიც ბიბლიოთეკის კარებს აღებენ". მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა ძალიან ინკლუზიურია, კარგად ვერ ასახავს საუკეთესო ან ფართო აუდიტორიას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიბლიოთეკას მრავალრიცხოვანი აუდიტორია ჰყავს, რომელთა სურვილი სხვადასხვა ტიპის განათლება და გართობაა, მნიშვნელოვანი ხდება სპეციფიკური, სამიზნე აუდიტორიების განსაზღვრა. ეს, როგორც მიზნების დასახვისა და დაგეგმვის პროცესის ნაწილი, დაგეხმარებათ უფრო ეფექტური წამყვანების დადგენაში, შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას თუ დაგეგმვისა და პრომოს პროცესში აუდიტორიის წევრების ჩართვაში, ყოველივე ამის შედეგად კი აქტიურად ჩართულ და მადლიერ აუდიტორიას მიიღებთ.

კვლევისა და განვითარების ინსტიტუტის გამოკვლევის – „ახალი სამუშაო სტრუქტურა" (მაკარტი და ჯინეტი 2001,21) – მიხედვით, ორგანიზაციებს აქვთ ტენდენცია, შეარჩიონ და შეაფასონ აუდიტორია მხოლოდ მათ შესახებ არსებულ სოციოდემოგრაფიულ ინდიკატორებზე დაყრდნობით. თუმცა მოტივაცია და დამოკიდებულებაა ის მახასიათებლები, რომლებიც რეალურად განსაზღვრავს ინდივიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებას – მიიღოს მონაწილეობა პროგრამაში. ამ ფაქტორებზე გავლენის მოხდენა შესაძლებელია. უფრო მეტიც, ინდივიდის გადაწყვეტილებები კომპლექსური და განმეორებადია - იგი ემყარება დემოგრაფიულ, პიროვნულ, კულტურულ, პრაქტიკულ ფაქტორებს ისევე, როგორც ხელოვნების სფეროში არსებულ გამოცდილებასა და დამოკიდებულებას. ბიბლიოთეკებმა უნდა შეძლონ ამ ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოპოვება აუდიტორიის გააქტიურებისთვის.

2001 წლის გამოკვლევის მიხედვით, ბიბლიოთეკებმა გაიაზრეს, რომ, ზოგადად, სახელოვნებო პროგრამებში ადამიანების მონაწილეობას სპეციფიკური მიზეზები და მოტივაცია განაპირობებს. ეს მიზეზები ემთხვევა მიზეზებს იმისას, თუ რატომ ვმონაწილეობთ ბიბლიოთეკის კულტურულ პროგრამებში. მათ შორისაა:

- *საკუთრივ მასალით დაინტერესება (90 პროცენტზე მეტი);*
- *სოციალური ურთიერთობის შესაძლებლობა (70 პროცენტი);*
- *ხელოვნების შესწავლის სურვილი (60 პროცენტზე მეტი);*
- *ოჯახის წევრის ან მეგობრის თანხლება (55 პროცენტზე მეტი);*
- *განათლება და განვითარება (55 პროცენტი);*
- *მოვლენასთან დაკავშირებული რეკლამა (30 პროცენტი);*
- *შემოქმედებითი თვითგამოხატვის მოთხოვნილება (25 პროცენტი);*
- *საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა (20 პროცენტი);*
- *სამოყალაქო პასუხისმგებლობა (8 პროცენტი) (გვ. 86).*

ბიბლიოთეკის პროგრამებიდან მიღებული გამოცდილება განამტკიცებს კვლევის შედეგებს იმის შესახებ, რომ, მიუხედავად დემოგრაფიული ინდიკატორებისა, ყველაზე ძლიერი მოტივაცია მასალით დაინტერესებაა. მაგალითად, როდესაც ფლინტმა (მიჩიგანი), როგორც საპილოტე მხარემ, მიიღო მონაწილეობა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პროგრამაში – „მწერლები ცხოვრობენ ბიბლიოთეკაში“, ბიბლიოთეკის დაგეგმვის კომიტეტმა მრავალ ორგანიზაციასთან ერთად იმუშავა ინდივიდუალური პროგრამების დაგეგმვასა და თანადაფინანსებაზე; მან ფოკუსირება მოახდინა იმ ხელოვანებზე, რომლებიც სპონსორი ორგანიზაციების ინტერესებსა და ხასიათს გამოხატავდნენ. ადგილობრივ აფრიკელ ამერიკელთა ლიტერატურულ კლუბთან მუშაობისას, ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოაწყო ცნობილ ლიტერატორთან, მისტიკური ნოველების ავტორთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უოლტერ მოსლისთან. ვიეტნამის ომის ადგილობრივი ვეტერანებისთვის კი მოიწვია ლარი ჰაინემანი, პულიტცერის პრემიის ლაურეატი, ავტორი წიგნისა - „პაკოს ამბავი". გენესის ხეობის ინდიელთა ცენტრმა დაფინანსა წარმოშობით ამერიკელი მწერლის, ჯეიმს უელჩის წარმოდგენა, რომლის შემოქმედებაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

მეორე ბიბლიოთეკამ საპილოტე პროექტში პროგრამის – „**მწერლები ცხოვრობენ**" – სერიისთვის მოიწვია მწერალი სტიუარტ დიბეკი. დიბეკმა თავისი ლექსები და მოთხრობები სპეციალურად დაუკავშირა ყოველ ღონისძიებაში მონაწილე აუდიტორიას. როტარის ლანჩზე, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა მამრობითი სქესის იყო, ავტორმა წაიკითხა ნოსტალგიური ხასიათის იუმორისტული მოთხრობა, რომლის გმირი თინეიჯერი ექსცენტრიული მამის შესახებ გვიამბობს. ავტორი დაწყებითი სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებს ესაუბრა მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ და წერის გაკვეთილი ჩაუტარა. საბიბლიოთეკო პროგრამაში მწერლებისთვის დიბეკმა წაიკითხა ლექსები და ნოველები უფრო რთულ თემებზე, ხოლო აუდიტორიასთან დიალოგის ფორმატში ისაუბრა შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ.

მივწვდეთ მიუწვდომელს

მიუწვდომელი აუდიტორიის დადგენა სხვადასხვა გზით შეიძლება. ალბათ, უფრო მრავალფეროვან, ფართო აუდიტორიას ეძებთ, ან გსურთ, რომ არსებულმა აუდიტორიამ უფრო აზრიანი და მდიდარი გამოცდილება მიიღოს. პროგრამის ეფექტურობისა და მრავალფეროვანი, მიუწვდომელი, თუ საერთოდ, ნებისმიერი სახის აუდიტორიის მოზიდვისთვის, პროგრამის მონაწილეთა შერჩევისას გასათვალისწინებელია ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები:

განსაზღვრეთ, ვისთვის არის პროგრამები – აუდიტორია შეიძლება განსაზღვრის არა მხოლოდ დემოგრაფიული (მაგალითად, ასაკი, ეროვნება, განათლება, შემოსავალი), არამედ გეოგრაფიული და ქცევითი ინდიკატორებითაც. ერთმანეთისგან განსხვავდება პროგრამა შედარებით ასაკოვანი, დაბალშემოსავლიანი, ფოლკლორული მუსიკის მოყვარულთათვის, რომელთა ტრანსპორტირების საკითხიც გასათვალისწინებელია და პროგრამა კოლეჯის ლათინური წარმომავლობის სტუდენტებისთვის; ამ უკანასკნელთ, აკადემიური ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამის სახელოვნებო პროგრამებში მონაწილეობასთან ერთად, თანატოლებთან ურთიერთობაც სურთ.

მოიწვიეთ მაგიდასთან გავლენიანი ხმები – იმუშავეთ ჯგუფებთან და ინდივიდებთან სასურველი აუდიტორიის განსაზღვრისა და მოზიდვისათვის. ორგანიზაციებთან, წამყვანებთან და სამიზნე აუდიტორიის წევრებთან თანამშრომლობა ამ ჯგუფების მოტივაციებისა და დამოკიდებულებების უკეთ გაცნობის შესაძლებლობას გვაძლევს. ასეთი თანამშრომლები გავლენას ახდენენ პროგრამებზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეხმარებიან თავიანთი შესაძლებლობებით, შემოქმედების თაყვანისმცემლებითა და აუდიტორიის სხვა წევრებით.

დაადგინეთ და დაძლიეთ მონაწილეებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები - მოტივაციები, აღქმა, პრაქტიკული საკითხები; შესაძლოა, ყველა ეს ფაქტორი პოტენციურ ბარიერს წარმოადგენდეს კერძო პირთა მონაწილეობისთვის. პრაქტიკულ და პიროვნულ ბარიერთა შორის იქნება: ბავშვზე ზრუნვის საკითხები, ტრანსპორტის პრობლემები, ზედმეტი დისტანცია, მოუხერხებელი დრო ან ადგილმდებარეობა, დროის სიმცირე ან მეგობრის მოუცლელობა, სხვა საქმეები და ურთიერთგაგების ნაკლებობა. აღქმითი ბარიერები შეიძლება მოიცავდეს ურთიერთობის ნაკლებობას, დისკომფორტსა და ელიტიზმს.

გაუზიარეთ სხვებს თქვენი საკუთრება – პარტნიორი ორგანიზაციები, ბიბლიოთეკის კადრები და ხელმძღვანელობა, დამფინანსებელი სააგენტოები, მედია, ადგილობრივი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები – ყველა უნდა გრძნობდეს, რომ მათი მოსვლა უხარიათ. ნამდვილი თანამშრომლობა პროგრამის მომზადებაში ბევრი ჯგუფისა და ინდივიდის მონაწილეობას გულისხმობს და, შესაბამისად, წარმატებული შედეგები მათიც არის.

დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის შესახებ კითხვებზე პასუხების და ინფორმაციის შეგროვების ფორმა შეიძლება განსხვავდებოდეს – თანამშრომლებთან, საზოგადოების წევრებთან, დაგეგმვის კომიტეტის წევრებთან, პოტენციურ წამყვანებსა და წარმომადგენლებთან, თანამშრომელ ორგანიზაციებთან არაოფიციალური საუბრები, ფორმალური კვლევა, მარკეტინგული კვლევა და ფოკუს - ჯგუფების გამოკითხვა.

აღრიცხვა: რამდენკაციანი აუდიტორია ითვლება ოპტიმალურად?

ერთი მიზანია აუდიტორიის სწორად შერჩევა, მეორე კი მრავალრიცხოვანი მსმენელის მოზიდვა. ვისაც პროგრამის მომზადების გამოცდილება აქვს, იცის, რა რთულია აუდიტორიის სიდიდის საკითხი. ბიბლიოთეკისთვის პროგრამის დამსწრეთა რიცხვი პროგრამის წარმატების ერთ-ერთი მაჩვენებელია. თუმცა, ყველა პროგრამა არ არის გათვალისწინებული მუდმივი აუდიტორიისთვის.

1998 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ბიბლიოთეკების მიერ ზრდასრულთათვის განხორციელებული პროგრამების დამსწრეთა სპექტრი ძალზე ფართოა. წლიურად დასწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 10.000 კაცზე მეტს ითვლის (7.0 პროცენტი; ALA/PPO 1999a). ბიბლიოთეკების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა აღნიშნა, რომ მათ პროგრამებს წლიურად 500-მდე ადამიანი ესწრება (48.4%; iv). რაოდენობრივი ცვლილებების გათვალისწინებით, გამოვლინდა მნიშვნელოვანი რეგიონული და სხვა სახის განსხვავებები პროგრამების ტიპების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთ კაროლინის წიგნის ცენტრის დირექტორმა, ფრენი უშბარნმა (სახელმძღვანელოს ავტორი კულტურის პროგრამების შესახებ სემინარისთვის) გამოთვალა მონაწილეობის სიხშირის ერთეულის ფორმულა (Intensity of participation units/IPU), რომლის მიხედვით, ზოგადად, პროგრამებში მონაწილეობის ინტენსიურობა მონაწილეთა რაოდენობის უკუპროპორციულია; შესაბამისად, დამსწრეთა მარტივი დათვლა ყოველთვის არ გვაძლევს სრულ ინფორმაციას პროგრამაში ინვესტირების ღირებულებაზე. მაგალითად, ფართო აუდიტორიისთვის მოწყობილმა მოვლენამ ცნობილი წამყვანის მონაწილეობით შესაძლოა მიიზიდოს 200 ან უფრო მეტი მაყურებელი, მოძრავმა (მოგზაურმა) გამოფენამ – ათასობით ადამიანი, ხოლო წიგნის შესახებ ხუთნაწილიან დისკუსიას ან ოთხნაწილიან წერით სემინარს, სავარაუდოდ, ერთ ჯერზე 25 ადამიანი დაესწრება. განსხვავება არის (1) დროის იმ ხანგრძლივობაში, რომელსაც მონაწილე დებს პროგრამის მომზადებაში, დასწრებასა და მონაწილეობაში და (2) ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობის შედეგად, ხანგრძლივი შემეცნებითი ზრდის შეფარდებით მონაცემებს შორის.

მათ, ვისაც ნამდვილად სურს დიდი რიცხვის მიღება, ეშბარნი ურჩევს ფორმულის (IPU) გამოყენებას ღონისძიებათა გავლენის ილუსტრირებისთვის, ოთხი შემდგომი მაგალითით:

ერთსაათიანი ლექცია მომდევნო კითხვა-პასუხით, ესწრებოდა 200 ადამიანი:

200 × 1 საათი = <u>200 IPUs</u>

დისკუსიების ციკლი: *„მოდით, ვისაუბროთ ამაზე“*
დასწრება: 25 ადამიანი.

25 ადამიანი × 40 საათი* = <u>1000 IPU</u>

* 40 საათი = ბიბლიოთეკის პროგრამებზე დასწრების 10 საათი
(5 ორსაათიანი პროგრამა) + 30 კითხვის საათი (5 წიგნი × 6 საათი – დაბალი შეფასება – პროგრამისთვის მომზადება)

ერთი დოკუმენტური ფილმის ჩვენება/დისკუსიების ციკლი
დასწრება: 25 ადამიანი:

25 ადამიანი × 15 საათი† = <u>375 IPU</u>

† 15 საათი = 12 პროგრამაზე დასწრების საათი (6 ორსაათიანი პროგრამა) + 3 მხატვრული კითხვის საათი (6 პროგრამა × ½ მხატვრული კითხვის საათი პროგრამისთვის მოსამზადებლად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი პოეზიის საღამო/ჩვენება/მოსმენა/დისკუსიების ციკლი
დასწრება: 25 ადამიანი.

25 ადამიანი X 18 საათი‡ = 450 IPU

‡ 18 საათი = 12 ბიბლიოთეკაში პროგრამაზე დასწრების 12 საათი
(6 პროგრამა × თითო 2 საათიანი) + მხატვრული კითხვის 6 საათი
(6 პროგრამა × მხატვრული კითხვის 1 საათი ყოველი პროგრამისთვის).

ეშბარნის მიხედვით, „ერთსაათიანი ლექცია 8-ჯერ უფრო დიდ აუდიტორიას იზიდავს, ვიდრე ციკლების ნებისმიერი სხვა პროგრამა. ზოგადად, ციკლებში მონაწილეობის მაჩვენებელიც უფრო მეტია. ადამიანები უფრო მეტს იღებენ იმ ღონისძიებებიდან, რომელშიც მონაწილეობენ – *კითხვა, დათვალიერება, დისკუსია* – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი შენამენი თქვენი შენატანის პირდაპირპროპორციულია“.

დასასრულ, პროგრამის დაგეგმვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოვლენისა და სერიისთვის მონაწილეთა რაოდენობის სწორად განსაზღვრას, აუდიტორიის ტიპისა და დემოგრაფიული მაჩვენებლის გათვალისწინებით; მნიშვნელოვანია სავარაუდო აუდიტორიის სიდიდის შეძლებისდაგვარად ზუსტი შეფასება, რათა თავიდან ავიცილოთ ძალზე მრავალრიცხოვანი აუდიტორიის მოლოდინი. აქტიური დამსწრეების დათვლა და გათვალისწინება დაგვეხმარება მოქმედებების ანალიზსა და მომავალი პროგრამების დაგეგმვაში. მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ მომავალ აუდიტორიასა და მის მოტივაციებს, უნდა მოიძიოთ შესაბამისი თანამონაწილეები, რომლებიც დაგეხმარებიან მათ მოზიდვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ ა ვ ი IV

თანამშრომლობა

თანამშრომლობა არ აადვილებს მუშაობის პროცესს, მაგრამ აუმჯობესებს პროგრამებს.

– დებრა უილკოქს ჯონსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლობა მართლაც აუმჯობესებს პროგრამებს. ახალი იდეები, უფრო გააზრებული პროგრამები, დიდი რესურსები, ფართო და მრავალფეროვანი აუდიტორია, ურთიერთობა, რომელიც გაამდიდრებს მომავალ ღონისძიებებს; ეს ყოველივე მხოლოდ დიდი შრომისა და წარმატებული თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა.

ვისთან ვთანამშრომლობთ? მეგობრები და სხვა პარტნიორები

ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფები თანამშრომელთა ძირითადი საყრდენი ბირთვია. ოთხიდან სამი საჯარო ბიბლიოთეკა თანამშრომლობს ორგანიზაციასთან „ბიბლიოთეკის მეგობრები“ (74 პროცენტი); ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის 1998 წლის გამოკვლევის (ALA/PPO 1999a, 10-11) მიხედვით, ზრდასრულთა პროგრამებს ყველაზე ხშირად სწორედ მეგობართა ჯგუფი აფინანსებს (91 პროცენტი). მეგობრების მხრიდან სხვა მნიშვნელოვანი დახმარებებია: საუზმეები, აუდიტორიისა და მოხალისეების მოზიდვა და რეკლამა. ბიბლიოთეკების ნახევარზე მეტი კულტურის პროგრამების მომზადებისას, სულ მცირე, ერთ გარე ჯგუფთან მაინც თანამშრომლობს. თანამშრომელთა შორის ყველაზე ხშირად გვხვდება ხელოვანთა ჯგუფები (40 პროცენტი), ისტორიკოსთა საზოგადოებები (33 პროცენტი), საზოგადოებრივ საფუძვლებზე შექმნილი ორგანიზაციები (32 პროცენტი), გაზეთები (30 პროცენტი) და მწერალთა ჯგუფები (24 პროცენტი). სხვა კვლევების თანახმად, კლუბადი თანმიმდევრობით, პარტნიორი ორგანიზაციები არის: ადგილობრივი ბიზნეს-ორგანიზაციები, წიგნის მაღაზიები, მუზეუმები, სერვის-კლუბები, დაწყებითი და საშუალო სკოლები, სხვა ბიბლიოთეკები, ოთხწლიანი კოლეჯები და უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო პროგრამები, რადიოსადგურები, დრამატული წრეები, სატელევიზიო სადგურები და ორწლიანი სახალხო კოლეჯები.

ბიბლიოთეკებს გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სხვადასხვა სტილი აქვთ. პარტნიორ ორგანიზაციათა მიერ დაფინანსება ძირითადად მიმართული იყო პროგრამების წამყვანთა (57 პროცენტი), რეკლამირების (54 პროცენტი), აუდიტორიის/ პროგრამის დამსწრეთა (45 პროცენტი) დასახმარებლად; აგრეთვე, დაგეგმვისა და კონსულტაციის, ფონდების გაზრდის, პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად მოხალისეების მოზიდვის, პროგრამის საუზმით უზრუნველყოფისთვის; ზოგიერთი მათგანი პროგრამას ტექნიკური აღჭურვილობით ან სივრცით, ბეჭდვითი მომსახურებით თუ სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფს.

ამ ტიპის თანამშრომლობა ხელს უწყობს ნებისმიერ ბიბლიოთეკას აუდიტორიის განვითარებაში. პროგრამის განვითარებისა და პრეზენტაციისთვის სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობისას, მათი წევრებიც უერთდებიან თქვენს აუდიტორიასა და ამდიდრებენ პროგრამის შინაარსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტნიორებს შეუძლიათ, მოგაწოდონ იდეები პროგრამისა და წამყვანების შესახებ, დაეხმარონ ბიბლიოთეკას ახალი აუდიტორიასთან ურთიერთობაში. მაგალითად, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პროგრამის „LIVE! @ your library" ეფექტურ პარტნიორთა შორის შეიძლება დასახელდეს ადგილობრივი სკოლები და კოლეჯები (განსაკუთრებით, სახალხო კოლეჯები), ხელოვანთა და მწერალთა ორგანიზაციები, თემის ჯგუფები, რომელთა წევრებისთვის შეიქმნა პროგრამები (მაგალითად, ახალგაზრდები, ეთნიკური და კულტურის ან გარკვეულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფები). მაკკარტი და ჯინეტიც იმავეს აღნიშნავენ თავიანთ მოხსენებაში კვლევისა და განვითარების ინსტიტუტის გამოკვლევის შესახებ (2001, 75). სახელოვნებო ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოებრივ ჯგუფებთან თანამშრომლობდნენ, ამის მთელ რიგ მიზეზებს ასახელებენ: საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება, ღონისძიებათა ხელშეწყობა, მეიღების სიის გაზიარება, ღონისძიებების ჩამოყალიბება, წარმოდგენისთვის სივრცის დათმობა, ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა, პოლიტიკური მხარდაჭერის ჩვენება, ხელოვანებთან კონტაქტების დამყარება, ტექნიკური ხელშეწყობა, კონსულტაციები პროგრამების თაობაზე, რესურსების, მათ შორის, ფონდების, კადრების, აღჭურვილობისა და ოფისის ფართის გაზიარება.

ერთი წიგნის პრეზენტაცია – მრავალი პარტნიორი

განსაკუთრებით პოპულარული გახდა ინიციატივა „ერთი საზოგადოება, ერთი წიგნი", რომელიც ეფექტური გზაა საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის. პეორიის (ილინოისი) საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა, მეგი ნელსონმა მრავალი მხარდამჭერი და პარტნიორი მოიზიდა მუშაობისას ციკლზე – „პეორია კითხულობს!" პეორიის ყველა მცხოვრებმა წაიკითხა ერნესტ ჰ. ჰეინსის „ბაკვეთილი სიკვდილის წინ" (*A Lesson before Dying*) ამ მრავალმხრივი, საქალაქო მასშტაბით გამართული საზოგადოებრივი ღონისძიების ფარგლებში. გამოცემულ ბროშურაზე ჩამოთვლილ საზოგადოებრივ პირთა სიაშია (იხ. ცხრილი 4-1) პეორიას განვითარების საზოგადოებისა და აფროამერიკული მუზეუმის წარმომადგენლები, რამაც აუდიტორიის მრავალფეროვნება განაპირობა.

2003 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, პროგრამის „ერთი ყურე, ერთი წიგნი" – ფარგლებში, ნიუ-ჰორტ-რიჩის (ფლორიდა) საჯარო ბიბლიოთეკამ ტომ ვოლფის წიგნის „საჭირო რადაც" (*The Right Stuff*) პრეზენტაცია მოაწყო. ღონისძიებაში მრავალი პარტნიორი მონაწილეობდა, მათ შორის, „Fantasy of Flight aircraft" თავისი კოლექციით, სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო აეროპორტის, ფლორიდის ჰუმანიტარული საბჭო, ჰერნანდოსა და პასკოს საგრაფოების საბიბლიოთეკო სისტემები, პინელას საჯარო ბიბლიოთეკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანება, ,,სანკტ-პეტერბურგ თაიმსის" კითხვის ფესტივალის, ,,შეხვედრა ვარსკვლავებთან", სანკტ-პეტერბურგის ისტორიის მუზეუმი, სთარბაკსი და ტამპა-ბეის საბიბლიოთეკო კონსორციუმი. პროგრამები მოიცავდა საბიბლიოთეკო და სასკოლო სადისკუსიო ჯგუფების შექმნას, ფილმების ჩვენებას, შეჯიბრებებსა და პროგრამას St. Petersburg Times -ის კითხვის ფესტივალისთვის.

2003 წელს ლინკოლნ-სითის (ნებრასკა) ბიბლიოთეკებმა ,,Lincoln Journal Star"-თან ერთად, განახორციელეს პროექტი – „ერთი წიგნი, ერთი ლინკოლნი". პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო ან პატჩეტის მოთხრობა „ბელკანტო". პროგრამის მხარდამჭერები იყვნენ: ლინკოლნის ახალი ამბების რადიოსადგური KFOR 1240, „ლამარის გარე რეკლამები" და ნებრასკას ჰუმანიტარული საბჭო. სხვადასხვა საჯარო ბიბლიოთეკებთან ერთად, სექტემბრიდან ნოემბრამდე ბიბლიოთეკამ მოაწყო ტრენინგების ციკლი „ბელკანტოს" თემაზე დისკუსიებით დაინტერესებული წაყვანებისთვის. პროგრამები მოეწყო თემებზე: ოპერის შეფასება (ნებრასკა-ლინკოლნის უნივერსიტეტში წარმოადგინა ოპერის მეგობრებმა), თარგმანი, სამხრეთ ამერიკული მუსიკა, წერის ტექნოლოგია, აგრეთვე, ის სხვადასხვა ფორმები, რომლითაც სიყვარული ვლინდება შემოქმედებაში.

გალვესტონში (ტეხასი) როზენბერგის ბიბლიოთეკამ 2003 წელს წარმოადგინა გალვესტონის მხატვრული კითხვის პროგრამა: ტ. კორაგისენ ბოილის წიგნი „ტორტილას ფარდა". წიგნის კომიტეტმა გალვესტონის მხატვრული კითხვის პროგრამის კომიტეტს სამი წიგნის განხილვისთვის რეკომენდაცია მისცა; კომისიის წარმომადგენლები იყვნენ: „Galveston County Daily News"-ის, გალვესტონში არსებული ტეხასის უნივერსიტეტის სამედიცინო ფილიალის, „Texas A&M", გალვესტონის კოლეჯის, გალვესტონის კერძო სკოლების, „Midsummer Books"-ის, როზენბერგის ბიბლიოთეკის თანამშრომლები და კერძო პირები. გალვესტონის (ტეხასი) წიგნის კომიტეტმა ბოილის „ტორტილა ფარდა" როზენბერგის ბიბლიოთეკის ბენეფაქტორს, ჰენრი როზენბერგს მიუძღვნა. აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ 100 წლის იუბილე 2004 წელს აღნიშნა.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მოძრავი გამოფენები – თანამშრომლობის ნიმუშები

ბიბლიოთეკებმა, რომლებიც ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის მოძრავ გამოფენებს მასპინძლობენ, ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დიდი უნარი გამოავლინეს; ეს კიდევ უფრო ამდიდრებს საგამოფენო პროგრამების თემატიკას და ზრდის ფართო საზოგადოების აქტიურობას.

FIGURE 4-1 Peoria Reads! Event Brochure Listing Partners

"Peoria Reads!"

initiated locally by the Peoria Public Library and Common Place, this exciting program is modeled after "One City, One Book" projects in Seattle, Washington; Rochester, New York; Syracuse, New York and Chicago, Illinois.

The Goals of "Peoria Reads"

- To bring our community together in ways to promote better understanding of our diverse population.
- To increase opportunities for dialogue among individuals of all ages and backgrounds.
- To broaden and deepen readers' appreciation for books dealing with significant issues.
- To bring more people into libraries, bookstores, and literacy institutions.

Community Partners

Adams Outdoor Advertising
African American Museum
Alliance Library System
American Library Association "Writers Live" Project
Area Colleges and Universities
Barnes & Noble
CityLink
City of Peoria
Common Place
Friends of Peoria Public Library
Illinois Central College
Lincoln Middle School Builder's Club
National City Bank
Peoria Area Community Foundation
Peoria Empowerment Committee
Peoria Federation of Teachers
Peoria Journal Star
Peoria Housing Authority
Peoria Public Library
Peoria School District
Regional Office of Education
Robert Morris College
Tri-County Urban League
WTVP Channel 47

Partners list March 13, 2002

March and April 2002

Peoria Reads!

A Lesson Before Dying

by Ernest J. Gaines



Join us in an exciting new project to promote reading, spark discussion, and bring our community together because of one significant book. Then take part in a variety of special events scheduled throughout our community.

For more information, call: CommonPlace 674-3315 or Peoria Public Library 497-2200

Courtesy of the Peoria Public Library, Peoria, Illinois

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აბა, გამოიცანი!“ ანუ მივწვდეთ მიუწვდომელ ჯგუფს

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მომრავი გამოფენა „აბა გამოიცანი!“, რომელიც მინესოტას საბავშვო მუზეუმთან ერთად მომზადდა, 2-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მათ მშობლებს საბავშვო წიგნების საშუალებით წარმოუდგენს მათემატიკის მშვენიერ სამყაროს და მის მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში; მათ შორის, წიგნებით: მარკ ბრაუნის „Arthur's Pet Business“, პეტ ჰატჩინსის „The Doorbell Rang“; ენ ჯონასის „The Quilt“; არნოლდ ლობელის „Frog and Toad Are Friends: A Lost Button“ და „Goldilocks and the Three Bears“ ჯეიმს მარშალის ილუსტრაციებით.

ბიბლიოთეკებმა ეს გამოფენა ადგილობრივ მუზეუმებთან ერთად მოამზადეს, განსაკუთრებით აქტიური იყო სამეცნიერო ადმოჩენების მუზეუმთან თანამშრომლობა, პარტნიორთა შორის იყვნენ აგრეთვე: სერვისის ორგანიზაციები, კოლეჯების საგანმანათლებლო კლასები, წიგნის მაღაზიები და საგანმანათლებლო ჯგუფები.

ამ საგამოფენო ტურის მიზანი იყო მიუწვდომელი საზოგადოების მოზიდვა. ესპანურ ენაზე დაბეჭდილი საგამოფენო ბროშურები მიეწოდა ესპანურენოვან თემებს. ბიბლიოთეკების უმრავლესობა მუშაობდა პროგრამა „Head Start“–ის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის ბავშვზე ზრუნვის პროგრამებთან, საგანმანათლებლო გაერთიანებებთან, ლტოლვილთა რესურსების ქსელთან, უსახლკაროთა თავშესაფრებთან, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტებთან და სხვა სოციალურ ორგანიზაციებთან, რომელთა სამიზნეა რისკ–ჯგუფები და მიუწვდომელი ჯგუფები; ბევრმა ბიბლიოთეკამ მოიძია დაფინანსება ბიბლიოთეკაში აღნიშნული ჯგუფის ბავშვების ტრანსპორტირებისთვის.

გამოფენებმა ხელი შეუწყო კონტაქტებს ბიბლიოთეკებსა და სოციალური სამსახურის ჯგუფებს შორის, რაც მათ მნიშვნელოვნად დაეხმარება მომავალი პროგრამების შექმნაში ამ ჯგუფის (რისკის ჯგუფები და მიუწვდომელი აუდიტორია) მშობლებისა და ბავშვებისთვის.

ბიბლიოთეკებმა დაადგინეს ის სფეროები, რომლებშიც აღნიშნული გამოფენა საბავშვო პროგრამების განვითარებას შეუწყობს ხელს: (1) გაგრძელდება თანამშრომლობა თემის პარტნიორებთან, როგორებიცაა: „Head Start“, ბავშვზე ზრუნვის სპეციალისტები, სოციალური სააგენტოები, სკოლები 2-7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის; (2) ბიბლიოთეკები დაგეგმავენ და განავითარებენ პროგრამებს, განმეორებით წარმოადგენენ წიგნებსა და მათემატიკურ კონცეფციებს ბავშვებისთვის, რომლებიც სპეციალურ მზრუნველობას საჭიროებენ; (3) გაფართოვებენ მარკეტინგის მომსახურებასა და რესურსებს ადგილობრივ უმცირესობასა და რისკის ჯგუფის მოსახლეობასთან კონტაქტების გაუმჯობესებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკენშტაინი ითაკაში

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მხარდაჭერით და ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის შედეგად, ტომკინსის საგრაფოს საჯარო ბიბლიოთეკის (ნიუ-იორკი/ითაკა) მიერ მოწყობილმა მოძრავმა (მოგზაურმა) გამოფენამ „ფრანკენშტაინი: ბუნების საიდუმლოს შეცნობისთვის“ და მასთან დაკავშირებულმა პროგრამებმა დიდი გავლენა მოახდინა ფართო საზოგადოებაზე. ამ ღონისძიებებს შორის იყო ღია ფორუმი ბიბლიოთეკაში, რომელსაც ქალაქის 70-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა ადგილობრივი ბიზნესის, საგანმანათლებლო, რელიგიური თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან; საჯარო კითხვის პროექტები მიეძღვნა მერი შელის „ფრანკენშტაინს“. დაიბეჭდა ფლაერები, პრეს-რელიზები, ბროშურები, ინფორმაცია გავრცელდა მედიაში. საჯარო ბიბლიოთეკა მუშაობდა კორნელის უნივერსიტეტთან, სხვა ადგილობრივ ინსტიტუტებსა და სკოლებთან რეგიონის ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტსა და სხვა საზოგადოებრივ ცენტრებში ფრანკენშტაინის ფესტივალის პროგრამაში 100000 მაცხოვრებელს აქტიური ჩართვისთვის.

2002 წლის 29 ოქტომბერს ეროვნულმა საზოგადოებრივმა რადიო პროგრამამ „Weekend Edition Sunday“ სპეციალური შვიდწუთიანი გადაცემა მიუძღვნა პროგრამას. ადგილობრივმა რადიოსადგურებმა გააშუქეს ფესტივალის მიმდინარეობა, ხოლო საკაბელო ტელევიზიამ ხელოვნური ინტელექტის თემაზე გამართული საზოგადოებრივი დისკუსია პირდაპირი ეთერით გადმოსცა, ერთ შაბათ-კვირას პასტორემა თავიანთ გამოსვლებში ისაუბრეს ფრანკენშტაინის თემაზე. ბიბლიოთეკამ და კორნელის უნივერსიტეტმა ვებ-გვერდები შექმნეს აღნიშნული პროგრამისა და დისკუსიის თემის შესახებ.

ეს თანამშრომლობა შეიძლება შევაფასოთ იმის მიხედვით, რომ გამოფენას 15000 დამთვალიერებელი ესტუმრა, ხოლო 17 პროგრამაში დაახლოებით 500 ადამიანი მონაწილეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მერი შელის ნოველა უმაღლესი სკოლის დაახლოებით 2000 სტუდენტის, 3000 პირველკურსელისა და კორნელის უნივერსიტეტის 300 პედაგოგის საკუთარი თემა იყო.

კორნელის უნივერსიტეტმა მერი შელის „ფრანკენშტაინის“ 1800 ეგზემპლარი გადასცა ბიბლიოთეკას. თავის მხრივ, ბიბლიოთეკამ 200 ეგზემპლარი გამოიყენა, დანარჩენი კი გაუნაწილა: სამი თემის სამკითხველო ცენტრებს, ოთხი სოფლის ბიბლიოთეკას, პენსიონერთა საზოგადოებებს, სკოლებს, საზოგადოებრივ ცენტრებს, სამოქალაქო კავშირებსა და რელიგიურ გაერთიანებებს. საბჭოებმა წიგნის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 15 პროცენტი ბიბლიოთეკას გადასცეს. წიგნის ელექტრონული ვერსია განთავსდა ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე. ზუკინისტების მაღაზიებმა წიგნის გაყიდვის ბრწყინვალე შედეგები აჩვენეს. ორმა მხატვრული კითხვისა და სადისკუსიო ჯგუფმა შეხვედრა მოაწყვეს ბიბლიოთეკაში, ხოლო საგრაფოს მასშტაბით, 20-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი მხატვრული კითხვის ჯგუფი შეხვდა ერთმანეთს „ფრანკენ-შტაინის" თემაზე დისკუსიის მოსაწყობად.

კორნელის უნივერსიტეტმა დაფინანსა საზოგადოებრივი პროგრამები საკურსო პრეზენტაციასთან ერთად: „ფრანკენჩიტის" შეჯიბრი VIII კლასამდე ბავშვებისთვის, ფილმების ჩვენება ფართო საზოგადოებისთვის, „მონსტრების შეხვედრა" ფაკულტეტის წევრების მონაწილეობით და ვიდეო-ლექციების ციკლი კორნელის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული წიგნის შესახებ. ბიბლიოთეკის 7 პარტნიორმა ადგილობრივი კვლევის ცენტრში წარმოადგინა პროგრამები. ესენი იყვნენ: კაიუგას საბუნებისმეტყველო ცენტრი, კორნელის უნივერსიტეტის ორნითოლოგიური ლაბორატორია, ჰერბერტ ფ. ჯონსონის ხელოვნების მუზეუმი, ტომპკინის საგრაფოს მუზეუმი, სამეცნიერო ცენტრი, „კორნელის პლანტაციები", პალეონთოლოგიური კვლევის ინსტიტუტი.

ფრანკენშტაინი და თანამშრომლობა ბიბლიოთეკებს შორის

მოძრავი გამოფენის „ფრანკენშტაინის" უნიკალური წარმოდგენა თემის სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების თანამშრომლობის შედეგია. ტური მოიცავდა 37 შტატის 82 ბიბლიოთეკას – 47 საჯარო ბიბლიოთეკას, 8 სამედიცინო ბიბლიოთეკას, 27 აკადემიურ ბიბლიოთეკას. რამდენიმე შემთხვევაში, აკადემიურ და სამედიცინო ორგანიზაციებთან ერთად, პროგრამებზე ერთი და იმავე რეგიონის საჯარო ბიბლიოთეკები მუშაობდნენ. თანამშრომლობამ ხელი შეუწყო მარკეტინგის საკითხებში ურთიერთმხარდაჭერას; პროგრამების შესახებ ახალი იდეების სტიმულირებასა და სასარგებლო სამომავლო კონტაქტებს.

„ფრანკენშტაინში" მოცემული თემების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება მეცნიერებასა და მედიცინასთან მიმართებაში პიროვნულ და საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, კუიაჰოგას საგრაფოს (ოჰაიოს შტატი) საჯარო ბიბლიოთეკის პარმას რეგიონულმა ქსელმა, რამდენიმე სამედიცინო ორგანიზაციასთან ერთად პირველად იმუშავა პროგრამების შექმნაზე. პარმას თემის მთავარმა ჰოსპიტალმა, ადგილობრივმა წამყვანმა სპონსორმა ორგანიზაციებმა ბიბლიოთეკას გადასცეს გრანტი პროგრამირების უზრუნველყოფისთვის, მოაწყვეს შეხვედრა ბიოეთიკის საკითხებზე, ხელი შეუწყვეს ბიბლიოთეკას სხვა საბიბლიოთეკო პროგრამების პოპულარიზაციაში. პროგრამების პარტნიორობის შედეგი იყო უკეთესი თანამშრომლობა და საზოგადოებისთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროგრამების მომზადება; ოჰაიოს ბიოეთიკის ქსელმა მოიწვია აუდიტორია ბიოეთიკის საკითხებზე გამართული დისკუსიისთვის. აგრეთვე, ბიბლიოთეკები და რეგიონული ქსელის სხვა ორგანიზაციები კუიაჰოგას საგრაფოს ბიბლიოთეკის ქსელთან ერთად განიხილავენ მეცნიერებასა და მედიცინაში ეთიკური საკითხების შესახებ ხანგრძლივი პროგრამების მომზადების საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაქსონში, არიზონას უნივერსიტეტში, არიზონას სამედიცინო მეცნიერებათა ბიბლიოთეკამ მოაწყო ღონისძიება „ფრანკენშტაინის“ პროგრამის პოპულარიზაციისთვის, ხოლო სამედიცინო მეცნიერებათა ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისთან მუშაობის შედეგად, სამეთვალყურეო საბჭოს სხვადასხვა ჯგუფები წარუდგინა და ფართო აუდიტორია მოიზიდა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შორის იყვნენ ტაქსონ–პიმას საგრაფოს (არიზონა) საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებმაც არიზონას შტატის მთავარ ბიბლიოთეკაში ფრანკენშტაინის მასალების სარეკლამო ჩვენება მოაწყვეს და თავიანთი ხელმძღვანელობა წარადგინეს საჯარო ლექციებსა და ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში გამართულ „ფრანკენფილმის“ ფესტივალზე. ჩვენების ღირსშესანიშნაობად იქცა ფრანკენშტაინის მიმზიდველი პატარძალი. არიზონას სამედიცინო მეცნიერებათა ბიბლიოთეკამ ფრანკენშტაინის თემაზე 13 პროგრამა წარადგინა და „ფრანკენშტაინოლოგიის მეცნიერებათა დიპლომი“ გადასცა ყველას, ვინც ამ პროგრამებიდან, სულ მცირე, ხუთს დაესწრო.

თანამშრომლობა თემის ორგანიზაციებთან

კვლევისა და განვითარების სააგენტოს ანალიზის მიხედვით, რესპოდენტებმა პარტნიორობის ჩამოყალიბების პროცესში რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიიღეს:

- შესაბამისი მისიის მქონე ორგანიზაციის არჩევა;
- შესაბამისი უპირატესობებისა და ღირსებების მქონე ორგანიზაციის არჩევა;
- ნდობის მოპოვება: ურთიერთობა უნდა იყოს აღქმული, როგორც ორმხრივ სასარგებლო;
- ორმხრივი შესაძლებლობების გაცნობიერება;
- ხანგრძლივი ურთიერთობების დამყარება (მაკკარტი და ჯინეტი 2001, 102-3).

კალიფორნიის წიგნის ცენტრის თანამშრომლის, ნატალი კოულის სახელმძღვანელოს მიხედვით მომზადდა ქვემოთ მოცემული რჩევები, რომლებიც თემში თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და საბიბლიო-თეკო პროგრამების განვითარებისთვის პარტნიორებთან მუშაობის საკითხებს ეხება.

თანამშრომელი ორგანიზაციების არჩევა

პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხილვა (იხილე მე–2-ე თავი) დაგეხმარებათ, გაიგოთ, თუ ორგანიზაციის რომელი ძლიერი მხარეები შეგიწყობთ ხელს მიზნების მიღწევაში და რა სისუსტეები შეიძლება იყოს საქმიანობის შემაფერხებელი, თუ მიუწვდომელი აუდიტორიის მოზიდვას ცდილობთ, ითანამშრომლეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემსახურებიან თქვენთვის საინტერესო საზოგადოებას. თუ გიჭირთ პროგრამების რეკლამირება, საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობისთვის პარტნიორად აირჩიეთ მედია ორგანიზაცია, როგორიცაა ადგილობრივი გაზეთი, რადიო ან ტელესადგური.

იფიქრეთ, რა ვსურთ პროგრამის პარტნიორისგან. ის, რომ თქვენი თანამშრომელი აქტიურად ჩართოთ პროგრამის ორგანიზებასა და მიმართულების ხელმძღვანელობაში, თუ თავად შექმნათ და ჩამოყალიბოთ პროგრამა, თქვენი პარტნიორი კი მარკეტინგის, რეკლამირებისა და საზოგადოების მოზიდვის საკითხებში დაგეხმაროთ?

იფიქრეთ იმ სარგებლობაზე, რომელიც შეგიძლიათ თქვენს პარტნიორს მოუტანოთ. წარმატებული საქმიანი ურთიერთობა ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება; ნებისმიერი პოტენციური პარტნიორი მოისურვებს იცოდეს, რა სარგებელს მოუტანს პროგრამაზე დახარჯული დრო და რესურსები. მაგალითად, ორგანიზაციის წევრები პროგრამაში მონაწილეობით უფრო მოიგებენ თუ ბიბლიოთეკის უკეთ გაცნობით? იქნება თუ არა ღირებული რეკლამა თქვენი პარტნიორობა? როგორ დაეხმარება ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობა თქვენს პოტენციურ პარტნიორს?

შეისწავლეთ პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციები. დარწმუნდით, რომ ახალი ინფორმაცია გაქვთ სასურველი ორგანიზაციის შესახებ. გაიგეთ, ვინ არიან ისინი, რას საქმიანობენ, რა მიღწევები აქვთ. გაესაუბრეთ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენამდე თანამშრომლობდნენ ამ ორგანიზაციებთან. გაარკვიეთ, ხომ არ გყავთ საერთო ნაცნობი ან მეგობარი თქვენ და იმ პიროვნებას, რომელთან დაკავშირებასაც აპირებთ, რათა თავიდან აირიდოთ მათი მხრიდან გულგრილი შეხვედრა. რეკომენდაციით ბევრად უფრო გაგიადვილდებათ კონტაქტის დამყარება.

დაამყარეთ მოსამზადებელი ურთიერთობები. პირველი შეხვედრისას, მომავალ თანამშრომელს მოკლედ და კონკრეტულად გააცანით თქვენი ვინაობა, რატომ უკავშირდებით მას და რა წინადადებით მიმართავთ. გაარკვიეთ, სწორად თუ შეარჩიეთ თანამოსაუბრე - ის, ვისაც ყველაზე მეტად შეუძლია თქვენი დახმარება. მოემზადეთ შეკითხვებზე პასუხისთვის და გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, დასმულ შეკითხვაზე მაშინვე ვერ უპასუხოთ.

მას შემდეგ, რაც დაადგენთ, ვინ არის საუბრისთვის საუკეთესო კანდიდატი, უფრო სერიოზული მოლაპარაკებისთვის დანიშნეთ შეხვედრა ორივე მხარისთვის მისაღებ დროს. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს შეხვედრამდე გაუგზავნეთ წინასწარი ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ, მაგალითად, პროგრამის გეგმა, ფაქტების ჩამონათვალი და თქვენი სავიზიტო ბარათი. შეხვედრაზე ისაუბრეთ პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე, რატომ შეაჩერეთ არჩევანი ამ ორგანიზაციაზე, უამბეთ იმ შედეგებზე, რომელსაც მომავალი თანამშრომლობიდან ელით და ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა პარტნიორთან

ჩამოაყალიბეთ თანამშრომლობის პირობები. დაეხმარეთ, რას ელით ერთმანეთისა და პროგრამისგან. მას შემდეგ, რაც შეთანხმდებით, გააკეთეთ ყველაფერი მათ შესასრულებლად. თუ აღმოაჩენთ, რომ თავდაპირველი პირობების შესრულებას ვერ ახერხებთ, შეძლებისდაგვარად, სწრაფად აცნობეთ პარტნიორს.

დაამყარეთ ეფექტური კომუნიკაცია თქვენს პარტნიორთან. ჩამოაყალიბეთ და შეინარჩუნეთ პოზიტიური სამუშაო ურთიერთობა რეგულარული საუბრებით, მოუსმინეთ, რისი თქმა სურს მას. აჩვენეთ, რომ აფასებთ მის მონდომებას.

შექმენით პირობები, რათა ერთად დაადგინოთ და გადალახოთ პრობლემები, გამოწვევები, უსიამოვნებები.

დაამყარეთ ეფექტური ურთიერთობები თქვენი ორგანიზაციის წევრებთან. დარწმუნდით, რომ თქვენი კოლეგები კომფორტულად გრძნობენ თავს პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას; გაესაუბრეთ მათ პარტნიორობის შესახებ, გამოკითხეთ მოსაზრებები, სავარაუდო პრობლემები და ჩართეთ მათ მოგვარებაში.

განავითარეთ პროგრამა მისი დასრულების შემდეგაც, საზოგადოდ აღიარეთ პარტნიორის დამსახურებები და მადლობა გადაუხადეთ თქვენი პროგრამის წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის. შეიყვანეთ იგი იმელების სიაში და დარწმუნდით, რომ რეგულარულად იღებს ახალ ინფორმაციას ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ. თვალი ადევნეთ თქვენი პარტნიორის თანამშრომლობას, თუ პროგრამა წარმატებული იყო ორივე მხარისთვის, შეგიძლიათ ახალი ერთობლივი პროგრამა დაგეგმოთ!

დაგეგმვის კომიტეტები

ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის, გეგმის ჩამოყალიბებისა და საჭიროების შემთხვევაში, დახმარების გაწევისთვის ბევრი ბიბლიოთეკა აყალიბებს დამატებით დაგეგმვის კომიტეტს, რომელიც შედგება სამეურვეო საბჭოს წევრებისა და მრჩევლებისგან. დაგეგმვის კომიტეტის წევრები შესაძლოა იყვნენ: თანამშრომლები (პროექტის ხელმძღვანელი, PR წარმომადგენელი, გრაფიკოსები, მკითხველთა მრჩევლები და ასე შემდეგ მეგობრები, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები, დამფინანსებლები, საზოგადოების დაინტერესებული წევრები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ხელოვანები და სხვები). ჯგუფი არ უნდა იყოს დიდი (5/8 კაცი), და ყოველი წევრი უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ციკლებს მისი დაწყებიდან დასრულებამდე ადევნოს თვალყური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ თქვენ გსურთ ან გჭირდებათ უფრო დიდი ჯგუფის დახმარება, მოაწყვეთ საზოგადოებრივი შეხვედრები 30-50 კაციან ჯგუფთან, რომელიც მცირერიცხოვან სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდებს იდეებისა და მოლოდინების უფრო ზოგად ჩამონათვალს. შედარებით ფართო ჯგუფი შეიძლება გახდეს იმ მოხალისეებისა და საინფორმაციო ქსელის ჩამოყალიბების საფუძველი, რომელიც ინფორმაციას გაავრცელებს საზოგადოებაში. მოიძიეთ ადამიანები, რომლებიც ერთად კარგად იმუშავებენ, დაგეხმარებიან საქმეზე კონცენტრაციასა და შემოქმედებითი მიდგომის შენარჩუნებაში, გამოავლენენ ენთუზიაზმს. მოიძიეთ ადამიანები, რომლებსაც ენდობით, ვისაც კარგი კონტაქტები ექნება მედიასთან, წამყვანებთან და თქვენს სამიზნე აუდიტორიასთან (აუდიტორიებთან).

ეროვნული ბიბლიოთეკა



celebrating the courage of women

women's history month LIVE! @ your library™ march 2002

NEBRASKA WRITER JONIS AGEE
Tuesday March 26 | 6:30 - 7:30 pm
Benson Branch | 5008 a Binney | 444-4846

Back by popular demand, Jonis Agee is credited with a long list of awards, popular novels and short story collections. Three of her works, *Strange Angels*, *Bend This Heart*, and *Dead Eyes*, were named Notable Books of the Year by the *New York Times*.

OMAHA WOMEN ARTISTS EXHIBIT & RECEPTION
Thursday March 7 | 7 pm
Phipps Gallery | 15th & Farnam | 444-4800

Celebrate Women' Month by Omaha artists Mary Zellaby, Linda Garcia and women from The Program for Women and Successful Aging will be on display through March 31. Grab a friend and come to the opening reception where you'll enjoy art, live music by Beth McBride, readings and refreshments in the new Phipps Gallery on the main floor of the W. Dale Clark library.

COPING WITH INFERTILITY
Thursday March 14 | 6:30 pm
Phipps Gallery | 15th & Farnam | 444-4800

Dr. K. Maud Doherty and Today's Omaha Woman magazine editor Melanie Morrissey Clark (pictured) are co-authors of their new book, *The Fertility Handbook: A Guide to Getting Pregnant*. This program will offer insight into the problems of infertility while looking at the alternatives available to families that want children, but are having difficulty.

omaha public library
Everything you want to know - and more.
www.omaha.lib.ne.us

DEVELOPING FINANCIAL INDEPENDENCE
Tuesday March 12 | 7 pm | W. Dale Clark | 15th & Farnam
Tuesday March 19 | 7 pm | Abrahams Branch | 5111 N. 50th

You'll get concrete, practical advice on how to develop financial goals from one of Omaha's top financial experts. "Life works better when you have goals," says featured presenter Cassie Wolaver, a registered investment advisor who is also a recipient of two national awards for her work with people just like you.

THE BEAUTY MYTH: WOMEN, WEIGHT & APPEARANCES
Saturday March 23 | 3 - 4:30 pm
Abrahams Branch | 5111 N. 50th | 444-6284

Despite the gains of the women's movement, women are still judged by what they look like--and eat, by what they do. How can women free themselves from this beauty myth? This presentation focuses on how energy and money are spent on molding women and the ways women are socialized to obsess over their weight and aging. Presented by author of *Fat: A Fate Worse Than Death?*, teacher and women's advocate Ruth Raymond Thure.

MYTHS OF WOMEN'S MADNESS ON THE PLAINS
Monday March 25 | 6:30 - 7:45 pm
Sorensen Branch | 4885 B Cass | 444-5274

Focusing on Nebraska women of the late 1800s, this presentation examines the myths -- as they are promoted through fiction and history -- and the realities, based on diaries and journals. The lives of Prairie women were as varied and vivid as the pieces of a colorful quilt. Presented by scholar of Great Plains and women's studies Nancy B. Johnson.

omaha public library FOUNDATION
a partnership between community leaders

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი V

ციკლები, ფორმატები, თემები და შერწყმული პროგრამები

ნაწილების შეერთება

მკითხველები ბიბლიოთეკას
მავზოლეუმიდან თეატრებად
გარდაქმნიან

– მეისონ ქული



You are cordially invited
to attend the opening reception of
Frankenstein: Penetrating the Secrets of Nature.

Featured Speaker: Robyn L. Schiffman, Department of Comparative Literature, University of Chicago, "Frankenstein and the Landscape of Letters"

Where: Moraine Valley Community College
Library Building L, Second Floor
10900 South 88th Avenue, Palos Hills, Illinois

When: Tuesday, March 30, 2004
6:30 p.m. (program will begin at 7 p.m.)

Light refreshments will be served.

Please RSVP to Mary McCarthy, Moraine Valley Library
(708) 974-5709 by March 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერავალი ბიბლიოთეკა სხვადასხვა ტიპის, ფორმატისა თუ თემატური პროგრამების საშუალებით იზიდავს ყველაზე დიდ აუდიტორიას, რამდენადაც საზოგადოებას აქტივობის სხვადასხვა სპექტრს სთავაზობს. ფორმატები, თემები და შერწყმული პროგრამების შესაძლებლობები თქვენი პროგრამის მიზნების მიხედვით იცვლება და, ამასთან, ხელს უწყობს პროგრამებში ჯგუფების გაერთიანებასა და მუშაობის წარმოჩენას.

ციკლების შესახებ

ციკლები აზრს ანიჭებს მიმდინარე მუშაობას: ციკლები ბიბლიოთეკისა და პროგრამების წარმოჩენის, პოტენციური აუდიტორიის მონაწილეობის, იმპულსების შექმნის, ენთუზიაზმისა და ბიბლიოთეკის იდენტობის გამოვლენის მეტ შესაძლებლობებს გვაძლევს. როგორც წესი, პროგრამის ავტორები თემების მიხედვით ქმნიან ციკლებს ან აახლებენ ფორმატს. მაგალითად, ჯონსონის საგრაფოს რესურსების მთავარმა ბიბლიოთეკამ (ოვერლანდის პარკი, კანსაზის შტატი) აღადგინა ფორმატი ციკლებისა – *„მწერლების ადგილი, პოეზიის საღამოები“*. ამ სერიის ფარგლებში, ცნობილი პოეტები ყოველი თვის მესამე სამშაბათს, 7:00 საათზე წარმოადგენდნენ თავიანთ შემოქმედებას. იმ ბიბლიოთეკებმა, რომლებიც მასპინძლობდნენ ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მოძრავ გამოფენას *„მეფე არტურის მრავალი სამყო“*, 6 თვიანი პროგრამის განმავლობაში გამოფენის თემატიკაზე განახორციელეს ციკლები. პეტერ ვაითის ბიბლიოთეკის (მარკეტი, მიჩიგანი) პროგრამა ეროვნული მასშტაბით მუშაობის ტიპური ნიმუში იყო. პროგრამის საბოლოო მოხსენების მიხედვით, ბიბლიოთეკამ წარმოადგინა ყოველკვირეული ლექციების ფართომასშტაბიანი ციკლი ადგილობრივი მეცნიერების მონაწილეობით. ციკლი მიეძღვნა ისეთ თემებს, როგორებიცაა: ქალები შუა საუკუნეებში, წმინდა გრაალის ძიება, ცხოვრება შუასაუკუნეების ციხესიმაგრეში, არტურის მაგია და მისტიციზმი ახალ ერაში, ტაძრის მშენებლობა, ფილმი არტურზე, რაინდული სიყვარული და გალანტურობა. გახსნის ცერემონიალი კარგად გაამუქა ადგილობრივმა მედიამ, ციხესიმაგრეების თემაზე ლექციებმა ფართო აუდიტორიის დიდი ყურადღება დაიმსახურა, ლიტერატურული დისკუსიების ციკლი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ხოლო შუასაუკუნეების სტილში მოწყობილმა ბაზრობამ ათასზე მეტი დამთვალიერებელი მოიზიდა.

პროგრამების ფორმატი

ფორმატი წარმოადგენს იმ გზებს, რომლითაც მონაწილეები ახორციელებენ პროგრამას. იქნება ეს ლექცია თუ დისკუსიების ციკლი, წიგნის შესახებ მოკლე დისკუსია, ფილმი თუ გამოფენა, მუსიკალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენა, კომბინაცია. ამ თავში პროგრამის ფორმატები განხილულია 5 ძირითადი კატეგორიის მიხედვით: პრეზენტაციები, დისკუსიები, წარმოდგენები, გამოფენები და წიგნის ფესტივალები.

პრეზენტაციები

პრეზენტაციათა რიცხვში შედის ის ღონისძიებები, რომლებზეც მსახიობები, მეცნიერები თუ სხვა ექსპერტები წარმოგვიდგენენ და განიხილავენ თავიანთ ნამუშევრებს ან სხვათა იდეებს. პრეზენტაციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ან გაიმართოს სხვადასხვა ფორმატით, რომელშიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მონაწილეობას მიიღებენ აუდიტორიის წარმომადგენლები.

ავტორთა და ლიტერატურული პრეზენტაციები

ავტორთა და ლიტერატურული პრეზენტაციები მრავალი ფორმით შეიძლება გაიმართოს და ხშირად მოიცავს მთელ რიგ მოქმედებებს. ავტორთა საღამოებისა და პრეზენტაციების ყველაზე მიღებულ ფორმატთა შორის არის:

- კითხვის საღამოები, რომლებზეც ავტორები წარმოადგენენ ნაწყვეტებს უკვე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ან იმ ნაწარმოებებიდან, რომლებზეც მოცემულ პერიოდში მუშაობენ;
- მოკლე დისკუსია ავტორების მონაწილეობით;
- პოეზიის საღამოები, ,,სლემი" ან საიუბილეო საღამო;
- ავტორის მიერ წარმართული დისკუსია მწერლების ან მომავალი მწერლების მონაწილეობით.

მწერლებს შეიძლება ვთხოვოთ, წაგვიკითხონ ამონარიდები თავიანთი გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ან იმ ნაწარმოებიდან, რომელზეც მუშაობენ; ასევე, ისაუბრონ ისეთ თემებზე, როგორებიცაა: შემოქმედება, ნაწარმოების წიგნად გარდაქმნის პროცესი, ავტობიოგრაფიის მონახაზები.

შესაძლოა, მათ მონაწილეობა მიიღონ მოკლე დისკუსიებში სხვა ავტორებთან ერთად, მოაწყონ შეხვედრები ასაკით უმცროს ან უფროს აუდიტორიასთან, ჩაატარონ სემინარები შემოქმედებით წერაში. ზოგიერთი მწერალი აწყობს კითხვის საღამოს მუსიკის თანხლებით. ამასთანავე, ბიბლიოთეკებმა გამოავლინეს, რომ ცნობილი მწერლების ნაკლებად ცნობილ ავტორებთან ერთად წარდგენა ეფექტური გზაა საზოგადოების დაინტერესებისა და ორივეს აუდიტორიის გაზრდის-თვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორების პრეზენტაცია ხშირად სცილდება ჩვეულებრივი კითხვის ფარგლებს. მონრეოლი, მიჩიგანის შტატში, სერიით – *მწერლები ცხოვრობენ ბიბლიოთეკებში* – მწერალმა ალ იანგმა თავისი პიესა უმაღლესი სკოლის ჯაზ-ბენდის მუსიკის თანხლებით წარმოადგინა. ღონისძიება ერთობლივად დააფინანსეს საჯარო ბიბლიოთეკამ და ადგილობრივმა თეატრმა, რომელიც ღონისძიებას მასპინძლობდა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ: პრესის წარმომადგენლები, ბიბლიოთეკის მხარდამჭერები და მაღალი თანამდებობის პირები, მოეწყო წიგნებით ვაჭრობა და ავტოგრაფების დარიგება. მონრეოლი ვიზიტისას, იანგმა წაიკითხა თავისი ნაშრომი და შემოქმედებითი პროცესის შესახებ ესაუბრა თინეიჯერებს.

ჩიკაგოში, ჰაროლდ ვაშინგტონის საბიბლიოთეკო ცენტრში, მაკარტურის პრემიის მფლობელმა, კოლსონ უაითჰედმა გამართა საკუთარი გამოქვეყნებული თუ გამოსაქვეყნებელი ნაწარმოებების მხატვრული კითხვა, შემდეგ კი ინტერვიუს სახით დიალოგი გამართა თავის მეგობართან, აღიარებულ პოეტსა და კრიტიკოსთან, უნივერსიტეტის პროფესორ კევინ იანგთან. კითხვის საღამომ ინტერვიუს თანხლებით ავტორების შემოქმედება კიდევ უფრო საინტერესო და გასაგები გახადა აუდიტორიისთვის.

პეორიას (ილინოისი) საჯარო ბიბლიოთეკაში პოეტებმა კევინ სტეინმა (მოგვიანებით, ილინოისის ლაურეატმა პოეტმა) და სინდა თომპსონმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს შუა დასავლეთში გატარებული ბავშვობის შესახებ - ,,ოჯახური ისტორიები: ლექსები და საუბრები" დამსწრეებს.

კრიტიკოსმა, პოეტმა და ბიოგრაფმა დიანა მიდლბრუკმა, წიგნების ავტორმა ენ სექსტონის, ბილი ტიპტონის, სილვია პლათისა და ტედ ჰიუზის ცხოვრების შესახებ, ბიბლიოთეკებში თავისი ახალი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო მხატვრული კითხვის საღამოს, დისკუსიისა და საკუთარი გამოფენის, აგრეთვე, მოკლე თეატრალური წარმოდგენის თანხლებით. სტენფორდის უნივერსიტეტმა (სადაც მიდლბრუკი ინგლისური ენის სპეციალისტ დოქტორია, ხოლო ტობიას ვოლფი კათედრის წევრი) მოაწყო პრეზენტაცია ვოლფის წიგნისა – *„ფარაონის ლაშქარში: მოგონებები წაგებულ ომზე“.* ეს პრეზენტაცია 2003 წელს „ერთი წიგნის კონკურსის“ შემდეგ გაიმართა და ხელი შეუწყო მიდლბრუკისა და ვოლფის შეხვედრას საუნივერსიტეტო კამპუსის წევრებთან.

სემინარები შემოქმედებით წერაში

მხატვრული კითხვის საღამოებთან, ლიტერატურულ ფესტივალებსა და პროგრამასთან - *,,მწერლები ცხოვრობენ ბიბლიოთეკაში"* - ერთად, რომელიმე ავტორი ან ლიტერატორი ხშირად აწყობს წერითი სემინარების ციკლს მცირერიცხოვანი აუდიტორიისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ლექციები

ლექციების ფორმატი ხელსაყრელია ავტორებისთვის, ისტორიკოსებისთვის, მსახიობებისთვის, ლიტერატორებისთვის, კრიტიკოსებისთვის, ესეისტებისთვის, საგაზეთო სვეტის ავტორებისა და ა.შ. ლექტორთა უმრავლესობა ერთ სპეციფიკურ თემაზე საუბრობს და ზოგჯერ, თვალსაჩინოებისთვის სლაიდებს, PowerPoint-ის პრეზენტაციებს, ფილმებსა და აუდიოკლიპებსაც იყენებს.

ვილანოვას უნივერსიტეტის ფალვეის სახელობის მემორიალური ბიბლიოთეკა წელიწადში ორჯერ მასპინძლობს განსხვავებული ტიპის ლექციებს. პროგრამის მიზანია: „ბიბლიოთეკებს შორის კავშირების გამყარება, შემოქმედებითი და ინტელექტუალური ექსპერიმენტები“. წამყვანებმა პროგრამაში ჩართეს დოქტორი რუთ კლუგერი, რომელმაც წაიკითხა ნაწყვეტები საკუთარი მემუარებიდან *„კვლავაც ცოცხალი: ჰოლოკოსტის პერიოდის ყმაწვილობის გახსენება“.* პროგრამაში ასევე მონაწილეობდა ჯონ ფ. ენდრიუსი, შექსპირის გილდიის დამაარსებელი და პრეზიდენტი, რომელმაც წარმოადგინა ლექცია *„შექსპირისეული ტრაგედია: მუთების სამსახიობო ოჯახი და აგრაჰამ ლინკოლნის მკვლელობა“.* საუნივერსიტეტო გარემოში, ასეთი პროგრამები ჩვეულებრივ თანადაფინანსებულია შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტების, კლუბების და თემის ჯგუფების მიერ.

როსამუნდ გიფორდის ლექციების ციკლი (სირაკუზი,ნიუ–იორკის შტატი),რომელიც ცენტრალური ბიბლიოთეკის მეგობრებმა და ონონდაგას საგრაფოს საჯარო ბიბლიოთეკამ დააფინანსეს, თავად ბიბლიოთეკის მიერ დახასიათებული იქნა, როგორც „შეერთებულ შტატებში დაკავშირებული ყველაზე დიდი საბიბლიოთეკო ლექციების ციკლი“. 2003-2004 წლებში ეს მიმართულება იმდენად განვითარდა, რომ მასში მონაწილეობდნენ „ძალზე განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე, საერთაშორისო დონის ავტორები“; ისინი საუბრობდნენ „თავიანთ საქმიანობაზე, საკუთარ ძლიერ მხარეებსა და იდეებზე“. ოქტომბრიდან დეკემბრამდე და მარტიდან მაისამდე პერიოდის განმავლობაში, მოეწყო ექვსი ლექცია (თვეში ერთხელ) ჟურნალისტ ანა ქუინდლენის, მოზარდებისთვის მოთხრობების ავტორის ლორი ჰოლს ანდერსონის, ინტერიერის დიზაინის თემაზე წიგნების ავტორის ბილი კოლინსისა და მწერალ მაიკლ ჩებონის მონაწილეობით.

საუბრები ხელოვნებათან, ნიუ – ჰემპშირში პორტსმუთის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართული ლექციების ციკლები ადგილობრივ ხელოვანებს – მხატვრებს, მოქანდაკეებს, მუსიკოსებს, მწერლებს აძლევს შესაძლებლობას, წარმოადგინონ ნამუშევრები, ისაუბრონ თავიანთ შემოქმედებასა და მოტივაციებზე, უპასუხონ დაინტერესებული აუდიტორიის შეკითხვებს. ლექციები ეწყობა ყოველი თვის მეორე სამშაბათს, საღამოს 7 საათზე. ციკლებს მასპინძლობენ და წარმართავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ადგილობრივი ხელოვნები მულტიმედიის სფეროში, რომელთა ნამუშევრებიც წინა პროგრამით იყო გამოფენილი.

ჯგუფური დისკუსიები და პრეზენტაციები

ჩვეულებრივ, ჯგუფური დისკუსიები მიჰყავს რამდენიმე წამყვანსა და მოდერატორს. ამგვარი საუბრები მრავალი თემისა თუ საკითხის განხილვის, განსხვავებული მოსაუბრეებისა და თვალთახედვის ერთად წარმოდგენის, სხვადასხვა ფორმატის შერწყმის, მაგალითად, პრეზენტაციების, ლექციების და დემონსტრაციების ერთად წარმოდგენის ბრწყინვალე საშუალებას გვაძლევს.ჯგუფური დისკუსიები მოიცავს ჯგუფის თითოეული წევრის პრეზენტაციებს, რასაც მოჰყვება მოდერატორის ხელმძღვანელობით გამართული საუბრები ჯგუფისა და აუდიტორიის წევრებს შორის. ჯგუფური დისკუსიები შესაძლოა ძალზე ეფექტური გზა იყოს საზოგადოების წევრთა მიერ იდეების გაზიარებისა უფრო სიღრმისეული გააზრებისთვის.

ბუფალოსა და ერის საგრაფოს საჯარო ბიბლიოთეკა და ლოკვუდის მემორიალური ბიბლიოთეკა, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებდა პროგრამების ციკლს „LIVE! @ your library“ თემაზე – „ეკოგრაფიის დაკარგვა“. პროგრამის ფარგლებში, რეზიდენტი ხელოვანების მიერ მოწყობილი პრეზენტაციებისა და წარმოდგენების საშუალებით, საზოგადოება კიდევ ერთხელ შეხვდა აღიარებულ ხელოვანებს – სინდი შერმანს, რობერტ ლონგოს და ჩარლზ კლოუს (რომელიც 70-იან წლებში მოღვაწეობდა ბუფალოში).

2001 წლის 11 სექტემბერმა და ამ თარიღთან დაკავშირებულმა სხვადასხვა ღონისძიებებმა კატალიზატორის როლი შეასრულა ლექციებისა და ჯგუფური დისკუსიებისთვის ბევრ ბიბლიოთეკაში. მაგალითად, ჰოუბ საუნდის საჯარო ბიბლიოთეკა და კამინგების ბიბლიოთეკა (მარტინის საგრაფო, ფლორიდა) მასპინძლობდა დისკუსიებს თემაზე: „ტერორიზმის ისტორია და ფსიქოლოგია შუა აღმოსავლეთში“ – პროგრამაში მონაწილეობდნენ: ინდიან რივერის სათემო კოლეჯის პროფესორები: რობერტ ფარლი და ჯო გრიშემი. პროფესორებმა გამოიკვლიეს ტერორიზმის ფსიქოლოგია სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვით, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ექსტრემიზმსა და ქცევით დამოკიდებულების ასპექტებზე. დისკუსიების მთავარი თემები იყო: ტერორისტთა მენტალიტეტი, ტერორიზმის ფსიქოლოგიური გავლენა მასებზე, კულტურის და რელიგიური საკითხები, ექსტრემიზმის განმაპირობებელი იმპულსები.

როკფორდში, ილინოისის შტატში, საჯარო ბიბლიოთეკამ ამომრჩეველ ქალთა ლიგასთან ერთად მოაწყო ჯგუფური დისკუსია თემაზე: „გავერთიანდეთ 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ“. ზოუ ნორვუდმა, ზრდასრულთა სერვისის პროგრამების კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი იყო იმ პოლიტიკური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურის და სოციოლოგიური პრობლემების განხილვა, რომლებიც ამ მოვლენამ გამოავლინა. საუბარი შეეხო ტერორიზმისა და ტერორისტული დაჯგუფების, ომის პროპაგანდის საკითხებს; მტრის ხატის შექმნის მეთოდებს, ამერიკის საგარეო პოლიტიკას გუშინ და დღეს, ისლამის განმარტებას.

ექვსკაციან დისკუსიაში მონაწილეობდნენ: პოლიტიკურ მეცნიერე–ბათა პროფესორები, პროფესორი კომუნიკაციების დარგში, სოციოლოგი, რაბინი და დიდი როკფორდის ფუსლიმთა ასოციაციის წარმომად-გენელი. პროგრამა ორსაათიანი იყო და კითხვა-პასუხის ფორმატში მიმდინარეობდა. მას უძღვებოდა ამომრჩეველ ქალთა ლიგის ოფიციალური წარმომადგენელი. პროგრამას წინ უსწრებდა ყოველი წევრის ათწუთიანი წარდგენა, რომელსაც მოსდევდა მონაწილეთა მხრიდან ათწუთიანი კითხვა-პასუხი, შემდეგ კი დიალოგი აუდიტორიასთან.

სიეტლში, ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტურმა ბიბლიოთეკამ გამოავლინა, რომ *„სტუდენტებს მართლაც დიდი სურვილი აქვთ, ახსნან 11 სექტემბრის მოვლენები"* (კასანდრა ჰარტნეტი, აშშ-ს დოკუმენტთა არქივის არქივარიუსი). 2001 წლის 11 ოქტომბერს, ბიბლიოთეკამ წარმოადგინა პროგრამა *„11 სექტემბერთან დაკავშირებული ჭორი, ტყუილები და ურბანული ლეგენდები"*. აუდიტორიის წევრებს სთხოვეს, მოეთხროთ ის ამბები, რომლებიც ტრაგედიის შემდეგ გავრცელდა საზოგადოებაში – ნოსტრადამუსის მცდარი წინასწარმეტყველება, ბიოლოგიური თავდასხმის შესახებ ელექტრონული ფოსტით გავრცელებული გაფრთხილება, ბრალდებები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მისამართით, რომ, თითქოს, მან მოაწყო 11 სექტემბრის თავდასხმა. პროგრამის მონაწილეებმა განიხილეს ამ ხმების უსაფუძვლობა და დამსწრეებს აუხსნეს, თუ როგორ უნდა შეაფასონ მიღებული ინფორმაციის სანდოობა.

იუჯინში, ორეგონის შტატში, საჯარო ბიბლიოთეკამ წარმოადგინა დისკუსია თემაზე *„გავაგრძელოთ დიალოგი: ისლამური კულტურისა და ისტორიის პერსპექტივა"*. პროგრამის მომზადება განაპირობა ადგილობრივი ისლამური კულტურის ცენტრის მიერ მოწყობილმა ვანდალურმა აქტებმა.

დეინის საგრაფოს საბიბლიოთეკო სამსახურმა და ვისკონსინის უნივერსიტეტთან არსებულმა მედიისონის ჰუმანიტარულმა ცენტრმა წარმოადგინეს ციკლები *„კონსტიტუცია დღეს"*; ციკლი მოიცავდა 5 ფორუმს ჰუმანიტარულ თემებზე. უნივერსიტეტის პროფესორებმა განიხილეს ამერიკის მოქალაქეთა უფლებები და ვალდებულებები 11 სექტემბრის შემდეგ, კრიზისის დროს კონსტიტუციის დაცვის შესაძლებლობები. იანვარსა და თებერვალში ფორუმები მოეწყო დეინის საგრაფოს ბიბლიოთეკებში შემდეგ თემებზე: *მსოფლიო კრიზისის საკითხები* (მიდლტონი, საჯარო ბიბლიოთეკა), *თავისუფლება და*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატია: გაკვეთილები ანტიკური სამყაროდან (დირფილდის საჯარო ბიბლიოთეკა), *სამოქალაქო თავისუფლების როლი ომის დროს* (სან პრერის საჯარო ბიბლიოთეკა), *(კონსტიტუციის) პირველი შესწორება 11 სექტემბრის შემდეგ* (მაკფარლანდის საჯარო ბიბლიოთეკა), *სამხედრო ტრიბუნალები: ეროვნული უსაფრთხოება კონსტიტუციის ნაცვლად* (ორეგონის საჯარო ბიბლიოთეკა). პროგრამის ორგანიზატორები იყვნენ: ჯული ჩეიზი (დეინის საგრაფო) და ჯოან სტრასბო (მედისონის ჰუმანიტარული ცენტრი).

მონაწილეთა დისკუსიები

დისკუსიები წიგნების შესახებ

წიგნები. მრავალი ბიბლიოთეკა მასპინძლობს მსგავსი გემოვნებისა და ინტერესების მქონე ერთი ან რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ დამოუკიდებელ ჯგუფებს, რომლის წევრებსაც ყოველთვის აქვთ რაღაც საერთო, მაგალითად, მშობლები ან პენსიონერები არიან. ზოგიერთ ჯგუფს კონკრეტული ჟანრი აერთიანებს, მაგალითად, სამეცნიერო ფანტასტიკა, რომანი ან კლასიკა. შეხვედრების ორგანიზატორები შეიძლება იყვნენ: ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები, რეკლამის სპეციალისტები, ან წიგნების შესახებ ბიბლიოთეკაში თუ მის გარეთ დისკუსიების ინიციატორები. შესაძლოა, ეს ჯგუფები დაეხმარონ მკითხველებს წიგნების შერჩევაში, უკვე შექმნილი ან ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფებისთვის საბაზისო მასალების მოძიებაში; აგრეთვე, ჩაატარონ სხვა ადმინისტრაციული საქმიანობები, მაგალითად, მოიპოვონ წიგნების ბლოკი თვითშემოქმედებითი ჯგუფებისთვის ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის მეშვეობით ან უკვე არსებული სადისკუსიო კლუბების მოდელის კოორდინირება მოახდინონ და განვითარონ. პროგრამირების დაწყების შემდეგ ბიბლიოთეკების საქმიანობის დიაპაზონი შეიძლება მოიცავდეს უკვე არსებული ან ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფებისთვის სივრცის შეთავაზებასა და სპეციალური აუდიტორიისთვის ლიტერატურული დისკუსიების პროგრამის შექმნა–რეკლამირებას.

მოდით, ვისაუბროთ ამაზე

წიგნის განხილვების სერიისთვის წარმატებული მოდელი – *მოდით, ვისაუბროთ ამაზე* – 1970-იან წლებში ვერმონტის ჰუმანიტარული საბჭოს მიერ განვითარებული პროგრამის საფუძველზე წარმოიქმნა; იგი 1980-იან წლებში „ჰუმანიტარული დარგების ეროვნული მხარდაჭერის" სააგენტოს დაფინანსებით, მთელს ქვეყანაში დანერგა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოდელი ითვალისწინებს ციკლების ფარგლებში ტექსტების კითხვას, რომლებსაც ქვეყნის წამყვანი მეცნიერები არჩევენ და უფრო ფართო თემატურ კონტექსტში განიხილავენ. ეს პროგრამა ბოლო 20 წელია ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკის მიერ.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ციკლისთვის – *მოდით, ვისაუბროთ ამაზე* – შერჩეული თემებია:

ინდივიდუალური უფლებები და თემი ამერიკაში - რუსოს ,,*Social Contract*" და ჰოთორნის ,,Scarlet Letter";

„დიდი ხანია, წავიდა": აფროამერიკული მიგრაციის ლიტერატურა და კულტურა". მათ შორის, წიგნები: ჩესტერ ჰაიმის ,,*If He Hollers Let Him Go*" და ვალტერ მოსლის ,,*Devil in a Blue Dress*";

,,ერთი ხედვა, ბევრი ხმა: ლათინური ლიტერატურა შეერთებულ შტატებში", ციკლი მოიცავს წიგნებს: კრისტინა გარსიას ,,*Dreaming in Cuban*", ხულია ალვარესის ,,*Time of the Butterflies*";

ციკლი – „არა მხოლოდ ბავშვებისთვის: საბავშვო კლასიკა მოზრდილთათვის" -მოიცავდა წიგნებს: ე. ბ. უაითის ,,*Charlotte's Web*" და ლოუის ლოურის ,,*The Giver*".

2004 წელს ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებული პროგრამების ციკლები ებრაული ლიტერატურის შესახებ მოიცავდა შემდეგ თემებსა და სახელწოდებებს:

თქვენი გულისთქმა: სექსი და სიყვარული ებრაულ ლიტერატურაში
,,Portnoy's Complaint", ფილიპ როთი
,,Collected Stories", გრეის პელი
,, A Simple Story", ს.ი. აგნონი
,,The Mind-Body Problem", რებეკა გოლდშტაინი
,,The Lover", ა.ბ. იეჰოშუა

,,დემონები, გოლემები და დიბუკები: ებრაელთა წარმოსახვის ურჩხულები"
,,The Metamorphosis", ფრანც კაფკა
,,The Dybbuk", ს.ანსკი
,,Satan in Goray", ი.ბ.სინგერი
,,The Puttermesser Papers", სინთია ოზიკი
,,Angels in America", ტონი კუშნერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ სამყაროს შორის: მოთხრობები გაუცხოებასა და დაბრუნებაზე.
,,Mr. Sammler's Planet" საულ ბელოუ
,,Out of Egypt", ანდრე აკიმანი
,,Lost in Translation", ევა ჰოფმანი
,,Kaaterskill Falls", ალეგრა გუდმენი
,,Centur in the Garden",მოსირ სკლიარი

მისი საკუთარი აზრი: მამები და ქალიშვილები ცვალებად სამყაროში
,,Tevye the Dairyman", მოლემ ალეიხემი
,,Bee Season", მილა გოლდბერგი
,,American Pastoral", ფილიპ როთი
,,Bread Givers", ანზია იერზესკა
,,1185, Park Avenue: A Memoir", ანე როიფე

პროგრამა – მოდით, ვისაუბროთ ამაზე – ბოლო დეკადაში განსაკუთრებით განვითარდა სახელმწიფო „ჰუმანიტარული დარგების ეროვნული მხარდაჭერის" ხელშეწყობით, რომელმაც რეგიონული მასშტაბის თემები წარმოადგინა, ხოლო ბიბლიოთეკებს ადგილობრივი სამეცნიერო პროგრამების პრეზენტაციისა და განვითარებისთვის გრანტი შესთავაზა.

სახელმწიფო ჰუმანიტარული საბჭო ხშირად უზრუნველყოფს პროგრამებს რეკლამითა და საპროგრამო მასალებით, მაგალითად, ნაბეჭდ ბროშურებს აწოდებს ბიბლიოთეკებს ყოველი წიგნის შესახებ თემატური დისკუსიებისთვის, წამყვან მეცნიერებს - დისკუსიის მოსამზადებლად, ხოლო მონაწილეებს - საბაზისო ინფორმაციის მისაღებად. ზოგიერთი საბჭო ბიბლიოთეკას მიმართავს სხვადასხვა თემებით სარგებლობისა და წიგნების ბლოკის ქირაობისთვის; ბევრი კი თავად ეხმარება მათ პროგრამისთვის სასურველი მეცნიერის მოძიებაში.

მეინის ჰუმანიტარული საბჭოს, წიგნის ცენტრისა და სახელმწიფო ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი თემები თვალსაჩინოს ხდის ხელმისაწვდომი მასალების სიმდიდრეს:

,,გადაკვეთა: მედიატორობა კულტურებს შორის თანამედროვე ამერიკელ ინდიელთა ლიტერატურაში" - ჯეიმს უელშის, ლესლი მარმონ სილკოს, ლუზ ერდრიხის, შერმან ალექსისა და ლუის ოუენის ნამუშევრები;

,,ადამიანური საზღვრების კვლევა: მედიკოსები და მათი პაციენტები ლიტერატურული პერსპექტივიდან" – ანი ფადიმანის ,,The Spirit Catches You and You Fall Down" ალბერ კამიუს ,,The Plague", მარგრეტ ედსონის *,,Wit".*

,,მეინის სარკე: მეინის თემი მითებსა და რეალობაში" სტივენ კინგისა და მეინში მცხოვრებ სხვა მწერალთა ნაწარმოებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1983 წლიდან ეროვნული მასშტაბის პროგრამის - *,,მოდით, ვისაუბროთ ამაზე“* – ძირითადი დამფინანსებელი ჰუმანიტარული დარგების ეროვნული მხარდაჭერის საბჭო იყო. პროგრამის ხელმძღვანელი ტომ ფელპსი 1992 წელს წერდა: *,,დაახლოებით, 10 წელია ეროვნულ ბიბლიოთეკებში მიმდინარე ეს პროექტი ადამიანებს აკავშირებს იმ მნიშვნელოვან თემებზე საუბრისთვის, რომლებსაც ისტორია და ლიტერატურა გვაწვდის. ამან გავლენა მოახდინა ამერიკის ათასობით მოქალაქეზე, ხოლო მრავალი ბიბლიოთეკარი დაფიქრა თავიანთი ორგანიზაციის საგანმანათლებლო მისიის მნიშვნელობაზე.... პროგრამის – ,,მოდით, ვისაუბროთ ამაზე“ შედეგად, ყოველ შტატში განვითარდა მხატვრული კითხვა და სადისკუსიო პროგრამები. 5 ორიგინალური თემიდან 234 (შესაძლოა, მეტიც) ახალი თემა გაჩნდა... 6000-ზე მეტი ბიბლიოთეკა მონაწილეობდა პროექტებში, რომლებიც ხსენებული მოდელიდან განვითარდა.“*

ერთი თემი. ერთი წიგნი. მეორე პროგრამა რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა არის *,,ერთი თემი, ერთი წიგნი“.* პროგრამის ფარგლებში ბიბლიოთეკა, როგორც თემის და კულტურის ორგანიზაციების ლიდერი, პოპულარიზაციას უწევს თემის ყველა წევრის მიერ ერთი წიგნის კითხვას ერთისა და იმავე დათქმული დროს. პროგრამა, რომელიც პირველად სიეტლში 1998 წელს განხორციელდა, 150-ზე მეტმა დიდმა თუ პატარა თემმა დანერგა 45 შტატში.

ერთი ერთზე დიალოგისა და ერთი წიგნის ციკლთან ერთად (იქნება ეს *,,A Lesson before Dying", ,,To Kill a Mockingbird", ,,Fahrenheit 451“ თუ სხვა წიგნი),* თემი სხვადასხვა ადგილას აწყობს ლიტერატურულ შეხვედრებს: ლექციებს და დისკუსიებს წიგნის, მისი თემებისა თუ ავტორის შესახებ; აგრეთვე, წიგნის პრეზენტაციებს. ხშირად, პროგრამის კულმინაციაა ავტორის ვიზიტი, რომელსაც თან ახლავს ინტერვიუები, მიღებები და კითხვის საღამოები. მათ, ვინც პროგრამას *,,ერთი წიგნის“* გეგმავს, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის გრაფიკის განყოფილება სთავაზობს გრაფიკული ხელოვნების კომპაქტ-დისკების ნიმუშებს პრომოსა და მარკეტინგისთვის, ასევე ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოებსა და სხვა სამუშაო სამუალებების ნაკრებს. სახელმძღვანელოს – *,,კითხულობს მთელი თემი“* ჩამოტვირთვა შესაძლებელია PDF-ის ფორმატით, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის ელექტრონული რესურსების ცენტრიდან: http://www.ala.org/publicprograms/orc/

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებამ, მოსმენა და დისკუსია

ლიტერატურული დისკუსიების პროგრამებთან ერთად, სხვა მედია-პროგრამების განვრცობა პოპულარული გახდა ბოლო დეკადაში. ფილმები და აუდიოპროგრამები ინფორმაციის მიღების, დისკუსიებისა და დებატებისთვის ერთნაირ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

აქ მთავარი მომწოდებელია ეროვნული ვიდეორესურსების ცენტრი (http://www.nvr.org/), რომელიც თემატურ პაკეტებს გვთავაზობს საკითხებზე: ,,სწრაფი პროგრესი: ტექნოლოგია და რევოლუცია კომუნიკაციების სფეროში", ,,პრეზიდენტები, პოლიტიკოსები და ძალაუფლება: ამერიკის პრეზიდენტები, რომლებმაც შექმნეს მე-20 საუკუნე" და სხვა მასალები, გრანტები, რეკომენდაციები ფილმებისა და ვიდეოკოლექციების თაობაზე.

ენ არბორის (მიჩიგანი) საოლქო ბიბლიოთეკა ერთ-ერთია მათ შორის, რომლებმაც შექმნეს თემატური ციკლები ეროვნული ვიდეორესურსების ცენტრის ფილმებით („როსიდან რუზველტამდე: ამერიკული ხალხი"), დამატებითი პროგრამებითა და გამოფენებით მე-2 მსოფლიო ომის შესახებ.

ეროვნული ვიდეორესურსების ცენტრის ციკლი მოიცავს ფილმებს: ,,ფრონტის ზურგში", ,,ოიზი რივეტერის ცხოვრება და დრო", ,,ღირსების ფერი", ,,ლოდინის დღეები", ,,ამაყად ვმსახურობდით: კაცები აშშ-ს მისიაში", ,,ამერიკა და ჰოლოკოსტი: ტყეული და გულგრილობა", ,,დღეთა დღე".

ზოგიერთი ბიბლიოთეკა მასპინძლობს კინოჩვენებებსა და დისკუსიებს სახელმწიფო რადიომაუწყებლობის სამსახურის მთავარი ციკლების მიხედვით, განსაკუთრებით, კენ ბარნის, ბილ მოიერის, დოკუმენტური ფილმების რესურსების ცენტრის (P.O.V.) პროგრამები, რომლებიც დისკუსიებისთვის საინტერესო თანამედროვე თემებს გვთავაზობს.

ეროვნული ვიდეორესურსების ცენტრის ფილმების ჩვენებას წინ უძღვოდა საბიბლიოთეკო პროგრამები თანამედროვე პოეზიის შესახებ, რომლებშიც გამოყენებული იყო ფილმები ანენბერგის/საზოგადოებრივი ტელევიზიის ციკლებიდან – *,,ხმები და ხედვები"*. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ემილი დიკინსონის, უილიამ კარლოს უილიამსის და ლენგსტონ ჰიუზის შემოქმედება. ბიბლიოთეკებმა წარმოადგინეს თემები ცამეტ სერიანი ციკლებიდან (ჩვეულებრივ, 4 ან 5 პოეტი) აგრეთვე ადგილობრივი მეცნიერების მიერ მოწოდებული ნაბეჭდი მასალები და პროგრამები დისკუსიებისთვის.

მოგვიანებით, აუდიოსერიებმა – *,,პოეტი პირადად"*, რომელიც თანამედროვე პოეტთა ასოციაციისა და ეროვნული საზოგადოებრივი რადიოს მიერ მომზადდა, წარმოადგინა პროგრამების ცამეტსაათიანი ციკლი, თითოეული – ერთ თანამედროვე პოეტზე, მათ შორის, შერონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლდსი, რიტა დავი, ა. რ. ამოსი და გარი სოტო. აუდიო პროგრამებში წარმოაჩინა ამ საინტერესო და გავლენიანი მწერლების ბიოგრაფიული მასალები და აუდიოჩანაწერები; აგრეთვე, საუბრები დამწყებ პოეტებსა და მეცნიერებთან მათი ნამუშევრებისა და კრიტიკული კომენტარების შესახებ. ბიბლიოთეკებმა გამოუშვეს ამ პროგრამის ციკლების აუდიოჩანაწერები და წერილობითი მასალები იმ მსმენელებისთვის, რომლებიც ბიბლიოთეკაში სამეცნიერო დისკუსიებს ესწრებოდნენ.

სადისკუსიო პროგრამები დამწყები და განვითარებადი მკითხველებისთვის

ბევრმა ბიბლიოთეკამ წარმოადგინა პროგრამები, რომლებიც შეიქმნა ნაკლებად განათლებული მკითხველების ლიტერატურულ საღამოებსა და დისკუსიებში მონაწილეობისთვის. მათ შორის გამოირჩევა მოდელი – *საუკეთესო დრო – ვიკითხოთ ოჯახთან ერთად*, რომელიც ლუიზიანას ჰუმანიტარული განვითარების საბჭომ და ვერმონტის ჰუმანიტარულმა საბჭომ მოამზადა.

საუკეთესო დრო – ვიკითხოთ ოჯახთან ერთად. ეს კითხვის, დისკუსიებისა და მოთხრობების პროგრამა ექვსი ან რვა თვე გრძელდება; მის ფარგლებში უნივერსიტეტის მეცნიერები (დისკუსიის წამყვანები) და ნოველისტები უმდვებიან ყოველკვირეულ დისკუსიებსა და თხრობით სესიებს. თემები მზადდება პრემიის ლაურეატი საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით.

„საუკეთესო დრო“ ამყარებს ოჯახის, როგორც მთავარი სოციალური და ეკონომიკური ერთეულის როლს; ასწავლის მშობლებსა და შვილებს ერთად კითხვასა და სწავლას უნარებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენები დისკუსიების თანხლებით

ჩიკაგოს ლირიკულ ოპერასთან თანამშრომლობის შედეგად, ჰაილანდ პარკის (ილინოისი) საჯარო ბიბლიოთეკა ატარებს ოპერის შესახებ ლექციების ციკლს – ადგილობრივი მეცნიერები წარმოადგენენ პროგრამებს მომავალი საოპერო წარმოდგენების შესახებ.

წარმოდგენები

მუსიკალური წარმოდგენები

მუსიკალური წარმოდგენების მეშვეობით, მრავალ ახალ აუდიტორიას მოიზიდავს ის ბიბლიოთეკები, რომლებშიც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამისთვის სათანადო სივრცე და აკუსტიკაა (ან შესაძლებლობა აქვს, ითანამშრომლოს ასეთი სივრცის მქონე ორგანიზაციებთან).

მაგალითად, ჩრდილოეთ დაკოტაში ბისმარკ-მენდანის სიმფონიური ორკესტრი საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად აწყობს კონცერტებისა და ლექციების ციკლს.

მხატვრული სიტყვის ოსტატმა, სეკოუ სუნდიატამ მონაწილეობა მიიღო ვაშინგტონის საჯარო ბიბლიოთეკის პროგრამაში. საღამოს მუსიკალურად აფორმებდა ერთ-ერთი სიქსტეტი.

პროგრამა „მეველი ხმები ახალ ქვეყანაში: კენტუკის აპალაჩების მუსიკის ზეიმი“ მოიცავდა ლექციებისა და მუსიკალური წარმოდგენების ციკლს, რომლის მიზანი იყო ფართო საზოგადოებისთვის პირველი ემიგრანტების მიერ აპალაჩების რეგიონში დამკვიდრებული მუსიკალური ტრადიციების გაცნობა. აღმოსავლეთ კენტუკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების დაფინანსებით, ციკლში მონაწილეობას იღებდა ფოლკლორისტი ჯეან რიჩი; შოტლანდიურ-ირლანდიურმა ჯგუფმა – „Pale, Stout & Amber“ – ლექციები და მუსიკალური წარმოდგენები გამართა; პროგრამის ფარგლებში ლექციები წაიკითხეს: ჯონ იაკობ ნაილსის სახელობის მუსიკალური ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა რონ პენმა და დულციმერის ოსტატმა, ამერიკული ფოლკლორული მუსიკის სპეციალისტმა, ჰომერ ლედფორდმა.

სან-დიეგოს სახელოვნებო ბიბლიოთეკამ (კალიფორნიის უნივერსიტეტი) – წარმოადგინა „სერფინგის ხელოვნება“, ხოლო დიკ დეილმა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების შესახებ წარმოადგინა ლექციები, ფილმები, არტეფაქტები, მუსიკალური საღამოები თუ პრეზენტაციები თემაზე – „სარფ გიტარის მამა“ .

სან-ხოსეს (კალიფორნია) ბიბლიოთეკამ მოამზადა ექვსთვიანი ციკლი ხელოვნების მრავალი დარგის შესახებ; სერიის ფარგლებში მოეწყო გარი სოტოს საავტორო პრეზენტაციები, ლექციები და ჩვენებები მურალისტი პილარ აგეროსა და მწერლისა და ილუსტრატორის, ბობი სალინასის ხელმძღვანელობით; მოეწყო ჯო სილვას წარმოდგენები, პოეტ ჩიტრა დივაკარუნის საღამო, პაიალის საცეკვაო დასის წარმოდგენები, შეხვედრა მწერალ რუდოლფო ანაიასთან.

კინგის საგრაფოს საბიბლიოთეკო სისტემის ციკლით „ხმები რიმიდან“ წარმოდგენილი იქნა ავტორები და ხელოვნების ნიმუშები წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებიდან. სახელოვნებო ციკლები მოიცავდა ღონისძიებებსა და პრეზენტაციებს ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვის: იაპონელ ამერიკელთა დასარტყამი ინსტრუმენტების ჯგუფის - ,,Kaze Daiko“ - წარმოდგენებს, ჰულას ტრადიციულ მუსიკას, ცეკვასა და თეატრს, იაპონურ ხალხურ ზღაპრებს, ,,ხუმი-ე“-ს ხელოვნების (იაპონური კალიგრაფიული ხელოვნება) გაკვეთილებს, მწერლების – ჰა ჯინის, ლუიზან იამანაკას, მოლი გლოსის, ბრენდა პეტერსონის, ფილიპ რედ იგლისა და ლიდია მინატოიას ნაწარმოებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვის საღამოებს. კინგის საგრაფოს მასშტაბური პროგრამების ფარგლებში ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების ბრწყინვალე პრეზენტაციები მოეწყო, რომლებმაც მრავალფეროვანი აუდიტორია დააინტერესა სპეციფიკური თემებით.

ფეარფაქსის საგრაფოს საჯარო ბიბლიოთეკამ (ვირჯინია) ადგილობრივ ორკესტრთან ერთად ჩაატარა განსხვავებული კონცერტები თემის ორი მნიშვნელოვანი ჯგუფის – კორეული და ესპანური წარმომავლობის მოსახლეობის მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ მოწყობილი შთამბეჭდავი ღონისძიების – „შუა ზამთრის შეხვედრა“ – ფარგლებში, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, ნენსი კრანიხის პროგრამაში – „ბიბლიოთეკები: დემოკრატიის ქვაკუთხედი“ – მონაწილეობა მიიღო ჯოლ ბარჩმა და ხმის ჩამწერმა სტუდიამ „WPA ballclub“ . ბარჩმა იმღერა ღონისძიებისთვის საგანგებოდ დაწერილი საკუთარი სიმღერა – „Democracy Rag, Whine, and Blues“; ჯგუფმა შეასრულა ნეშვილის ფონდის სტიპენდიანტის, ტონი ირლის ბესტსელერის – „ის ბიჭი, ჯიმი“ – თემაზე შექმნილი სიმღერები.

თეატრალური წარმოდგენები

თეატრალური წარმოდგენები ისევე იზიდავს ახალ აუდიტორიას, როგორც მუსიკალური კონცერტები. მაგალითად, ქუინსბოროს (ნიუ–იორკი) საჯარო ბიბლიოთეკის ჯეკსონის სახელობის ცენტრმა წარმოადგინა თემა – „ვეოგრაფიის დაკარგვა, საკუთარი თავის აღმოჩენა“ (პროგრამა LIVE! @ your library). ემიგრანტთა ორმა თეატრმა წარმოადგინა პროექტები – „მე მიყვარს ამერიკა“ (ლიდია რომრიესის პიესა, რომელიც დაიდგა დომინიკანელი და პუერტორიკელი 11 ემიგრანტი ქალის მონათხრობის მიხედვით); ასევე, ალვინ ენგის „ბაქცეული მზე“ – მემუარული ხასიათის მონოლოგი მოგვითხრობს სცენარისტის უჩვეულო ისტორიას იმის შესახებ, თუ გადაინაცვლა მცირერიცხოვან ჩინელ ბავშვთა წრიდან იმ მცირერიცხოვან ჩინელ ამერიკელთა რიცხვში, ვინც ჩინურს კარგად ვერ ფლობს.

სან-დიეგოს საჯარო ბიბლიოთეკამ ექვსჯერ წარმოადგინა სპექტაკლი – „შუშის მავთული“, პიესის ავტორი და დამდგმელია ეველინ დიას კრუსი, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ბიბლიოთეკამ 2 სემინარი მოაწყო სცენარისტებისთვის „სითი ჰაითსის“ ურბანული დასახლების თეატრალურ ორგანიზაციაში.

გამოფენები

ბიბლიოთეკას აქვს შესაძლებლობა, ადგილობრივი ბიბლიოთეკის ან თემის კოლექციის გამოყენებით მოაწყოს გამოფენა. ბიბლიოთეკები მასპინძლობენ ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების მიერ მოწყობილ მოძრავ გამოფენებს, რომლებსაც ქირაობენ ან გრანტის საშუალებით აფინანსებენ.

გამოფენა შეიძლება არც იყოს პროგრამის არსებითი ნაწილი, მაგრამ ისევე, როგორც წიგნი, ფილმი თუ სპექტაკლი, მისი თემატიკაც ერთგვარი ტრამპლინია შესაბამისი პროგრამისთვის. მაგალითად, უსახლკაროთა თემაზე ადგილობრივი ფოტოგრაფის ნამუშევრების გამოფენას შესაძლოა დავურთოთ პროგრამების ციკლი – სემინარი ფოტოხელოვნების შესახებ (როგორ გადავიღოთ და გავამჟღავნოთ ფოტო), ფოტოხელოვანის ლექცია მისთვის საინტერესო თემებისა და მიზნების შესახებ, ჯგუფური დისკუსია უსახლკაროთა მიმართ თემის დამოკიდებულების შესახებ.

ბიბლიოთეკის გამოფენები ერთგვარი სტიმულია საზოგადოების იდეებით დაინტერესებისთვის. გამოფენა არა დასასრული, არამედ ამოსავალი წერტილია მნიშვნელოვანი პროგრამებისთვის, დისკუსიებისთვის, სწავლისა და კვლევისთვის. მოიფიქრეთ გამოფენა, რომელიც შესაბამისი პროგრამის თემა ან სამუშაო ჩარჩო შეიძლება გახდეს.

ადგილობრივ ბაზაზე შექმნილი გამოფენები

ადგილობრივ ბაზაზე შექმნილი გამოფენის საუკეთესო ნიმუშებია გრანვიჩის (კონეტიკუტი) ბიბლიოთეკის თანამშრომლობა „გრანვიჩის გაერთიანებულ გზებსა“ და ადგილობრივ ხელოვანთა ინიციატივა „ცვლილებების პორტალის“ პრეზენტაციისთვის, 2 დღიანი სიმპოზიუმი სტემფორდელი ხელოვანის, შაუ სტიუარტის არქიტექტურულ–სკულპტურული კომპოზიციის თემაზე. ორდღიანი ღონისძიება თემაზე „ცვლილებები თემში“ წარმოადგენდა ანტიკური და თანამედროვე კულტურების შესახებ სხვადასხვა ფორმატის პროგრამებს, მათ შორის: ხელოვანებთან შეხვედრა, პერუს მუსიკალური წარმოდგენები, ლექციები ბერძნულ ისტორიასა და მითოლოგიაზე, სემინარი ბავშვთა ხელოვნების შესახებ, ინდიელების კლასიკური ცეკვა, დისკუსიათა ჯგუფი, პოეზიის საღამოები და სლემი.

მოძრავი გამოფენები

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ მოძრავი გამოფენების დაფინანსების ერთ-ერთი მიზანია ვიზიტორთა დაინტერესება გამოსახულებით, რათა მათ სურვილი გაუჩნდეთ, გამოიკვლიონ გამოფენის თემატიკა ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებებში დაცული კოლექციების მეშვეობით. გამოფენებს თან ახლავს თემატური პროგრამები და ბიბლიოგრაფიის მიწოდება მასპინძელი ბიბლიოთეკების მხრიდან. ამ ტიპის გამოფენათა მიზანია ბიბლიოთეკების, როგორც ინტელექტუალური ფორუმისა და მთავარი კულტურულ–საგანმანათლებლო როლის გაზრდა. ამერიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ დაფინანსებულ მოძრავ გამოფენათა შორის აღსანიშნავია: ,,მეფე არტურის მრავალი სამეფო", ,,ფრანკენშტაინი: ბუნების საიდუმლოს შეცნობა", ,,დიუკ ელინგტონი – მუსიკის გენიოსი", ,,ვუსმინოთ პრერიას", ,,ბა, გამოიცანი!", ,,საზღვარი ამერიკულ კულტურაში". ამ გამოფენებთან დაკავშირებული პროგრამების მაგალითების ნახვა შეგიძლიათ წიგნის IV- V თავებსა და დანართში.

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მრავალი მოძრავი გამოფენა ხელმისაწვდომია განაცხადის მეშვეობით. არსებული ინფორმაციისთვის იხილეთ ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივ პროგრამათა ოფისის ვებ-გვერდი: http://www.ala.org/publicprograms

მოძრავი გამოფენების დაქირავებისთვის სხვა რესურსებს შორისაა: სმითსონის ინსტიტუტის მოძრავი გამოფენების სერვისი (SITES);

http://www.sites.si.edu/

ჰარი რენსომის კვლევითი ცენტრი, ტეხასის უნივერსიტეტი:

http://www.hrc.utexas.edu/exhibitions/traveling

ამერიკის გამოფენები: http://maaa.org/exhi_usa/

ბლერი-მიურეის გამოფენები: (http://blair-murrah.org/

ებრაული სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკა:

http://www.jtsa.edu/library/exhib/trav/index.shtml/

მოძრავი გამოფენების წყაროს წარმოადგენენ ასევე: საბავშვო მუზეუმები, გალერეები, კულტურის და მემკვიდრეობის მუზეუმები, სახელმწიფო თუ რეგიონული ხელოვნებისა და ჰუმანიტარული დარგების საბჭოები.

წიგნის ფესტივალები

ეს მასშტაბური, პოპულარული ლიტერატურული მოვლენა ჩვეულებრივ, დედაქალაქში რამდენიმე დღის ან ერთი კვირის განმავლობაში, სახელმწიფო ან რეგიონულ დონეზე ტარდება. წიგნის ფესტივალები, მიუხედავად მათი მოკლე ხანგრძლივობისა, საკმაოდ დიდი ფორმატის პროგრამებს მოიცავს და მათი დაგეგმვა, შესრულება, მომზადება და მარკეტინგი ერთი ან რამდენიმე სპონსორი ორგანიზაციის დახმარებასა და ათეულობით პარტნიორის ჩართვას საჭიროებს. მაგალითად, სამხრეთ კენტუკის წიგნის ფესტივალი წარმოდგენილია დასავლეთ კენტუკის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების/კენტუკის მუზეუმის, ბოულინგ გრინის საჯარო ბიბლიოთეკისა და ,,BARNES & NOBLES BOOKSELLERS"-ის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის ფესტივალებს განსაკუთრებით დიდი აუდიტორია ჰყავთ (1000-500000 დამსწრე); შესაბამისად, მათი მისია და მიზნებიც დიდია, მაგალითად, „კითხვისა და წიგნის სიყვარულის ხელშეწყობა, რეგიონსა და სახელმწიფოში პოზიტიური განწყობის შექმნა გაუნათლებლობის აღმოფხვრისთვის“ (ბოულინგ გრინის საჯარო ბიბლიოთეკა), „კითხვის პოპულარიზაცია და წერის ხელშეწყობა, განათლებისა და ლიტერატურული შემოქმედებისადმი საზოგადოებრივი ყურადღების გაზრდა ჩვენს მრავალეთნიკურ თემში“ (წიგნის საერთაშორისო ბაზრობა მაიამიში). „ვიზეიმოთ წიგნები და კითხვის სიხარული“ (წიგნის ეროვნული ფესტივალი). ყველაზე ცნობილ ფესტივალთა შორისაა: მაიამის საერთაშორისო წიგნის ბაზრობა, ნეშვილის წიგნის სამხრეთული ფესტივალი, „ნიუ–იორკი წიგნის ქვეყანაა“ და „ლოს–ანჯელეს თაიმზის წიგნის ფესტივალი“. სხვა მაგალითებია: ვისკონსინის წიგნის ფესტივალი მედისონში, სამხრეთ კაროლინის წიგნის ფესტივალი, „Border Book Festival“ ახალ მეხიკოში, ვეგასის ველის წიგნის ფესტივალი (ნევადას ჰუმანიტარული საბჭოს, ჰენდერსონის ოლქის საჯარო ბიბლიოთეკების, ჰენდერსონის პარკებისა და გართობის საქალაქო დეპარტამენტის ერთობლივი პროგრამა), დასავლეთ ვირჯინიის წიგნის ფესტივალი და წიგნის ფესტივალი ვირჯინიაში – „VABook!“.

წიგნის ფესტივალის ტიპური ელემენტებია: კითხვა და საჯარო დისკუსიები; წიგნით ვაჭრობა და ხელმოწერები; სასტენდო გამოფენები წიგნის გამყიდველების, გამომცემლების და შესაბამისი ორგანიზაციების წარმოდგენისთვის; ღონისძიებები ბავშვებისთვის, მაგალითად, წიგნებთან დაკავშირებული ხელსაქმე და სხვა ღონისძიებები, აბზების მოთხრობა, თოჯინების სპექტაკლი და წიგნების კოსტუმირებულ გმირებთან შეხვედრა. ზოგიერთი წიგნის ფესტივალი ასევე მოიცავს სპეციალურ მოვლენებს: მუსიკალურ წარმოდგენებს, ლიტერატურულ შერწყმულ პროგრამებს, გამოფენებსა და დემონსტრაციებს წიგნისა და ქაღალდის ხელოვნების სფეროში. ნეშვილის წიგნის სამხრეთული ფესტივალი აწყობს წარმოდგენებს კაფეში, სადაც წარმოადგენს ნიჭიერ მომღერლებს ნეშვილიდან, კომპოზიტორებს, პოეტებს, ხოლო თეატრალურ სცენაზე იწვევს ადგილობრივ მსახიობებსა და სცენარისტებს. ბევრ ფესტივალზე აწყობენ სემინარებს წერისა და საგამომცემლო საქმიანობის, დისკუსიებსა და შეჯიბრებებს. ფესტივალებზე ეწყობა ლიტერატურული პრემიების გადაცემა ან სხვა სახის ღონისძიებები ავტორებისა და გამომცემლების გამოსავლენად. კანავას საგრაფოს საჯარო ბიბლიოთეკა ყოველწლიურად მართავს დასავლეთ ვირჯინიის წიგნის ორდღიანი ფესტივალის მეორე დღეს მეორადი წიგნების ბაზრობას, ღონისძიების სპონსორია კანავას საგრაფოს საბიბლიოთეკო ფონდი და დასავლეთ ვირჯინიის ჰუმანიტარული საბჭო.

ლორა ბუშმა კონგრესის ბიბლიოთეკასთან ერთად ჩამოაყალიბა ეროვნული წიგნის ფესტივალი. მას შემდეგ, რაც დააარსა ტეხასის წიგნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველწლიური ფესტივალი (ოსტინი). აღსანიშნავია ისიც, რომ ლორა ბუშმა წიგნების გაყიდვიდან მიღებული მოგება ტეხასის საჯარო ბიბლიოთეკებს გადასცა.

შესაძლოა, ბიბლიოთეკებმა როგორც სპონსორებმა, დამგეგმავებმა და შემსრულებლებმა მთავარი როლი შეასრულონ ფესტივალების ორგანიზებაში, ისინი ხომ ხშირად მასპინძლობენ მსგავს ღონისძიებებს. პროგრამების განვითარებისა და პრეზენტაციისთვის ზოგიერთი ფესტივალის ორგანიზატორი ლიტერატურული ორგანიზაციებიდან პარტნიორად ირჩევს ბიბლიოთეკას. არიზონას წიგნის ფესტივალის სპონსორია არიზონას ჰუმანიტარული საბჭო, მარიკოფას საგრაფოს საბიბლიოთეკო რეგიონი, არიზონას სახელმწიფო ბიბლიოთეკა; აღნიშნული ფესტივალი ჩატარდა კარნეგიის ბიბლიოთეკის პარკში და არიზონას სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (ფენიქსი). ფესტივალზე ლიტერატურული პროგრამების წარმოდგენისთვის ორგანიზაციებს გადაეცა ჰუმანიტარული საბჭოს პრიზი 1000-2000 აშშ. დოლარის ოდენობით.

წიგნის სამხრეთულ ფესტივალზე მოეწყო საუბრები, კითხვები და ჯგუფური დისკუსიები ომის მემორიალურ სასახლეში, კაპიტოლიუმის სახელმწიფო შენობაში და ნემვილის საჯარო ბიბლიოთეკაში, რომლებიც ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ.

ზოგჯერ, ორგანიზაციები ან ხელშემწყობი სააგენტოები შეხვედრებსა და სპეციალური ტრენინგების შესაძლებლობებს სთავაზობენ ბიბლიოთეკარებს. ეს შემთხვევები ბიბლიოთეკარებისთვის მომავალი წამყვანების გაცნობის კარგ საშუალებას იძლევა.

თემები: სახელწოდებაზე მეტი

ბევრი მოცემული მაგალითი როგორც თემატურად, ისე ფორმატის თვალსაზრისით შერწყმულ ციკლებს ასახავს. პროგრამების თემატიკა თქვენი თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, თემებსა და იდეებს უნდა შეესაბამებოდეს. თემის არჩევა გეხმარებათ ადგილობრივი საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების დადგენასა და იმ ავტორებისა თუ ხელოვნების მოძიებაში, რომლებიც აღნიშნულ თემაზე მუშაობენ. თემები თქვენი პროგრამული მიზნების გამოხატვის, აუდიტორიისა თუ წამყვანებისთვის მათი გაცნობის საშუალებაა.

სწორად შერჩეული თემები დაგეხმარებათ მუშაობის დაგეგმვაში, მრავალფეროვნებითა და მასშტაბურობით უზრუნველყოფს მას, უფრო ძლიერსა და ღრმას გახდის თქვენი პროგრამების დადებით გავლენას თემზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

LIVE! – ციკლები

5-1 ცხრილი გვიჩვენებს თემებს, დისკუსიებსა და იდეებს, რომლებიც შეიქმნა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პროგრამისთვის - „LIVE! @ your library". ზოგიერთმა ბიბლიოთეკამ თემების გასავრცობად ინოვაციურ გზებს მიაგნო, მაგალითად, ინდიანას/პარდუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ პროგრამის თემად აირჩია: „სხვა ადამიანების ამბები: ბიოგრაფიის ხელოვნება". პროგრამა ლუის არმსტრონგს მიეძღვნა, რომლის ცხოვრების ისტორია მუსიკალური დადგმის სახით წარმოადგინა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ჯაზ-ანსამბლმა. ეს პროგრამა ადგილობრივი ჯაზ-ფესტივალის ნაწილი იყო.

სალინას საჯარო ბიბლიოთეკამ (კანზასი) მოამზადა პროგრამების ციკლი თემაზე „დინებაში" რეზიდენტი არტისტების – ტიმ როლინსისა და დ.ჯ. კორნიშისთვის. პროგრამა ითვალისწინებდა გზების მოძიებას საზოგადოებაში ძალადობის დაძლევისთვის და რისკ-ჯგუფის ახალგაზრდებთან მუშაობას. პარტნიორთა შორის იყვნენ: სალინას ხელოვნების ცენტრი და საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტი.

დუგლასის საჯარო ბიბლიოთეკამ განახორციელა ოთხნაწილიანი ციკლი თემაზე „ეს ყველა ნათესავია". სერიის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ერთ ოჯახში მცხოვრები რამდენიმე პოეტის შემოქმედება. დუგლასის საბიბლიოთეკო ქსელის ოთხ ბიბლიოთეკაში მოისმინეს ცნობილი პოეტის – ბრედ ბოულის ლექსები, რომლებსაც ავტორი თავად კითხულობდა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს გასართობ შემოქმედებით ვორკშოპში. „ხშირად ოჯახები თავიანთი ახალი ლექსებითა და შემოქმედებითი იდეებით ყოველდღიურ ცხოვრებაში „კადრს მიღმა" რჩებიან".

მონტეკელერის საჯარო ბიბლიოთეკამ (ნიუ-ჯერსი) თემაზე – „მოვახდინოთ ცვლილება", მოაწყო ღონისძიებათა ციკლი სახელწოდებით „ტრანსსექსუალთა ისტორიები, ტრანსსექსუალთა ცხოვრება"; მიეწყო ფილმების ჩვენება და მეცნიერთა დისკუსიები თემაზე – „ბიჭი, სახელად სიუ", გაიმართა პრეზენტაციები და მხატვრული კითხვის საღამო ტრანსსექსუალი აქტივისტების, ლესლი ფაინბერგის, მინი ბრუს პეტისა და სხვა მწერალთა მონაწილეობით; აგრეთვე, დისკუსიების ფორუმი ტრანსსექსუალი ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების პრობლემებზე.

„ემის" პრემიის ლაურეატმა, რეჟისორმა დევიდ გრუბინმა ბალტიმორის (მერილენდი) ენოქ პრეტის სახელობის დამოუკიდებელ ბიბლიოთეკაში ისაუბრა თემაზე: „სხვა ადამიანთა ამბები: ბიოგრაფიის ხელოვნება".

ლექსინგტონის (კენტუკი) საჯარო ბიბლიოთეკამ ჩაატარა ციკლი თემაზე „ბურთის თამაში სიტყვებით"; ოთხ ღონისძიებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობა მიიღეს პრემიის ლაურეატმა, ახალგაზრდა მწერალმა კრის კრატჩერმა, სხვა მწერლებმა თუ პოეტებმა. ახალგაზრდა აუდიტორიისთვის განკუთვნილ პროგრამებზე ბიბლიოთეკის პარტნიორი იყო ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია, კენტუკის მწერალთა გაერთიანება და ადგილობრივი ახალგაზრდული ცენტრი.

პრინსტონის საჯარო ბიბლიოთეკამ (ნიუ-ჯერსი) პრინსტონის სახელოვნებო საბჭოსა და უმაღლეს სკოლასთან ერთად, წარმოადგინა ციკლები თემაზე: „დაკარგული გეოგრაფია“; ჩატარდა პოეზიის საღამო და ჯაზის პერფორმანსი პულიტცერის პრემიის ლაურეატის, პოეტ იუზეფ კომუნიკაასა და ჯაზ-ბენდის მონაწილეობით; ჯაკობ ლოურენსის მიგრაციის თემაზე შექმნილი საეტაპო ციკლის სლაიდების ჩვენება; რეზიდენტთა პროგრამა მწერალ ხულია ალვარესის მონაწილეობით. პროგრამის პარტნიორები იყო: ორი რეგიონული უნივერსიტეტი, სახელმწიფო ჰუმანიტარული საბჭო და კინემატოგრაფისტთა ადგილობრივი საზოგადოება.

შერწყმული პროგრამები

შერწყმული (ერთობლივი) პროგრამების მაგალითებია: ეროვნული ბიბლიოთეკის კვირეული, ეროვნული პოეზიის თვე, ჯაზის თაყვანისმცემელთა თვე (ყველა პროგრამა აპრილში), აკრძალული წიგნების კვირეული, თინეიჯერთა კითხვის კვირეული, ქალთა ისტორიისადმი მიძღვნილი თვე, შავკანიანთა ისტორიის თვე, სექსუალურ უმცირესობათა ისტორიის თვე და სხვა ადგილობრივი ღონისძიებები. ამგვარ ღონისძიებათა კარგი ცნობარია „ჩეიზის ღონისძიებათა კალენდარი“ („მაკგრო-ჰილის/თანამედროვე წიგნების“ ყოველწლიური გამოცემა).

ცხრილი 5-1 ციკლი „LIVE @ your library“

თემა	აღწერილობა/საკითხები	დაკავშირებული პროგრამები და იდეები თანამშრომლობისთვის
დაკარგული გეოგრაფია, საკუთარი თავის აღმოჩენა	მიგრაცია, იმიგრაცია, გადაადგილება - ეს ყოველივე შეიძლება გახდეს შემოქმედებაში საკუთარი თავის პოვნის საფუძველი. რომელი თემები განიცდიან ცვლილებებს კულტურის ჭრილში? როგორ ქმნის ახალ საზღვრებსა და ჩარჩოებში მცხოვრები ხელოვანი?	დაუგზავნეთ თქვენს რეგიონში დამადებული ან ერთ დროს მცხოვრები ავტორები და ხელოვნები მათთან, ვინც დღეს აქ ცხოვრობს; შეისწავლეთ რეალური და წარმოსახვითი პეიზაჟები ხელოვნებაში, მუსიკასა და ლიტერატურაში; ხელოვნების როლის განსაზღვრისთვის, ზუნების შესწავლასა და დანაკარგისგან დაცვისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეული და სული	შეისწავლეთ ფიზიკური, გონებრივი და სულიერი სიჯანსაღის ურთიერთდამოკიდებულება, განსაკუთრებით, იმ ავტორთა და ხელოვანთა შემოქმედების მიხედვით, რომლებიც აღწერენ ავადმყოფობას, დანაკარგს, სულიერ ბრძოლასა და გამარჯვებას. როგორი გავლენა მოახდინა ხელოვანებზე მიდსმა, კიბომ, დეპრესიამ და სხვა დაავადებებმა? სად გადის ადამიანური ცხოვრების ზღვარი მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის მიხედვით? შეუძლიათ სიტყვებს, ხატებსა და გმირებს ინდივიდისა და საზოგადოების დახმარება?	ადგილობრივ სადაზღვევო ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგინეთ ავადმყოფ და უნარშეზღუდულ ადამიანთა ნამუშევრები. მოაწყვეთ საქველმოქმედო საღამო სიმსივნის, შიდსის ან სხვა შემთხვევების დასაძლევად; გადაუგზავნეთ ინფორმაცია ამ ტიპის პროგრამებით დაინტერესებულ ჯგუფებს.
დინებაში	ავტორები და ხელოვანები კომენტარს უკეთებენ ყველაფერს: ინტერნეტს, ჟენტიკასა და ძალადობასთან ბრძოლას. პასუხების შედარება და დაპირირსპირება, განსაკუთრებით, საკამათო თემებზე, სამუალებაა ამ ძნელად მისაღები თემების კვლევისთვის. მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის შერწყმა, ჰიპ-ჰოპისა და კლასიკური მუსიკის, ფოტოგრაფიისა და აბსტრაქტული ხელოვნების შერწყმა გვთავაზობს მრავალმხრივ მეთოდებს სხვადასხვა აუდიტორიის მოზიდვისა და დაინტერესებისთვის.	შეადარეთ, თუ როგორ გადმოსცემენ თემებს ავტორები და ხელოვანები ფურცელზე, ეკრანსა თუ ბგერის საშუალებით: რამდენად განსხვავდება ამ ფორმათა გავლენა, ხაზგასმა თუ ანალიზი? განავითარეთ პროგრამები რეჟისორთა, ხელოვანთა, ჟურნალისტთა, მისტიკოს მწერალთა მონაწილეობით; აგრეთვე, იმუშავეთ სკოლებთან და აღნიშნულ თემებზე ორიენტირებულ ჯგუფებთან.
შეკვმნათ ცვლილება	პერსონაჟები მხატვრული ლიტერატურიდან, პოეზიიდან და ხელოვნებიდან გვთავაზობენ პოლიტიკური და პიროვნული ხასიათის პასუხებს წარმოუდგენლად ფართო სპექტრის სოციალურ საკითხებზე – რასიზმიდან ოფისის ხელმძღვანელობამდე, უსახლკარობიდან დანშაულთან უკომპორმისობამდე. რას ვსწავლობთ რეალური ცხოვრების შესახებ იმ პერსონაჟებისგან, რომლებიც მხატვრულ სამყაროს ქმნინან? როგორ ასახავს ლიტერატურა დედაქალაქებში, პატარა დასახლებებში, სამსახურებში	წარმოადგინეთ მუსიკალური პროგრამა 1960-იანი წლების საპროტესტო სიმღერებით; მოაწყვეთ პაციფისტური ფილმების ჩვენება; მოაწყვეთ თემატური დისკუსიები ადგილობრივი თემთა ლიდერებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით იმ თემების შესახებ, რომლებსაც ეხება წარმოდგენილი ხელოვანების ნამუშევრები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

	არსებულ თანამედროვე რეალობას? რა ადგილს ასრულებს კვლევები და ახალი ამბების მოვლენები მხატვრულ ლიტერატურასა და პოეზიაში?	
ყველაფერი ფარდობითია: ოჯახები ხელოვნებასა და ლიტერატურაში	თუ ხელოვანები თავიანთი ოჯახური გამოცდილების საფუძველზე ხატავენ, აუდიტორიის წევრები თავიანთი ცხოვრებისეული ისტორიებით ამდიდრებენ კითხვით საღამოებსა და წარმოდგენებს. რა შემთხვევები და მოვლენები აყალიბებენ ოჯახს? როგორ ვიყენებთ ენას და გამოსახულებებს დამახსოვრებულის გადმოსაცემად? როგორ გვეხმარება სხვა ოჯახები, წარმოსახვითი იქნება თუ რეალური, საკუთარი ოჯახის გაცნობაში?	მოიწვიეთ სხვადასხვა თაობის მწერლები და ხელოვანები; შეისწავლეთ ოჯახის როლი სხვადასხვა კულტურებში; მოამზადეთ კითხვისა და დისკუსიის ციკლები ოჯახურ თემებზე თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით; გამოიყენეთ ანთოლოგია, რომელიც იკვლევს ოჯახებს, ახალგაზრდა მწერლებს, კულტურათაშორის თემებს.
რამდენიმე დამატებითი მაგალითი	სიტყვებით ბურთის თამაში: სპორტი და ხელოვნება სხვა ადამიანების ამბები: ბიოგრაფიის ხელოვნება მგრძნობელი სიტყვები: წერა ომისა და მშვიდობის თემებზე.	

ეროვნული ბიბლიოთეკა

Jason Carter

author of

Power Lines: Two Years on South Africa's Borders

Sunday, September 15
3:00 p.m.

Jason Carter, a former Peace Corps volunteer, discusses his experiences as the only white resident and instructor in a small rural village hampered by lingering poverty from the days of apartheid. Despite the power lines that crisscrossed the village, there was no electricity because the power, literally and figuratively, resided elsewhere. Nonetheless, his story is one of optimistic change.

"In this illuminating and textured...account of life in the Peace Corps, the grandson of former President Carter shows that he, too, might be headed for high places." (Publisher's Weekly)

თ ა ვ ი VI

ტალანტი და წარმოდგენა

კულტურისა და მისთვის დამახასიათებელი თავისუფლების გარეშე, რომელსაც ის გვანიჭებს, თვით ყველაზე უნაკლო საზოგადოებაც კი ჯუნგლებად დარჩებოდა. აი, რატომ არის ყოველი ავთენტური ქმნილება სამომავლო საჩუქარი.

– ალბერ კამიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამის წამყვანები: სად ვიპოვოთ ისინი

ვინ არიან და რას აკეთებენ ისინი

შესაძლოა, თქვენ დიდი ხნის მანძილზე მუშაობთ პროგრამებზე, ამ შემთხვევაში მრავალი ტიპის პროგრამის წამყვანებს შეხვდებოდით. ბევრი წამყვანი სცილდება ერთი კონკრეტული კატეგორიის ფარგლებს. მაგალითად, უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორი, რომელიც მწერალიც არის, პირველ წელს შეიძლება მოვიწვიოთ ლიტერატურული დისკუსიების წასაყვანად, მომდევნო წელს – შემოქმედებითი სემინარების ჩასატარებლად, ხოლო მესამე წელს – საკუთარი მოთხრობების მხატვრული კითხვის საღამოზე. ზოგიერთი პროგრამა შეიძლება მოიცავდეს მრავალი კატეგორიის პროგრამებს, მაგალითად, პოეზიის საღამოებს მუსიკალური გაფორმებით ან გამოფენის გახსნას, რომელიც წარმოგვიდგენს ხელოვანსა და კრიტიკოსს.

იმ ნიჭიერ ადამიანთა შორის, რომლებსაც მუშაობისას შეხვდებით, შეიძლება იყვნენ ისინი, ვინც საკუთარ თავს უწოდებს პოეტს, მწერალს (ნოველისტი, პატარა მოთხრობების ავტორი, რომელიმე ჟანრის მწერალი, ესეიზებისა და იუმორისტული მოთხრობების ავტორი), დოკუმენტური წიგნების ავტორს, ჟურნალისტს, სცენარისტს, პროფესორს (ლიტერატურის, შემოქმედებითი წერის, ისტორიის, ფილოსოფიის, დარგობრივი სწავლების, მუსიკის, ცეკვის, ხელოვნებისა და ხელოვნების ისტორიის სფეროში), მომღერლებს, მუსიკოსებს; აგრეთვე, შეხვდებით ანსამბლებს, ორკესტრებს, მოცეკვავეებს, საცეკვაო კომპანიებს, თეატრალურ კომპანიებს, ცხოვრებისეული ისტორიების მთხრობელებს, მსახიობებს, პერფორმანსის მსახიობებს, ვიზუალური ხელოვნების წარმომადგენლებს (მხატვრებს, ფოტოგრაფებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს, რეჟისორებსა და დიგიტალურ ხელოვანებს).

შეგიძლიათ, სთხოვოთ მათ, აუდიტორიას წარუდგინონ საკუთარი ნამუშევრები, ისაუბრონ თავიანთ შემოქმედებაზე, ხელოვნებაზე, შემოქმედებით ტექნიკებსა და მათი საქმიანობის ბიზნეს-მხარეებზე, აგრეთვე, ხელი შეუწყონ დისკუსიას სხვა ხელოვანთა საქმიანობაზე.

რა არის მათთვის ეს?

წამყვანები ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით გამდიდრებასა და სახელის მოხვეჭას არ ელიან. თუმცა, არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ სურთ აუდიტორიის წინაშე გამოსვლა:

ზოგადად, ბიბლიოთეკის აუდიტორია მადლიერი და კარგად მომზადებული მსმენელებისგან შედგება. აუდიტორიის წევრები პროგრამას თავიანთი იდეებითა და გამოცდილებით ამდიდრებენ; ისინი გამოხატავენ მზაობას, იმუშაონ პროგრესისთვის. წამყვანები არა მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწავლიან, არამედ სწავლობენ. საერთოდ, წამყვანები შრომის ანაზღაურებასაც იღებენ (ზოგიერთი წამყვანი საკუთარ წიგნებსა და კომპაქტ-დისკებსაც ყიდის).

რიგ შემთხვევაში, მრავალი წამყვანი მდიდარი და ცნობილიც ხდება, ან, სულ მცირე, შესრულებულ სამუშაო პოპულარულს ხდის მას, შემდგომში კი თბილად იხსენებს, თუ როგორ დაეხმარა ბიბლიოთეკა მოღვაწეობის პირველ წლებში, აღიარებისა და მხარდაჭერის მოპოვებაში. ბევრ ზრდასრულს, განსაკუთრებით, მწერალს, ძალიან კარგი გამოცდილება აკავშირებთ ბიბლიოთეკებთან.

კომენტარები ცხრილში 6-1 წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ წამყვანებს ბიბლიოთეკებისა და მათი აუდიტორიის მიმართ.

ცხრილი 6–1

რესურსები წამყვანებისთვის

რეკომენდაციები კოლეგებისგან ადგილზე და ფართო პროფესიული ქსელიდან;

რეკომენდაციები თემის წევრების ან პარტნიორი ორგანიზაციებისგან;

ადგილობრივი უნივერსიტეტებისა და კოლეჯების შესაბამისი დეპარტამენტები;

სახელმწიფო და რეგიონული ბიბლიოთეკები, წიგნის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სააგენტოები;

სახელმწიფო ორგანიზაციების ადგილობრივი განაყოფები: ამომრჩეველ ქალთა ლიგა, როტარი, უცხოეთის ომების ვეტერანები, ამერიკელთა სამოქალაქო თავისუფლების კავშირი, ებრაული საზოგადოებრივი ცენტრები, რელიგიური და პოლიტიკური ჯგუფები, უნივერსიტეტელ ქალთა ამერიკული ასოციაცია;

დირექტორიები, როგორიცაა ამერიკელ პოეტთა და ფანტასტიკის ავტორთა დირექტორია (ხელმისაწვდომია ნაბეჭდ და ონლაინ ფორმატში), აგრეთვე, ავტორები @ თქვენი ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაში;

ლიტერატურული ორგანიზაციები, როგორებიცაა: ამერიკელ პოეტთა აკადემია, ასოცირებული სამწერლო პროგრამები, ნიუ–იორკ–სითი 92 და წმ. ი, პოეტთა სახლი, ლოფტის ლიტერატურული ცენტრი მინეაპოლისში, ჩიკაგოს გილდიის კომპლექსი, „ხელოვნება და ლექციები“ სიეტლში და „ლიტერატურული ხელოვნება“, მათ შორის, პორტლანდში (ორეგონი);

საუკეთესო წიგნების სიები და რეკომენდაციები სხვადასხვა რესურსებიდან, მაგალითად, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის წიგნებისა და ყოველწლიური რჩეული წიგნების სიიდან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ხელოვნებათა ეროვნული ფესტივალი

სახელოვნებო და ჰუმანიტარული ორგანიზაციები, როგორებიცაა: ამერიკელები ხელოვნებისთვის, მიდვესტის ხელოვნება, მედიახელოვნებისა და კულტურის ეროვნული ალიანსი, ეროვნული ვიდეორესურსები, დასავლეთის შტატების ხელოვნების ფედერაცია და ეროვნული ჰუმანიტარული ალიანსი;

ჩვენებები, კონფერენციები და სხვა სპეციალური ღონისძიებები პოტენციური წამყვანების მონაწილეობით;

წიგნის ფესტივალები და სხვა სპეციალური ღონისძიებები;

მითითებები ეროვნული ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა, – ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის გეგმა და სამოდელო პროგრამები.

პოტენციური წამყვანების მოძიება/შეფასება

შესაბამისი წამყვანების ძიებისას თქვენ ორ ძირითად მახასიათებელს ითვალისწინებთ: (1) მათ დამსახურებებსა და მუშაობის ხარისხს; (2) მათ პროფესიონალიზმს, სილაღესა და ავტორიტეტს აუდიტორიისთვის; თქვენ ეძებთ პიროვნებას, რომელიც რაიმე საუკეთესოს შესთავაზებს აუდიტორიას და ეფექტურად გამოხატავს თავის სათქმელს.

გარკვეულწილად, უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი კრიტერიუმები. თუმცა, ხშირად უფრო ადვილია მათი დამსახურებების შეფასება, ვიდრე თქვენს აუდიტორიასთან შესაბამისობის დადგენა. მაგალითად, შეიძლება გადახედოთ მწერლის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და მათ შესახებ არსებულ გამოხმაურებებს. შეგიძლიათ, მოიწვიოთ მეცნიერებათა დოქტორი გარკვეულ სფეროში ლექციების წასაკითხად თუ დისკუსიების მოსაწყობად.

გაეცანით მუსიკალური ჯგუფების წარმოდგენებს, მოუსმინეთ მათ ჩანაწერებს ან დაესწარით ჯგუფების ფორმალურ პრეზენტაციებს. თუ თქვენ დაინტერესებული ხართ წამყვანით, რომლის პროფესიული ხარისხის – პუბლიკაციების ისტორიის, გამოხმაურებების ან მსგავსი გამოცემების დონის განსაზღვრა ადვილი არ არის, შეფასების სხვა მეთოდი შეარჩიეთ. მაგალითად, შეგიძლიათ, დაესწროთ უკვე გამოქვეყნებული პოეტი დამწყებ მწერალთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ ცნობილი პოეტი ახალბედას მენტორი იყო ან უყვარს მისი ნამუშევრები.

ერთია ხელოვნების ნიმუშის ან სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარი, რომელიმე დარგში ცოდნის განვითარება, მეორე კი ამ ნამუშევრისა და ცოდნის აუდიტორიისთვის წარდგენა. ყოველთვის შეხვდებით ტიპურად მორცხვ, ნერვულ, „დუდღუნა“ ან პრეტენზიიულ წამყვანებს ისევე, როგორც მოუხერხებელ ან უსიამოვნო, დაგვიანების მოყვარულ და არაეფექტურ წამყვანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანები ხშირად არ გვიქმნიან სერიოზულ პრობლემებს, ნამდვილად არსებობენ ე.წ. „პრობლემური“ წამყვანები. უფრო ხშირად ხვდებით მათ, რომელთა ნამუშევრებიც სამაგალითოა, მაგრამ ნაკლებად ფლობენ საჯარო გამოსვლის უნარებს. ეს შეიძლება იყოს ტემპერამენტის ან გამოცდილების ნაკლებობის ბრალი. თქვენი სამუშაოს ნაწილია იმის განსაზღვრა, რომ წამყვანს ჰქონდეს გამოცდილებაც და პროგრამის მიწოდების უნარიც.

პირადი საუბარი და დაკვირვება საუკეთესო გზაა წამყვანის ან ხელოვანის შესაბამისობის განსაზღვრისთვის. მიიღეთ და გაითვალისწინეთ რეკომენდაცია სანდო წყაროებისგან. თუ შესაძლებელია, გაეცანით ამ ადამიანის საქმიანობას და შეეკითხეთ, რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს ზრდასრულთა აუდიტორიაში. მუშაობისას თუ ითვალისწინებს აუდიტორიის ტიპს; რამდენად კარგად შეუძლია აუდიტორიასთან კავშირის დამყარება, სათქმელის გადაცემა; თუ აქვს უნარი, თავისი სამუშაო გასაგებად მიიტანოს აუდიტორიამდე; რამდენად ინფორმაციული, გამრთობი, პროვოკაციული, ამაღელვებელი, საგანმანათლებლო, აზრიანია მისი პრეზენტაცია.

ზოგჯერ პოტენციური წამყვანის რეკომენდატორი ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწოდებს პროგრამასთან მისი შესაბამისობის შესახებ. გაესაუბრეთ წამყვანს, მის გამომცემელს ან აგენტს, იმ ბიბლიოთეკების, წიგნის მაღაზიების, ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვისთანაც მუშაობდა კანდიდატი. შესაძლებელია, პირდაპირ მას უთხრათ, თუ რას ელით პროგრამისგან. იხილეთ წიგნის ამ თავში მოცემული ქვეთავი: „წამყვანების დაქირავება და მათთან მუშაობა“.

პროგრამის მომზადებისას გასათვალისწინებელია ბალანსის დაცვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც თემა პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვა დელიკატურ საკითხს ეხება. დისტანციური უნდა იყოს თუ ლაღად ისაუბროს? ერთი წამყვანის შეხედულებებს თუ გაარწმასწორებს სხვა წამყვანების მოსაზრებები?

პროგრამის წამყვანების მოძიება სხვადასხვა გზით შეიძლება, როგორც ეს 6-2 ცხრილშია ნაჩვენები. ბიბლიოთეკების უმეტესობამ გამოავლინა, რომ კულტურის პროგრამის დაწყების შემდეგ ამბავი სწრაფად ვრცელდება – წარმატებული წამყვანები გვთავაზობენ სხვა წამყვანებს, საზოგადოების წევრები კი მოიძიებენ ბიბლიოთეკებს, რომლებსაც საინტერესო შემოთავაზებები აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 6–2

წამყვანთა შეფასებები

„მწერლების უმეტესობას ფურცლებთან მტი შეხება აქვს, ჩვენს კულტურაში პირადი ურთიერთობის მოთხოვნილება იარგება. კითხვის აქტს უნდა მოვუფრთხილდეთ, გაწვევთაროთ და წარმოვაჩინოთ. ეს კარგი ბიბლიოთეკის მოვალეობაა, სწორედ ამ მხრივ შეუძლია მწერალს ჩვენი დახმარება. მკითხველისთვის კარგია, გაიგოს . . . რომ წიგნი და მწერალი ერთი და იგივე არ არის.“

–სტიუარტ დიბეკი, წამყვანი პროგრამისა „მწერალი ცხოვრობს ბიბლიოთეკაში“

„როგორც მწერალს, იშვიათად მაქვს უშუალო ურთიერთობის შანსი იმ ადამიანებთან, რომლებსაც წაკითხავთ ან სმენიათ ჩემი ნამუშევრების შესახებ – მათ უფრო მტი რამ იციან ჩემს შესახებ, ვიდრე მე – მათზე. ეს ერთგვარი შესაძლებლობაა ჩემი ნაშრომის „გამოდგესთვის“.

– ლარი ჰეინემანი, წამყვანი პროგრამისა „მწერალი ცხოვრობს ბიბლიოთეკაში“

„ჩემზე დიდი შთაგეჭდილება დატოვა დამსწრეთა თვდადებამ - მათ კარგი მკითხველი დასვეს და ნამდვილად ღირებული ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს...

ჯგუფი მონდომებული იყო [წიგნის] სირთულეების განხილვისას ... დისკუსია ხალისიანი იყო, საღამო წარმატებულად ჩატარდა.“

– სერიის „მოდით, ვისაუბროთ ამაზე“ სტიპენდიანტი, დისკუსიის წამყვანი

„ძალიან სასიამოვნოა იყო, რომ მომეცა საშუალება, ჩემი მოთხრობები გამეცნო მწერლებისთვის, ბიბლიოთეკარებისთვის, მკითხველებისთვის იმ საიტებზე, რომლებზეც შევედი“.

– დენისე ჩავესი, წამყვანი პროგრამისა LIVE! @ your library

„მიყვარს ბიბლიოთეკებში პრეზენტაციების ჩატარება. აქ საინტერესო ადამიანების ჯგუფი იკრიბება“.

– კრის კრატჩერი, წამყვანი პროგრამისა LIVE! @ your library

„მნიშვნელოვანია, რომ მწერლებში ვხედავდეთ არა მხოლოდ იმ აუტსაიდერებს, რომლებიც დროს მათი ხელოვნების საშუალებით გადმოგცემენ, არამედ მათ, ვინც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ფიქრობს.“

–სკოტ რასელ სანდერსი, წამყვანი პროგრამისა LIVE! @ your library

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუქვეყნებელი და თავად ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოებები

პროგრამების გამოცდილი სპეციალისტებისთვის ზოგჯერ ერთგვარი გამოწვევვა არჩევანის გაკეთება უამრავ პოტენციურ პროგრამებსა და წინადადებებს შორის. შესაძლოა, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომების ავტორები და ისინი, ვინც თავად გამოაქვეყნეს საკუთარი ნაწარმოებები, განსაკუთრებით დაინტერესდნენ თავიანთი შემოქმედების პოპულარიზაციით. ერთი გამოცდილი პროგრამისტი ასეთ მწერლებთან ურთიერთობისთვის შემდეგ რეკომენდაციას გვაძლევს:

,,მოსალოდნელზე მეტი რაოდენობის უცნობი ავტორისგან მივიღე წინადადებები. იმ შემთხვევაში, თუ არ მჭირდა მათი წიგნები და სანდო წყაროებისგან კარგი რეკომენდაციები, ვეუბნებოდი, რომ არ გვყავდა საკმარისი კადრები და არ გვქონდა საკმარისი რესურსები პროგრამის მასპინძლობისა და რეკლამისათვის; რომ მსგავს ღონისძიებებზე დამსწრე აუდიტორია ყოველთვის საუკეთესო არ არის. ორივე არგუმენტი მართალი იყო.

არ მინდა შემოვიფარგლო ამ ტიპის გადაწყვეტილებებისთვის რეკომენდაციების გამოცემით. შეიძლება ითქვას, რომ კარგი რეპუტაციის მქონე წყაროს სამი კარგი მიმოხილვა მაინც უნდა წავიკითხო და შემდეგ ბევრი ვიფიქრო იმაზე, თუ რას ნიშნავს სიტყვა ,,კეთილშობილი" ან ,,კარგი რეპუტაციის მქონე" და როგორ უნდა ავირჩიო ეს სამი სტატია. ადგილობრივი მწერლები და ადგილობრივი მოსახლეობისთვის საინტერესო თემები ხშირად დიდი უპირატესობით სარგებლობენ პროგრამების შერჩევისას.

გამომცემელთა სახელებსა და მიმოხილვებს დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის ხარისხის განსაზღვრისა და მისით დაინტერესებისთვის. სარეკლამო მასალები ვრცელ ინფორმაციას გვაწვდიან პროდუქტის ხარისხის შესახებ. ბევრი წიგნი თავად ავტორის მიერ არის გამოქვეყნებული; ამ და სხვა მიზეზებით, ვერ შემოვიღებ რაიმე წესს იმ ავტორთა წინააღმდეგ, ვისაც სალამის მოწყობა სურს თავისი წიგნის რეკლამირებისთვის. თუმცა ბევრია ისეთი ავტორი, რომლებსაც არ ესმის, რომ მათი ნაშრომი თუ ფორმატი მეტ მუშაობას საჭიროებს, ან მათ მიერ გამოქვეყნებული წიგნის მყიდველი, ძირითადად, მათი მეგობრები და ოჯახური წრეა.

ვფიქრობ, ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ უბრუნებენ გამომცემლობები ავტორებს მოთხოვნის გარეშე მიწოდებულ ხელნაწერებს ასეთი ,,გულგრილი" განწყობით - ,,დიდი მადლობა თქვენი ახალგაზრდა გზავნილისთვის. ვწუხვარ, რომ იგი მოცემული დროისთვის არ შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წლებში, როდესაც უფრო მეტ ადგილობრივ ავტორებთან ვთანამშრომლობდი, ვიდრე ამის ინდივიდუალური შესაძლებლობები მქონდა, დეკემბერში, როდესაც ღია კარის დღე მოვაწყეს, ყველა ადგილობრივი ავტორი დავპატიჟე მათი წიგნების პრეზენტაციისთვის, გაყიდვისა და ლიტერატურული საღამოების მოსაწყობად. მათ ეს ძალიან მოსწონთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ, გარდა თავად ავტორებისა და მათი მეგობრებისა, ასევე მოსწონს ფართო აუდიტორიას".

პროფესიონალ მწერლებთან, მათ თაყვანისმცემლებსა ან აგენტებთან ურთიერთობისას, კარგი დასაწყისი იქნება, თუ მათ მოსთხოვთ წიგნებისა და სხვა ნაშრომების ასლებს, ბიოგრაფიებს, შესაბამის ინტერვიუებს, სტატიებსა და ვებ-გვერდების ლინკებს. შესაძლოა, მასალა არ შეესაბამებოდეს თქვენს სამომავლო გეგმებს ან პირიქით, ახალი იდეების წყარო აღმოჩნდეს. ყოველთვის საღი, გახსნილი გონებით შეხედეთ საკითხს და მასალა თანმიმდევრულად შეისწავლეთ. მზად იყავით სამომავლოდ გადაწყვეტილების გადახედვისა ან შეცვლისთვის. თქვენ შეიძლება მომდევნო დიდი მოვლენის წინაშე აღმოჩნდეთ.

წამყვანების დაქირავება და მათთან მუშაობა

მას შემდეგ, რაც დაადგენთ სასურველ წამყვანს, საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა, რათა თქვენი ღონისძიება დაცული იყოს.

ისაუბრეთ და მიეცით შედეგს წერილობითი ფორმა

პირველი გასაუბრების შემდეგ, როდესაც თქვენ და თქვენი პარტნიორი განიხილავთ მოქმედებების შესაძლებლობებს, განსაკუთრებით იმას, თუ რას მოითხოვთ წამყვანისგან, სასურველია, თქვენს მოსაზრებებს წერილობითი სახე მისცეთ, ხშირად წერილის ფორმით; დაკონკრეტეთ დეტალები: შესაბამისი თარიღი, ხარჯები და ორივე მხარის მოთხოვნები. შეგიძლიათ, წამყვანს სთხოვოთ წერილზე ხელი მოაწეროს და თანხმობის ნიშნად ასლი გადმოგცეთ.

ზოგიერთი წამყვანი მოითხოვს უფრო ფორმალურ კონტრაქტს, რომელიც შეიძლება აგენტმა, პუბლიცისტმა ან სხვა შუამავალმა გაფორმოს.

დეტალები, რომლებიც უნდა შევიდეს წამყვანის კონტრაქტში ან თანხმობის წერილში, შეიძლება მოიცავდეს:

- დროს, ვადასა და ადგილმდებარეობას;
- პროგრამის ფორმატს;
- დამსწრეთა შესაძლო რაოდენობას;
- ტრანსპორტირებასა და განთავსების პირობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჰონორარს;
- წარდგინებას;
- წიგნის გაყიდვებსა და ავტოგრაფების დარიგებას;
- ადგილობრივ შუამავლებს;
- აუდიოვიზუალურ მხარდაჭერას;
- სარეკლამო მასალების მოთხოვნას, წამყვანის ძირითად მესიჯს, პრეს-რელიზებსა და წიგნის ქსეროასლებს;
- სპეციალურ მოთხოვნებს (განსაკუთრებულ საჭიროებებს).

რეკლამა და მასალები მარკეტინგისთვის

შესაძლოა, თქვენ მოისურვოთ და სთხოვთ წამყვანს, მოგაწოდოთ დღეისთვის არსებული მონაცემებით ბიოგრაფიული და სხვა ტიპის მასალები, მათ შორის, სარეკლამო სურათები. თუ ეს მასალები შეგროვებულია კანდიდატთა შერჩევის პროცესისას, უბრალოდ, სთხოვეთ წამყვანს, გადახედოს თქვენს მიერ მომზადებულ და დამოწმებულ მასალებს. ზოგიერთ წამყვანს ან მათ გამომცემელს შეუძლია მოგაწოდოთ იმეილების სია ან დაგაკავშიროთ სპეციალურ მედია საშუალებებთან. მიეცით მათ უფლება, დაგეხმარონ და უზრუნველგყონ აუდიტორიით.

მასპინძლობა და ადგილობრივი ზომები

თუ წამყვანი სტუმარია, დაგჭირდებათ მისი ტრანსპორტით, ბინით და კვებით უზრუნველყოფაც. დეტალები მასთან წინასწარ დაწვრილებით უნდა შეათანხმოთ. მაგალითად, ზოგიერთმა წამყვანმა შეიძლება კერძო ბინაში ცხოვრება მოისურვოს, ზოგმა კი არჩიოს სასტუმროს ნომერში განცალკევება. შეიძლება, თქვენი სამუშაო ჯგუფის წევრები ან სხვები აეროპორტში დახვდნენ სტუმარს ან რეგიონში გაასეირნონ (და ისევ, ჯერ წამყვანთან შეათანხმეთ მსგავს ღონისძიებათა საჭიროება). შესაძლოა, პრეზენტაციამდე ან მის შემდგომ ადგილობრივი წამყვანები სადილზე მიიწვიოთ პატარა ჯგუფთან ერთად. მკაფიოდ განსაზღვრეთ თქვენი ფინანსური შესაძლებლობები, ხარჯები, რომელთა დაფარვაც შეგიძლიათ და გსურთ. გამოკითხეთ წამყვანს, ხომ არ აქვს სპეციალური მოთხოვნები. ყოველთვის მოეპყარით წამყვანს, როგორც პატივცემულ სტუმარს.

დარბაზი

ბიბლიოთეკების უმეტესობას მრავალი მიზეზით სურს წარმოადგინოს ადგილობრივი პროგრამები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- იმ კოლექციებისა და მასალების წარმოსადგენად, რომელიც წამყვანებისთვის შესაძლოა საინტერესო იყოს;
- ახალი მომხმარებლის მოსაზიდად ბიბლიოთეკის სივრცეში.

თუმცა არსებობს კარგი მიზეზები მოძრავი პროგრამების შექმნისთვის:

- სასურველი აუდიტორიის მომსახურება მათთვის ნაცნობ კომფორტულ გარემოში;
- შესაბამისი პირობების (მაგალითად, დასაჯდომი ადგილების) ნაკლებობა ბიბლიოთეკაში;
- ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია ფართო საზოგადოებაში.

სცენის მოწყობა

თუ თქვენ ყურადღებით დაგეგმეთ ღონისძიება, ყველაფერი ორგანიზებული გექნებათ, ყველა დეტალის დასაზუსტებლად გეყოლებათ დამხმარე მოხალისეები და თანამშრომლები. შეიძლება, ღონისძიების დღეს მოისურვოთ წამყვანებთან სპეციფიკური დეტალების ხელახლა გადამოწმება (დრო, ადგილი, ზუსტი მდებარეობა, საკვები, ფურცლები რეგისტრაციისთვის, სამკერდე ნიშნები სახელებისთვის); მოაწყვეთ საინფორმაციო მაგიდა და მოიძიეთ ის ადამიანები, რომლებიც უპასუხებენ ტელეფონს, განაახლებენ ვებ–გვერდს, იზრუნებენ ბილეთების, ადგილებისა და სხვა საკითხების უზრუნველყოფაზე. პროგრამის დაწყებამდე, შეხვდით წამყვანსა და მოხალისეებს, რათა დარწმუნდეთ, რომ მზად არიან მონაწილეთა მისაღებად.

წარდგენა

სცენის მოწყობა პროგრამის მნიშვნელოვანი ელემენტია. თქვენ და მოხალისე მომზადებული უნდა იყოთ იმისთვის, რომ პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო შექმნათ და წამყვანს ინფორმაციით გაჯერებული და ენთუზიაზმით სავსე განწყობა დაახვედროთ.

<u>რამდენიმე რჩევა:</u>

- გამოსვლისთვის მზად გქონდეთ ჩანაწერები, მაგრამ მოერიდეთ ფურცლიდან კითხვას;
- მადლობა გადაუხადეთ ყველას, ვინც პასუხისმგებელია ღონისძიების ჩატარებაზე: წამყვანსა და მონაწილეებს – მოსვლისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფინანსებლებსა და პარტნიორებს – დახმარებისთვის, ბიბლიოთეკის საბჭოსა და თანამშრომლებს – გაწეული მუშაობისა და მხარდაჭერისთვის, სხვა ადამიანებს – თავიანთი დამსახურებებისთვის.

- იყავით გულისხმიერი, გათვითცნობიერებული როგორც წამყვანის საქმიანობაში, ისე პროგრამის შინაარსში.
- აუდიტორიას მიაწოდეთ კონკრეტული, კარგად მოფიქრებული ინფორმაცია წამყვანისა და პროგრამის შინაარსის შესახებ. დაასახელეთ წამყვანის სახელი, ტიტული, ორგანიზაცია ან ჯგუფი, რომელსაც ის წარმოადგენს; თუ შესაძლებელია, დაასახელეთ პიროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი დამსახურებები, მიღწევები, პრიზები და ღირსებები. თუ პროგრამას შეესაბამება, პირადი ანეკდოტი ან სხვა საინტერესო „მსუყე ლუკმა“ თბილად განაწყობს აუდიტორიას წამყვანის მიმართ.
- ისაუბრეთ სხარტად! ნუ გადაფარავთ პროგრამის მნიშვნელობას! დაუკარით ტამი წამყვანის მისასალმებლად.

შოუ

დარწმუნდით, რომ ვიღაც ითვლის დამსწრეთა რაოდენობას და აწვდის მათ შეფასების ფორმებს. შემდეგ დაისვენეთ და თავადაც ისიამოვნეთ პროგრამით. ეს თქვენ დაიმსახურეთ.

განვითარება

მადლობა არასდროს არის საკმარისი. ასე რომ, ღონისძიების დასრულებისას, გააკეთეთ რამდენიმე დასკვნითი კომენტარი; მოკლედ დაახასიათეთ მომდევნო სერიის შემდეგი პროგრამა; განმარტეთ, როგორ შეიძლება წიგნის გამოწერა; შეგიძლიათ, აუდიტორიის წევრებს სთხოვოთ, შეაჯამონ ღონისძიება, შეასრულეთ სხვა საჭირო მოთხოვნები. მადლობა გადაუხადეთ წამყვანს, დამფინანსებლებს, აუდიტორიასა და დამხმარეებს - თანამშრომლებს, მეგობრებს და ა.შ.

დარწმუნდით, რომ წამყვანის, როგორც სტუმრის მოთხოვნები დაკმაყოფილებული უნდა იყოს. ვიდრე დაგავიწყდებოდეთ, ჩაიწერეთ თქვენი აზრები პროგრამის მსვლელობისას. რა იყო საღამოს მთავარი სიუჟეტიზი? რას შეცვლიდით შემდეგი ღონისძიებისთვის? რა დაგჭირდათ ისეთი, რაც გეგმაში არ გქონდათ? იფიქრეთ შინაარსზე ისევე, როგორც საყოფაცხოვრებო საკითხებზე, აუდიტორიის რეაქციაზე, პრეზენტაციისა და დისკუსიის მსვლელობაზე.

წამყვანები ადამიანები არიან. ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ მათ სამუშაოს აფასებთ, რისი დადასტურებაც თქვენ მიერ მოწვეული კარგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუდიტორიაა. არც ერთ წამყვანს სურს შეხვედრა მცირერიცხოვან აუდიტორიასთან, რომელიც გულგრილად მოუსმენს და ვერ გაუგებს. დარწმუნდით, რომ წამყვანს აფასებენ – კარგი კვება, შესაბამისი ანაზღაურება აქვს და მადლობასაც უხდიან. მოუფრთხილდით მათ და კარგი სიტყვა თქვენსა და თქვენი ბიბლიოთეკის შესახებ სწრაფად გავრცელდება სხვა პოტენციურ წამყვანებს შორის.



კულტურის პროგრამების დაფინანსება

რამდენად ვუფრთხილდებით წიგნებს ჩვენ, როგორც ერი?
როგორ ფიქრობთ, სად უფრო მეტ დროს ვატარებთ – სახოგადოებრივ და კერძო ბიბლიოთეკებში, თუ ჩვენს ცხენებთან?

– ჯონ რასკინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდების მოზიდვამდე უნდა შექმნათ ე. წ. „საქმე“. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ბიბლიოთეკის რეგულარული ბიუჯეტი გაფინანსებთ თუ გრანტისთვის განაცხადს წერთ. მიზეზებისთვის, რომლებიც ამართლებს ბიბლიოთეკაში კულტურის პროგრამების მოწყობას, იხილეთ თავი I.

კულტურის პროგრამების დაფინანსების ბევრი წყარო არსებობს: ბიბლიოთეკის ბიუჯეტი, კერძო შემოწირულობები და ფონდების მოზიდვა. გარე რესურსები მოიცავს კორპორაციულ სპონსორებსა და მთავრობას, ფონდებსა და კერძო დონორებს. ბოლო წლებში კარგი პირობები შეიქმნა ფონდების მოზიდვისთვის, რადგან ბიბლიოთეკებს მიეცათ საშუალება რესურსების შედეგიანად ამოქმედებისა და კარგი რეზიუმეების შექმნისა, მათ აღიარებენ ორგანიზაციებად, რომლებსაც ბევრი საკითხისთვის შეიძლება მიმართოთ.

ორგანიზაციული მხარდაჭერა

ფულის მოზიდვასა და განკარგვამდე არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ მოიპოვოთ თქვენი ორგანიზაციის მხარდაჭერა. აუცილებელია, რომ ბიბლიოთეკის საბჭოს, თანამშრომლებისა და თემის წევრების მხარდაჭერას გრძნობდეთ, რაც უფრო გაგიმარტივებთ მუშაობას. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ საჯარო ბიბლიოთეკებში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მენეჯმენტის, თანამშრომლებისა და საბჭოს წევრების დაახლოებით 60 პროცენტს საშუალო დამოკიდებულება აქვთ ბიბლიოთეკების კულტურის პროგრამებისადმი, მათ შორის, საბჭოსა და თანამშრომლების 1/4 და მენეჯერების 1/3 მუდმივად უჭერს მხარს კულტურულ პროგრამებს (ასა/კპო 1999ა, 12). ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია და კადრები შეიძლება არ იზიარებდეს თქვენს პასუხისმგებლობას, მაგრამ კარგი საქმე წინაპირობაა დამფინანსებელთა მოზიდვის, დამაჯერებელი სარეკლამო მასალის მომზადებისა და თქვენი მდგომარეობის გამყარებისთვის. უნდა გრძნობდეთ ენთუზიაზმსა და პასუხისმგებლობას, მაგრამ ასევე უნდა შეგეძლოთ იმ ფაქტების შეგროვება და ინფორმაციის ორგანიზება, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენი იდეების ხორცშესხმას.

დაფინანსება ბიბლიოთეკის ბიუჯეტიდან

ბიბლიოთეკის ბიუჯეტი პროგრამების დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა; ამდენად, ბევრ დამფინანსებელს ექნება იმის მოლოდინი, რომ მასთან ერთად ბიბლიოთეკის ფონდიდანაც მიიღებთ მხარდაჭერას, თუნდაც ეს ნატურალური იყოს. 1998 წლის გამოკვლევის თანახმად, ყოველი ოთხი ბიბლიოთეკიდან ერთს აქვს ბიუჯეტში ცალკე დაფინანსება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდასრულთა პროგრამებისთვის (24.1%); დიდებისა და ბავშვთა პროგრამების დაფინანსებას ბიუჯეტში შეაქვს ბიბლიოთეკების 15,8 %, ხოლო 60.2 %-ს არ აქვს გამოყოფილი თანხა პროგრამებისთვის. წელსაც უცვლელი დარჩა ბიბლიოთეკების 55.5 %–ის მიერ ცალკე საბიუჯეტო დაფინანსება პროგრამებისთვის. პროგრამების დაფინანსება შეამცირა ბიბლიოთეკების 7.9 %–მა, ხოლო გაზარდა 36. 6 %–მა (გვ.10).

დაფინანსების გარე წყაროები

„ბიბლიოთეკის მეგობართა“ ჯგუფები ყველაზე ფართოდ გავრცელებული წყაროა დაფინანსებისთვის (67.7%). 1997 წელს, ბიბლიოთეკათა საერთო რაოდენობის მხოლოდ 7.7 % იყო სრულად დამოკიდებული ბიბლიოთეკის ბიუჯეტზე ზრდასრულთა პროგრამების დაფინანსებისას. ბიბლიოთეკათა ნახევარი იყენებდა დაფინანსების ერთ ან ორ გარე წყაროს. „ბიბლიოთეკის მეგობართა“ ჯგუფებთან ერთად პროგრამებს აფინანსებდა შემდეგი ორგანიზაციები:

ჰუმანიტარული საბჭო	31.3%
ადგილობრივი/შტატის სახელოვნებო საბჭოები	26.9%
ადგილობრივი სამომსახურეო/სამოქალაქო ჯგუფები	19.7%
ინდივიდუალური დონორები	15.0%
სხვები	13.7%
კორპორაციები/ბიზნეს–ორგანიზაციები	13.3%
საბიბლიოთეკო ფონდები	10.4%
თემის ან ადგილობრივი ფონდები	8.9%
„საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ტექნოლოგიის აქტის“/ „საბიბლიოთეკო მომსახურებისა და კონსტრუქციული აქტის“ გრანტები	5.9 %
დაფინანსების სხვა წყაროები შტატის ბიუჯეტიდან	5.1%
ეროვნული ფონდები	4.9 %
სხვა ფედერალური დაფინანსების წყაროები	2.1% (გვ.10)

შტატისა და ეროვნული დაფინანსებები

მეგობართა ჯგუფის შემდეგ კულტურის პროგრამებს ყველაზე ხშირად სახელმწიფო ჰუმანიტარული და სახელოვნებო საბჭოები აფინანსებდნენ მაშინ, როცა ეროვნული სააგენტოები უფრო მეტად – საშტატო ან რეგიონულ პროექტების დაფინანსებაზე არიან ორიენტირებული.

კულტურის პროგრამების დაფინანსების მთავარი წყაროებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

National Endowment for the Humanities
(http://www.neh.gov/)
State Humanities Councils
(http://www.statehumanities.com/)
National Endowment for the Arts
(http://www.arts.endow.gov/)
National Assembly of State Arts Agencies (NASAA)
(http://www.nasaa-arts.org)
Institute of Museum and Library Services
(http://www.imls.gov/)

ტენდენციები დაფინანსების მოძიების თვალსაზრისით

ტენდენციები სხვადასხვაა დაფინანსების წყაროების, ანუ იმის მიხედვით, თუ ვინ მონაწილეობს ბიუჯეტის შედგენის პროცესში: საკუთარი ორგანიზაცია, კორპორაცია, ფონდი თუ კერძო რესურსები. გარკვეული საკითხები ყველასთვის საერთოა. დამფინანსებელი პირები დადებითად იღებენ პროექტებს, რომლებიც ფოკუსირებულია აუდიტორიაზე და ეხება დემოგრაფიას, ემყარება თანამშრომლობას, დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, რეგიონთან, რეგიონულ ქსელთან; ხელს უწყობს ინოვაციებისა და ლიდერობის გამოვლენას, ბიბლიოთეკას გარდაქმნის კულტურულ ცენტრად.

მოახდინეთ კონცენტრაცია აუდიტორიაზე: დამფინანსებლებს ყოველთვის არ სიამოვნებთ იმის მოსმენა, რომ ,,ბიბლიოთეკას სჭირდება...", მაგრამ დადებითად ხვდებიან ფრაზას: ,,საზოგადოება მოიგებს, თუ...". დაფინანსების მოძიებისას მოახდინეთ ფოკუსირება საბოლოო მოგებასა და შემოსავლებზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ შეესაბამება შედეგი დამფინანსებლის ამოცანებს.

მიმართეთ მოსახლეობას: მიუსადაგეთ თქვენი აუდიტორია პერსპექტიულ დამფინანსებელთა ინტერესს, კონცენტრირება მოახდინეთ ბიბლიოთეკის აუდიტორიის უნიკალურ ბუნებაზე.

დაეყრდენით თანამშრომლობას: თანამშრომლობა ეხმარება მომავალ დამფინანსებლებს, დაინახონ, რომ სხვა მხრიდანაც გაქვთ საზოგადოების მხარდაჭერა და საქმიანობაში ჩართულია პოტენციური თუ მიზნობრივი აუდიტორია.

დაუკავშირდით შტატის, ადგილობრივ, რეგიონულ ქსელს: ქსელში დასაქმება, მისი შექმნა ან უკვე არსებულთან თანამშრომლობა ქმნის გარემოს სწავლისთვის და ხელს უწყობს ეფექტურ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამშრომლობასთან ერთად, ქსელი გვთავაზობს საბაზისო დონეზე კავშირების შექმნის შესაძლებლობებს, რაც მიმზიდველი იქნება დამფინანსებლებისთვის.

მოახდინეთ ლიდერობის დემონსტრირება: ეცადეთ, თქვენს სფეროში იყოთ ლიდერი ორგანიზაცია თქვენი საზოგადოებისთვის; სხვადასხვა სპექტრით აჩვენეთ თქვენს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები, დაამყარეთ კავშირები; მისწვდით ჯერ კიდევ მიუწვდომელ ჯგუფებს; გამოავლინეთ მონაწილეობისთვის ახალი შესაძლებლობები.

გარდაქმენით ბიბლიოთეკა კულტურულ ცენტრად: ბიბლიოთეკა ის ორგანიზაციაა, რომლის დაფინანსება საიმედოა დამფინანსებლებისთვის. ბიბლიოთეკებს შესაძლებლობა აქვთ, ხელი შეუწყონ საზოგადოების მშენებლობას; მათ თანდაყოლილი რესურსები აქვთ ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის. დამფინანსებლის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკას უნიკალური როლი და ნიშა უჭირავს, რასაც შემდეგი მახასიათებლებიც განაპირობებს:

- საზოგადოებრივი ცენტრი;
- ადგილის შეგრძნება;
- სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- უნიკალური უნარი ემსახუროს ყველას;
- ნეიტრალურობა;
- დემოკრატიულობა;
- ბიბლიოთეკის შენობებში შექმნილი შესაბამისი სივრცე;
- ზრდასრულთა პროგრამების ზრდა საზოგადოების მოლოდინის შესაბამისად;
- კლიენტთა დიდი რაოდენობა მრავალფეროვან მოსახლეობაში.

ინფორმაცია ტენდენციებსა და დაგეგმვაზე

ფონდების (დაფინანსების) მოზიდვა თავისთავად ინდუსტრიაა. ამ თემაზე უთვალავი ვებ–გვერდი თუ ნაბეჭდი მასალები არსებობს. ხელოვნებისა და კულტურის დაფინანსების საკითხებით დაინტერესებული ბიბლიოთეკარებისთვის საინტერესო იქნება მომდევნო ვებ–გვერდები:

Chronicle of Philanthropy, ბეჭდური და ონლაინ ვერსია
http://philanthropy.com/)

Arts and Culture Fudning Report
(http://www.capitolcitypublishers.com/pubs/arts)

ეროვნული ბიბლიოთეკა

Foundation Center research
(Http://fdncenter.org/research/trends_analysis/)

American Association of Fundraising Counsel – ანგარიში „Giving USA" (ხელმისაწვდომია მხოლოდ წევრებისთვის)
(Http://www.aafrc.org/)

Philanthropy Journal
(Http://www.philanthropyjournal.org./front.asp/)

Cultural Policy and the Arts National Data Archive
(http://www.cpanda.org/)

განაცხადის დაწერა

შესაძლებლობების საპასუხოდ თქვენი იდეების ქაღალდზე გადმოტანა დაფინანსების მოზიდვის მთავარი ნაწილია. კონკურსში წარმატების მოპოვებისთვის განაცხადის წერისას გაითვალისწინეთ ყველა მოთხოვნა და სრულად ასახეთ თქვენი ინფორმაცია. ცხრილში 7-1 მოცემული რჩევები ადაპტირებულია სახელმძღვანელოდან – „საგრანტო განაცხადის დაწერა: ზოგიერთი დამხმარე რჩევა". იგი გათვალისწინებულია იმ განმცხადებლებისათვის, რომლებსაც ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის პროექტებში მონაწილეობა სურთ; მათი გაცნობა შეგიძლიათ ვებ–გვერდზე:

http://www.ala.org/ala/ppo/grantsandevents/writinggrantapps/writinggrant.htm/.

ურთიერთობები და ქსელი

ფონდების მოზიდვის სამყაროში ცნობილი გამოთქმაა, რომ ,,ადამიანები აძლევენ ადამიანებს". ისევე, როგორც ცხოვრების სხვა ასპექტში, ურთიერთობები საქმიანობაშიც მნიშვნელოვანია. ზოგჯერ ძალიან კარგი იდეა და ბრწყინვალედ დაწერილი განაცხადი საკმარისია წარმატებისთვის; მაგრამ თანმიმდევრული უნდა იყოთ დამფინანსებლებთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებისას და თქვენი დაპირებების ხარისხიანად შესრულებისას; ეს უზრუნველყოფს კარგად მართულ პროგრამებს, რომლებიც მართლაც ქმნიან განსხვავებას.

პოტენციურ დამფინანსებლებთან, დონორებთან შეხვედრასა და ურთიერთობის დამყარებას ხელს შეუწყობს თქვენს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის გამყარება, იქნება ეს ადგილობრივი ბიზნესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფლობელები, სახელოვნებო და ჰუმანიტარული ორგანიზაციების მმართველები, ფილანტროპი ინდივიდები თუ ბიბლიოთეკის თაყვანისმცემლები. ნუ დაკმაყოფილდებით პროგრამის შესახებ ინფორმაციის შეგროვებით – მეუერთდით თქვენს აუდიტორიას პროგრამის დაწყებამდე თუ მის შემდეგ. აუდიტორია საუბრისას უფრო ლაღად გამოხატავს თავის რეაქციას, აზრსა და გრძნობებს, ვიდრე წერილობითი ფორმით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია უკუკავშირის, დაფინანსებისა და ზოგადი მხარდაჭერის ძიებისას დარწმუნებული იყოთ, რომ ადამიანები რაიმე საკითხით ან თხოვნით მიმართავენ მხრუნველ და კომპეტენტურ პიროვნებას.

ნაყოფიერი ურთიერთობის შენარჩუნება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ახლის დამყარება – შესაძლოა, უფრო მეტადაც კი. არსებული თუ ახალი დამფინანსებლებისთვის საინტერესოა, ადვილია თუ არა თქვენთან მუშაობა, რამდენად ეფექტურად ახორციელებთ თქვენს განაცხადს, თუ მოიტანს სასურველ შედეგს მათ მიერ მოწოდებული რესურსები. მათ თქვენი წარმატება სურთ, რადგან ეს მათი წარმატებაც არის.

იფიქრეთ გრანტის დაწერაზე - მოთხოვნების შესაბამისად განაცხადის შევსება და პროექტის დაწერა აისბერგის მწვერვალია. წარმატების მიღწევისთვის უნდა შეისწავლოთ დამფინანსებელი ორგანიზაციების პრიორიტეტები, იზრუნოთ ახალი ურთიერთობის დამყარებასა და ძველი ურთიერთობის პოზიტიურ განვითარებაზე. იყავით მომთმენი და დაჟინებული, გამოავლინეთ სიკეთე და ყურადღება, გამოიყენეთ შესაძლებლობები პროგრესის თვალსაჩინოებისა და მადლიერების გამოსახატავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 7–1

განაცხადის შესაბამისობა მოთხოვნებთან.
თქვენი განაცხადი რომ კონკურენტუნარიანი იყოს:

1. რეცენზენტების მოწონებას იმსახურებს განაცხადი, რომელიც სრულია და ავლენს ავტორის ორგანიზებულობას. დაუთმეთ დრო განაცხადის დაწერას, მოიფიქრეთ იდეები პროგრამისთვის, ეცადეთ, მოიპოვოთ მხარდაჭერა თქვენს ბიბლიოთეკასა და თემში: ასე უფრო უკეთეს შედეგებს მიიღებთ როგორც განაცხადის განხილვის პროცესში, ისე მისი განვითარებისა და დანერგვისას.
2. ყურადღებით წაიკითხეთ განაცხადის ფორმა და, სათანადო დეტალების გათვალისწინებით, პირდაპირი პასუხი გაეცით ყველა კითხვას. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ განაცხადში ჩამოთვლილ მოთხოვნებს. მაგალითად, პმრრიეის საბიბლიოთეკო ასოციაციის მოძრავი გამოფენის – „ჯაზის ეპოქა პარიზში" – განაცხადის მონაცემებით, მხოლოდ მუსიკალური წარმოდგენები ჰუმანიტარულ პროგრამად არ ჩაითვლებოდა დამფინანსებელთა მიერ. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკებმა, რომლებმაც მხოლოდ მუსიკალური პროგრამები წარადგინეს (როგორც ჰუმანიტარული), ნაკლებად მოიპოვეს დაფინანსება.
3. განაცხადის შევსებისას გასცდით ბიბლიოთეკის ჩვეულებრივი მუშაობის ფარგლებს. თუ თქვენი განაცხადი აჩვენებს, რომ პროგრამის რეკლამირებას აპირებთ ჩვეული არხების მეშვეობით, ეყრდნობით აუდიტორიას, რომელიც ესწრება თქვენს პროგრამებს და კონცენტრირებული ხართ სტანდარტული პროგრამების ფორმატებზე, განაცხადი ვერ მოიპოვებს უპირატესობას იმ განაცხადთან შედარებით, რომელიც გვთავაზობს რეკლამირების ახალებურ სტრატეგიას ახალი აუდიტორიის მოზიდვისთვის, წარმოოვიდგენს შემოქმედებით იდეებს პროგრამებისთვის და გვიჩვენებს, რომ ბიბლიოთეკა ახალ პერსპექტივაში განხილავს პროექტს - ეს ყოველივე პროგრამის წარმატების წინაპირობაა.
4. შეაფროვეთ სარეკომენდაციო წერილები იმ ჯგუფებისგან, რომლებსაც განაცხადში ასახელებთ და რომლებთან ერთადაც გეგმავთ პროექტზე მუშაობას. მათი წარდგენა საფუძველს მატებს თქვენს განაცხადს და გვიჩვენებს, რომ შეუპოვრად მიიწევთ წარმატებისაკენ.
5. თუ თქვენი მოიმსახურების სფეროს, მიზნობრივი აუდიტორიის ან პროგრამის რომელიმე სხვა კომპონენტის აღნერისთვის სტატისტიკას იყენებთ, აუცილებლად დაასახელეთ, როგორ და სად მოიპოვეთ იგი, აზრიანად შეაფასეთ და მიუთითეთ საფუძველი.
6. დაფიქრდით ანკეტამი მოცემული ყველა შეკითხვის პასუხზე; მიერდეთ კითხვის გამეორებას: დარწმუნდით, რომ ყოველი პასუხი აღწერს დეტალებს და გვიჩვენებს თქვენს ენთუზიაზმს.
7. წარმოადგინეთ ყველა საჭირო დოკუმენტი და დანართი. მაგალითად, თუ პროექტში მეენიერის ჩართვაა საჭირო, თქვენს განაცხადს აუცილებლად დაურთეთ მისი რეზიუმე.
8. დიდი ყურადღება დაუთმეთ თქვენი განაცხადის გარეგნულ მხარეს – რამდენად გამართულია ტექსტი, იგრძნობა თუ არა თქვენი ენთუზიაზმი, დაიცავით მართლწერის წესები. შეეკითხეთ თქვენს თავს: რეცენზენტი რომ იყოთ, როგორ შთაბეჭდილებას დატოვებდა ეს განაცხადი თქვენზე? რამდენად ადვილად მიჰყვებით და გესმით ტექსტი? რამდენად მოგაწონებოდათ წარმოდგენილი პროგრამა? პუნქტების გამოყოფისთვის გამოიყენეთ მსხვილი შრიფტი, წერტილები („ბულეტები"), კურსივი და სხვა საშუალებები, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ. გამოიყენეთ მარტივი, პირდაპირი წინადადებები, შეამოწმეთ და გადაამოწმეთ მართლწერა. გამოავლინეთ თქვენი დამოკიდებულება პროექტის მიმართ.
9. ყურადღებით წაიკითხეთ განაცხადის ორიგინალური ფორმა მას შემდეგ, რაც მის შევსებას დაიწყებთ, დარწმუნდით, რომ ყველა შეკითხვას უპასუხეთ, დაურთეთ საჭირო დანართები, ყველა სათანადო ხელმოწერა ადგილზეა და ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი VIII

მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა პროგრამებისთვის

ყოველი ბიბლიოთეკა უნდა ისწრაფოდეს კოლექციის სრულყოფისთვის (სისავსისკენ) რომელიმე მიმართულებით, თუნდაც ეს ქინძისთავის ისტორია იყოს.

– ოლივერ ვენდელ ჰოლმსი, უფროსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკისა და მისი სერვისისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა მნიშვნელოვანი მიზეზია კულტურის პროგრამების პრეზენტაციისთვის. მართალია, მარკეტინგული პროგრამების პირველადი მიზანი ბიბლიოთეკის სამიზნე აუდიტორიის მოზიდვაა, მაგრამ კარგი საზოგადოებრივი ურთიერთობების შედეგი არ შემოიფარგლება თითოეულ ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობით. შეიძლება, ბევრი ადამიანი არ ესწრებოდეს თქვენს პროგრამებს, მაგრამ უნდოდეს ინფორმაციის მიღება ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ და დადებითად აფასებდეს თქვენს ძალისხმევას.

სასურველი აუდიტორიის მოზიდვისა და პროგრამების ციკლებით მისი დაინტერესებისთვის ბიბლიოთეკას სჭირდება ეფექტური სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა და დანერგვა. ამ თავში მოცემული მითითებები და მაგალითები გამიზნულია დახმარებისთვის, წარმატებული კამპანიის ჩასატარებლად. დაიმახსოვრეთ: იმისთვის, რომ კეთილგანწყობა და მხარდაჭერა ხანგრძლივად შეინარჩუნოთ, აუცილებელია ყველა სარეკლამო მასალაში სპონსორების, დამფინანსებლებისა და თანამშრომელი ორგანიზაციების დასახელება.

დავიწყოთ

მედიისა და სხვა საორგანიზაციო საკითხებისთვის განკუთვნილი ვადების შესრულებისთვის, სულ მცირე, ორი თვით ადრე დაიწყეთ ციკლების პოპულარიზაცია (იხილეთ გეგმის კალენდარი, ცხრილი 2-4, თავი II). პირველ რიგში დაადგინეთ თქვენი სამიზნე აუდიტორია (თავი 2-3), მისი სიდიდე და კომუნიკაციის საუკეთესო მეთოდები თქვენი სერიისთვის. ჩართეთ თქვენი კოლეგები პროგრამის დაგეგმვაში, ხელი შეუწყვეთ მათ ენთუზიაზმსა და ახალი იდეების განხორციელებას:

- გამოკვეთეთ ახალ კლიენტთა დასაქმების პოტენციალი და ხელი შეუწყვეთ მათ ბიბლიოთეკის მხარდაჭერის საქმეში;
- გადმოეცით მიზნები პროგრამისთვის;
- განსაზღვრეთ სამიზნე აუდიტორიები და სასურველი შედეგები;
- გააერთიანეთ მრავალმხრივი ინტერესებისა და ნიჭის მქონე კადრები მცირე, მიზანზე ორიენტირებულ ჯგუფებად;
- გაუზიარეთ პროგრამების მიზნები ბიბლიოთეკის დირექტორს, საბჭოს, მეგობრებსა და სხვა მხარდამჭერ ჯგუფებს;
- გაიზიარეთ მათი იდეები და ითანამშრომლეთ მათთან.

სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა

მთავარი სარეკლამო მასალები - ფლაერები, პრეს-რელიზები, სარეკლამო განცხადებები - კარგი საშუალებაა განსხვავებული ასაკისა და წარმომავლობის ზოგადი აუდიტორიის მოზიდვისთვის. თუმცა საზოგადოებაში შეიძლება იყოს რამდენიმე ჯგუფი, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დაინტერესდება ციკლებით. მათ შეუძლიათ ხელი შეგიწყონ და ინფორმაცია გადასცენ პროგრამებით დაინტერესებული აუდიტორიის იმ წევრებს, რომლებსაც შეუძლიათ ფინანსური ან სხვა სახის დახმარების გაწევა.

თემატიკის გათვალისწინებით ბიბლიოთეკის კულტურის პროგრამებით შეიძლება დაინტერესდნენ შემდეგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები:

- ადგილობრივი ისტორიული საზოგადოებები და ჯგუფები;
- წიგნის კლუბები;
- მწერალთა კლუბები;
- მუზეუმები, გაერთიანებები და სახელოვნებო საბჭოები;
- სავაჭრო პალატები;
- უცხოეთის ქვეყნებში ომის ვეტერანთა ხელმძღვანელები;
- ამერიკის ლეგიონერი ჯგუფები;
- უმცირესობათა ასოციაციები;
- პროფკავშირები;
- „კივანისისა“ და „როტარის“ კლუბები;
- ადგილობრივი კოლეჯები, საუნივერსიტეტო ჯგუფები ან კლასები;
- ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლების კლასები;
- ადგილობრივი დაწყებითი და უმაღლესი სკოლების მასწავლებლები, კოლეჯებისა და უნივერსიტეტების პროფესორ-თანამშრომლები;
- პროფესიული გაერთიანებები და საზოგადოებები;
- ასაკის შემსწავლელი საბჭოები;
- მოხუცებულთა ცენტრები;
- ამერიკელ პენსიონერთა ასოციაცია;
- საზოგადოებები და საგანმანათლებლო ცენტრები ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის.

ციკლების თემატიკის მიხედვით შეიძლება მრავალი ორგანიზაცია მოიზიდოს თქვენმა პროგრამამ. მაგალითად, თუ ბიბლიოთეკა მასპინძლობს ფილმების ციკლებს XX საუკუნის ტექნოლოგიების თემაზე, მას შეუძლია მიმართოს რეჟისორთა ჯგუფებს, ელექტრონული კომუნიკაციებისა და ფილმის გადამღებ ჯგუფებს, ტექნოლოგიური კომპანიების თანამშრომლებსა და კავშირებს, საინჟინრო და ტექნოლოგიურ ცენტრებს.

კომუნიკაციის მეთოდების შერჩევა

მას შემდეგ, რაც განსაზღვრეთ, თუ ვის მონაწილეობას ისურვებდით პროგრამაში, შეგიძლიათ მოიფიქროთ, რა ფორმით მიაწოდებთ მათ ინფორმაციას ღონისძიების შესახებ. კომუნიკაციის მეთოდების უმრავლესობა 4 კატეგორიად იყოფა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებასთან ურთიერთობა/განცხადებები. საგაზეთო და ჟურნალის სტატიები, განცხადებები ტელე და რადიოპროგრამებში, ვებ–გვერდებზე, ვებრეკლამა, საზოგადოებრივი სამსახურის განცხადებები, წერილები რედაქტორს;

პირდაპირი მარკეტინგი. პირდაპირი ელექტრონული ფოსტა, მასობრივი ელექტრონული მესიჯები, ვებმარკეტინგი;

პირადი კონტაქტები. პირადი შეხვედრები, საზოგადოებრივი გამოსვლების მოწყობა, ტელეფონი, იმეილები, წერილები;

რეკლამა. ნაბეჭდი რეკლამები, სატელევიზიო და რადიორგოლები, ბანერები, ფლაერები, წიგნის სანიშნები, პოსტერები, ღილაკები, ტელეჩვენებები (ეკრანზე).

საზოგადოებასთან ურთიერთობა და განცხადებები

მასობრივ აუდიტორიაში თქვენი მესიჯის გავრცელების გასაღები მედიასთან კონტაქტი და ვებით სარგებლობაა. მოვლენამდე, სულ მცირე, 2-4 კვირით ადრე გაგზავნეთ პრეს-რელიზი ადგილობრივ გაზეთებში, რადიოსადგურებსა და ტელევიზიებში (პრეს-რელიზის მაგალითისთვის იხილეთ ცხრილი 8-1). რელიზები დაუგზავნეთ იმ ადგილობრივ ჟურნალებსა და შოუებს, რომლებიც რეკლამას უკეთებენ მომავალ ღონისძიებებს. ჟურნალები ხშირად ასწრებენ სატელევიზიო და რადიოპროგრამებს და, შესაბამისად, ღონისძიებამდე 4-8 კვირით ადრე მიაწოდეთ ინფორმაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8-1 ბიბლიოთეკის გამოფენის შესახებ საინფორმაციო რელიზის მაგალითი

THE LIBRARY OF VIRGINIA

საინფორმაციო რელიზი

ვირჯინიის ბიბლიოთეკა
ელიზაბეტ I: მმართველი და ლეგენდა
18 თებერვლამდე ვირჯინიის ბიბლიოთეკაში

საკონტაქტო პირი: ჯენაის მ. ჰეჩკოკი
604/692-3592
jhathcock@lva.lib.va.us

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის

(რიჩმონდი, ვა.) – ვირჯინიის ბიბლიოთეკის საგამოფენო გალერეაში 2003 წლის 22 დეკემბერს გაიხსნება და 1 დეკემბრამდე გაგრძელდება გამოფენა:

ელიზაბეტ I: მმართველი და ლეგენდა ჩიკაგოს ნიუბერის ბიბლიოთეკის რენესანსის შემსწავლელი ცენტრისა და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ერთობლივად ორგანიზებული გამოფენა წარმოგვიდგენს ელიზაბეტს, როგორც ხელოვნების მფარველს; მის დაინტერესებას ინგლისის შესწავლითა და მსოფლიოში მისი გავლენის მოპოვებით; სამეფო ინტრიგებს, რომლის მიზანი მისი ტახტიდან ჩამოგდება იყო და ელიზაბეტის დაუქორწინებლობის მიზეზს. გამოფენაზე წარმოდგენილია სურათები რარიტეტული წიგნებიდან, ხელნაწერები, რუკები, წერილები, სურათები და არტეფაქტები ნიუბერის ბიბლიოთეკიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.

ელიზაბეტ I: მმართველი და ლეგენდა ქვეყნის მასშტაბით მოძრავი გამოფენაა, რომელიც ნიუბერის ბიბლიოთეკის რენესანსის შემსწავლელმა ცენტრმა და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისთან ერთად მოაწყო. გამოფენის იდეა გაჩნდა ამავე სახელწოდების გამოფენიდან, რომელიც ნიუბერის ბიბლიოთეკამ მოუძღვნა დედოფალი ელიზაბეტის ტახტზე ასვლისა და მისი გარდაცვალებიდან 400 წლისთავს 2003 წელს. ნიუბერის ბიბლიოთეკა საჯარო დამოუკიდებელი ჰუმანიტარული კვლევებისთვის ბიბლიოთეკაა.

აღნიშნული გამოფენის მოწყობა შესაძლებელი გახდა ,,ეროვნული ჰუმანიტარული დარგების ეროვნული მხარდაჭერისორგანიზაციის" მიერ ჰუმანიტარული დარგების განვითარებისთვის გამოყოფილი ორი ინიშვნელოვანი გრანტის მეშვეობით; ასევე, ფონდის - Vance Family Support-ისა და ილინოისის უნივერსიტეტის (ჩიკაგო) დიდი მხარდაჭერით.

ვირჯინიის ბიბლიოთეკა მდებარეობს ისტორიულ ქალაქ რიჩმონდში (800 East Broad Street). გამოფენაზე მესვლა უფასოა და იგი ღიაა საზოგადოებისთვის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე. საკითხველო დარბაზები და კოლექციები საზოგადოებისთვის ღიაა სამშაბათიდან შაბათამდე. ბიბლიოთეკის სტუმრებისთვისმოქმედებს უფასო მანქანების სადგომი ბიბლიოთეკის მიწისქვეშა სივრცეში, შესასვლელი მე-8 ან მე-9 ქუჩებიდან. უფასო ინფორმაციისა და გამოფენასთან დაკავშირებული დამატებითი პროგრამებისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.lva.lib.va.us

###

5 დეკემბერი, 2003

800 East Broad Street, Richmond, VA 23219-8000 (804) 692-3592

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შესაძლებელია, პრეს-რელიზები გაუგზავნეთ სპეციალურ კორესპონდენტს. დაუკავშირდით ადგილობრივ მედია-გამოშვებებს ვადებისა და ხელმოწერის მოთხოვნების დასადასტურებლად, ასევე იმის დასაზუსტებლად, თუ ვინ აშუქებს საზოგადოებრივ, კულტურულ და ლიტერატურულ მოვლენებს – გააგზავნეთ რელიზები ამ პიროვნების მისამართზე. თუ კონკრეტული პირის სახელი არ იცით, მოვლენის უფრო ფართო გაშუქებისთვის მიაწოდეთ პრეს-რელიზი საინფორმაციო პროგრამას, უფრო მცირე გადაცემისთვის კი რედაქტორს. მედია-გადაცემების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ფაქსით მიღებულ პრეს-რელიზებს, მაგრამ მისაღებია ელექტრონული ფოსტის ფორმაც, მით უმეტეს, თუ რელიზთან ერთად აგზავნით დამატებით მასალებს (ბრიშურები ან მოვლენის სარეკლამო ბუქმარკები).

თუ რომელიმე გამოცემა ბეჭდავს მოვლენების კალენდარს, მათაც გაუგზავნეთ პრეს-რელიზი. გამოცემები საკმაოდ ხშირად აქვეყნებენ სტატიებს მომავალი ღონისძიებების შესახებ, ხოლო მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოებრივი მოვლენების კალენდარში ათავსებენ.

ღონისძიებამდე ერთი კვირით ადრე კიდევ ერთხელ დაუგზავნეთ მედია-შეტყობინება საკონტაქტო პირებს. ინფორმაცია ღონისძიების ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ სპეციფიკურ ინფორმაციას აწვდის იმ კორესპონდენტებსა და ფოტოგრაფებს, ვინც მოისურვებს ღონისძიებაზე დასწრებას ან მომავალი მოვლენების შესახებ საგაზეთო სვეტში მის გამუქებას (ცხრილი 8-2).

ცხრილი 8-2 ინფორმაცია მედიისთვის

18 ოქტომბერი, 2003

დიკტატურის საჯარო ბიბლიოთეკა მოხარულია გაცნობოთ, რომ 2003 წლის 17 ნოემბერს გაიხსნება საინტერესო შინაარსის გამოფენა **„მუდამ თავისუფალი: აბრაამ ლინკოლნის გზა თავისუფლებისკენ"**. ბიბლიოთეკა შეირჩა ამერიკის შეერთებული შტატების 39 ბიბლიოთეკიდან და ილინოისში პირველი მასპინძლობს ამ მოძრავ გამოფენას. „მუდამ თავისუფალი"–ს ორგანიზატორია სან მარინოს (კალიფი) ჰანტინგტონის ბიბლიოთეკა; ასევე, ნიუ იორკის გილდა ლერმანის სახელობის ამერიკის ისტორიის ინსტიტუტი და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისი.

გამოფენის – „მუდამ თავისუფალი" – მოწყობა შესაძლებელი გახდა ჰუმანიტარული დარგების ეროვნული მხარდაჭერის ორგანიზაციის მნიშვნელოვანი გრანტის მეშვეობით. ძირითადად წარმოდგენილია ორიგინალური დოკუმენტები აბრაამ ლინკოლნის, სამოქალაქო ომის, გაუქმებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ ჰანტინგტონის ბიბლიოთეკასა და ნიუ იორკის გილდა ლერმანის სახელობის ამერიკის ისტორიის ინსტიტუტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ ორშაბათს, 2003 წლის 17 ნოემბერს, დღის 10 საათზე, გამოფენის გახსნის ცერემონიალზე; დართულ მედია- კიტში დამატებით გაეცნობით დაგეგმილ გამოფენასთან დაკავშირებულ სხვა პროგრამებს.

გთხოვთ, ეს ინფორმაცია გამოაქვეყნოთ გამოფენის გახსნამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

მოხარულნი ვიქნებით, თუ ვრცლად გაგვესაუბრებით ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ. გთხოვთ, დამატებითი დეტალებისთვის დაგვიკავშირდეთ: ტელ.: 217-421-9771 ან ელექტრონული ფოსტით: sdpointon@decatur.lib.il.us ვიმედოვნებთ, შემოგვიერთდებით ამ საინტერესო გამოფენის საზოგადოებისთვის წარდგენისას.

გულითადად,
სანდრა დ. ოინტონი
ზრდასრულთა განყოფილების უფროსი

ეცადეთ, ერთი-ორი დღის შემდეგ დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირებს იმაში დასარწმუნებლად, რომ მიიღეს შეტყობინება. შესაძლოა, მათ შეკითხვები ჰქონდეთ, პროგრამაზე დასწრება ან მეტი ინფორმაციის მიღება სურდეთ. ამ შემთხვევაში, დამატებითი მასალები მოამზადეთ მედია–პაკეტის (press kit) სახით; ეს შეიძლება იყოს: პრეს-რელიზის ასლი, მედია შეტყობინება, ფოტოები, წამყვანებისა და სხვა ძირითად მონაწილეთა ბიოგრაფიები, პრომოუშენის მასალები – ფლაერები, წიგნის სანიშნეები, ლინკები და ა.შ. მოვლენის შესახებ ესაუბრეთ კორესპონდენტებს, მიაწოდეთ იდეები ტექსტისთვის და შესთავაზეთ ინტერვიუ წამყვანთან (თუ დარწმუნდებით, რომ წამყვანს სურს ინტერვიუს მიცემა).

მას შემდეგ, რაც ტელე და რადიოსადგურებს მოსთხოვეს, რომ მათი საეთერო დროის გარკვეული პროცენტი დაეთმოთ არასამთავრობო და საზოგადოებრივი განცხადებებისთვის, ადგილობრივმა სადგურებმა შეიძლება მოინდომონ *საზოგადოებრივი სამსახურის განცხადების* გამოქვეყნება საბიბლიოთეკო პროგრამების შესახებ. ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი სერვისის საგენტო უფასოდ გაამუქებს ამ მოვლენას. საზოგადოებრივი სერვისის საგენტოს განცხადებების რამდენიმე ნიმუში მოცემულია ცხრილში 8-3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8-3 საზოგადოებრივი სამსახურის ანონსის ასლი

სასწრაფოდ გავრცელებისთვის
საკონტაქტო პირი: ჯენიფერ ბოლდუინი, ვ.ვ.ჰეგერტის ბიბლიოთეკა,
დრექსელის უნივერსიტეტი
215.895.2772
www.library.drexel.edu/frankenstein/

საზოგადოებრივი სამსახურის განცხადება

: 15 დაახლოებით ორი საუკუნეა, ფრანკენშტაინის ისტორიამ დაიპყრო ჩვენი წარმოსახვა და სიზმრები. მოგრძანდით დრექსელის უნივერსიტეტის ვ.ვ. ჰეგერტის ბიბლიოთეკაში, 33-ე და მარკეტის ქუჩებზე, ფილადელფიაში, რათა იხილოთ შთამაგონებელი მოძრავი გამოფენა მერი შელის წიგნის - ფრანკენშტაინის შესახებ. გამოფენა გაგრძელდება 2003 წლის 7 თებერვლიდან 21 მარტამდე.

გამოფენასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.library.drexel.edu/frankenstein/ ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 215.895.2772

: 20 ფრანკენშტაინის ისტორია ყველასთვის ცნობილია. ამბიციური მეცნიერისა და მის მიერ შექმნილი მონსტრის ამბავი დაახლოებით ორას წელს ითვლის. დრექსელის უნივერსიტეტის ვ.ვ. ჰეგერტის ბიბლიოთეკის ახალი, მოძრავი გამოფენა გთავაზობთ მერი შელის წიგნს ახალი თვალთახედვით; აგრეთვე, მის მნიშვნელობას სოციალური პასუხისმგებლობის თემაზე დისკუსიებისას. გამოფენა ასევე წარმოგვიდ-გენს ბორის კარლოფს მონსტრის როლში და მრავალფეროვან პოსტერებს ფრანკენშტაინის თემაზე შექმნილი ფილმებისთვის.
ეწვიეთ დრექსელის უნივერსიტეტის ვ.ვ. ჰეგერტის ბიბლიოთეკას 33-ე და მარკეტის ქუჩებზე ფილადელფიაში, 2003 წლის 7 თებერვლიდან 21 მარტამდე და გაიგეთ, თუ რას მოგვითხრობს ფრანკენშტაინი?

გამოფენასთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი
პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, ეწვიოთ
ჩვენს ვებ-გვერდს: www.library.drexel.edu/frankenstein/ ან დაგვიკავშირდით
ტელეფონზე: 215.895.2772

: 30 ფრანკენშტაინის ისტორია ბევრისთვის ცნობილია. მაგრამ იცით, რომ მერი შელიმ ეს მონსტრი წარმოადგინა, როგორც მგრძნობიარე, კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკითხი არსება, ეძიებდა ადამიანურ თანაგრძნობას და არ იყო უსიტყვო
მკვლელი, რომელსაც ფილმებში ვხედავთ?!
ფრანკენშტაინი არ არის მონსტრის სახელი.

დრექსელის უნივერსიტეტის ვ.ვ. ჰეგერტის ბიბლიოთეკა გიწვევთ, რომ გაეცნოთ ამბიციური მეცნიერის ვიქტორ ფრანკენშტაინისა და მის მიერ საკუთარ ლაბორატორიაში შექმნილი მონსტრის ამაღლებელ ისტორიას ღია გამოფენაზე: ფრანკენშტაინი: ბუნების საიდუმლოების შეცნობა". გამოფენა გვთავაზობს მერი შელის წიგნსა და მის მნიშვნელობას სოციალურ პასუხისმგებლობასა და ეთიკურ სამეცნიერო კვლევებზე საუბრისას; ასევე, წარმოდგენილია მსახიობი ბორის კარლოფი მონსტრის როლში და მრავალფეროვანი პოსტერები ფილმებიდან ფრანკენშტაინზე. გამოფენა წარმოდგენილი იქნება 2003 წლის 7 თებერვლიდან 21 მარტამდე. გამოფენის პარალელურად, ექვსი კვირის განმავლობაში გაიმართება საინტერესო ღია ლექციები და ფილმების ჩვენება.

ფრანკენშტაინის გამოფენა ორგანიზებული იქნა მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ჰუმანიტარული განვითარების ეროვნული ორგანიზაციისა და მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის ფინანსური დახმარებით. ადგილობრივი პროგრამებისა და ღონისძიებებისთვის დამატებითი მხარდაჭერა გაიღო პენსილვანიის ჰუმანიტარულმა საბჭომ და ფრენსის ს. ვუდის ფილადელფიის საექიმო კოლეჯის მედიცინის ისტორიის ინსტიტუტმა.

გამოფენასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილი
პროგრამების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, ეწვიოთ
ჩვენს ვებ-გვერდს: www.library.drexel.edu/frankenstein/ ან დაგვიკავშირდეთ
ტელეფონზე: 215.895.2772

„ფრანკენშტაინი: ბუნების საიდუმლოების შეცნობა"
დრექსელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები
www.library.drexel.edu/frankenstein/
frankenstein@drexel.edu
215.895.2772

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებ–გვერდით სარგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია მოვლენების რეკლამირებისთვის. თუ ბიბლიოთეკის ვებ–გვერდზე არ არის „მომავალი ღონისძიებების“ განყოფილება, დაელაპარაკეთ ვებმასტერს მისი შექმნის თაობაზე. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისთვის ვებ–გვერდი იდეალური ადგილია პროგრამების სერიის შესახებ დეტალების მოსაძიებლად. მასზე შემელბისდაგვარად ბევრი ინფორმაცია განათავსეთ (მაგალითისთვის იხილეთ ცხრილი 8-4 ინტერნეტ-რეკლამა ბაულდერის (კოლორადო) საჯარო ბიბლიოთეკიდან). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვებ–გვერდით იგებს ინფორმაციას მომავალი ან სხვა ღონისძიებების შესახებ, იშვიათად ხდება, რომ ბიბლიოთეკის ახალმა ან მომავალმა მმართველმა გარფთხილების გარეშე ნახოს ვებ–გვერდი. ვები გასაღებია ხელმძღვანელობისა და საზოგადოების წვრვებისთვის იმ ინფორმაციის მისაწოდებლად, რომლის შესახებ სხვებისგან სმენიათ, მაგრამ თარიღის, დროის, ადგილის, თემისა და სხვა საკითხების შესახებ დეტალები აინტერესებთ.

ცხრილი 8–4 ინტერნეტ-რეკლამა ბაულდერის საჯარო ბიბლიოთეკიდან



ბაულდერის საჯარო ბიბლიოთეკა, ბაულდერი, კოლორადო.

თუ თქვენ ბიბლიოთეკის ვებ–გვერდზე განათავსებთ ციკლების შესახებ ინფორმაციას, მიუთითეთ ყველა სარეკლამო მასალის ვებ–გვერდების მისამართებიც. კარგი იქნება, თუ თქვენი ბიბლიოთეკის ვებ–გვერდის საწყის მისამართს მიუთითებთ (მაგალითად, www.ala.org). ზოგიერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალას გრძელი მისამართი აქვს და მათი მითითება აუცილებელი არ არის, რადგან ბროუზერები ავტომატურად ათავსებს პრეფიქს http://-ს მისამართის წინ. თუმცა, თუ თქვენი ბიბლიოთეკის მისამართი სხვა ტიპის პრეფიქსით იწყება, მაგალითად, https://, მაშინ სჯობს, მიუთითოთ.

სხვა ორგანიზაციების ვებ–გვერდები დაგეხმარებათ ბიბლიოთეკის ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში. რა თქმა უნდა, თქვენ მოისურვებთ, განათავსოთ თქვენი ვებ–გვერდის ლინკები იმ ორგანიზაციების ვებ–გვერდებზე, რომლებთანაც თანამშრომლობთ. დამატებით, ქალაქის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრივი ცენტრები, ადგილობრივი მედია–გამოშვებები, სავაჭრო პალატები შეიძლება თავიანთ ვებ–გვერდებზე ათავსებდნენ ინფორმაციას საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. ბევრ წამყვან ვებ–გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია გასართობი ღონისძიებების და მოვლენების შესახებ, მაგალითად, citysearch.com. მასზე იპოვით ინფორმაციას რამდენიმე ქალაქში მიმდინარე მოვლენების შესახებ. თუ ასეთი ვებ–გვერდი თქვენს რეგიონში არსებობს, დაუკავშირდით მის ავტორებს და განათავსეთ თქვენი ინფორმაცია მათ ვებ–გვერდებზე. ამ საიტებიდან ბევრი უფასოდ დებს ინფორმაციას არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ.

პირდაპირი მარკეტინგი

გამოიყენეთ პირდაპირი მარკეტინგი სამიზნე ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ ჯგუფებთან დასაკავშირებლად. საზოგადოებასა და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ისარგებლეთ პირადი წერილებითა და ტელეფონით. შეიძლება გამოიყენოთ პროგრამის ფლაერი, როგორც არაფორმალური წერილი, მაგრამ დაურთეთ პირადი მიმართვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ან სხვა სახის მხარდაჭერას ითხოვთ. შეგიძლიათ, პროგრამის შესახებ იმეილით აცნობოთ საზოგადოებრივი ჯგუფების ლიდერებს, რათა განათავსონ ელექტრონული დისკუსიის საიტებზე ან გადააგზავნონ მისამართების სიაში.
საკონტაქტო ორგანიზაციებსა და სხვა წევრებთან ერთად, ინფორმაცია გაგზავნეთ თქვენთვის სასურველ კერძო პირებთანაც. თუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ელექტრონული ფოსტის მისამართები გაქვთ, გაუგზავნეთ მასობრივი შეტყობინება მომავალ ღონისძიებასთან დაკავშირებით – ეს ინფორმირების ეფექტური და იაფი საშუალებაა; თუ ელექტრონული ფოსტა არ გაქვთ, დაუგზავნეთ საფოსტო ბარათები ბიბლიოთეკის პატრონებს, საზოგადოების წევრებსა და სხვებს. მაგალითისთვის იხილეთ ცხრილი 8-5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8–5



Native Words readings by Native authors

Jim Northrup
reading with New Voices

Thursday, December 5, 7 p.m.

Black Bear Crossings at Como Lakeside Pavilion
1360 North Lexington Parkway, Saint Paul

Jim Northrup
reading with Marcie Rendon

Tuesday, December 10, 7 p.m.

Duluth Public Library
520 West Superior Street, Duluth

THE FRIENDS of the SAINT PAUL PUBLIC LIBRARY
[illegible]

Nonprofit
Organization
U.S. Postage
PAID
Saint Paul, MN
Permit [illegible]

NATIVE WORDS • NATIVE WORDS

JIM NORTHRUP

Jim Northrup, author of Rez Road Follies, Walking the Rez Road, and his latest work, Minwashtigo, is a syndicated columnist and radio commentator on Pickwick Public Radio, Fresh Air Radio, and the BBC Scotland as well. He and his family live the traditional Anishinabe life in northern Minnesota.

MARCIE R. RENDON

Marcie R. Rendon, an enrolled member of the White Earth Anishinaabe Nation, is a poet, performance artist, collaborator of NEBI Performance and one author of Raw Wild Summer and Farmer's Market (Pomelo Working Together. Rendon is one of the four authors of Minwashtigo.

NEW VOICES NATIVE YOUTH GROUP

New Voices works with emerging high school-age youth to develop their creative voice. Lead by Jean Torres, an alum of the program, New Voices is a media arts project of The Circle newspaper, which regularly publishes New Voices writing.

Native Words is presented by The Friends of the Saint Paul Public Library, Black Bear Crossings, the Duluth Public Library, Minnesota Historical Society Press, and NEBI: The Write Place. The series is made possible, in part, by funds provided by the Friends of the Saint Paul Public Library Board (SPL). Grant funding an initiative of the American Indian Library Caucus with audio support from the Minnesota Environment for Neighborhoods Radio Reader. Special thanks and the Como & Lexington Rotary Foundation.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი კონტაქტები

პირადი ურთიერთობა ინდივიდუალურ პირებსა და ჯგუფებთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური გზაა. პირადი კონტაქტები ხელს უწყობს ურთიერთგაგებას და, კომუნიკაციის სხვა მეთოდებთან შედარებით, უფრო მეტად აღვივებს ენთუზიაზმს.

შექმენით თქვენი საზოგადოების წარმომადგენელთა სია (მერი, ქალაქის საბჭოს წევრები, ბიზნეს-ლიდერები, მათ შორის, სერიით დაინტერესებული პირები); პროგრამის შესახებ დაგზავნეთ წერილი და პროგრამის ფლაერი, დათქვით შეხვედრა. თუ შეხვედრა ვერ მოხერხდა, ერთი კვირის განმავლობაში ისევ შეეხმიანეთ ადრესატს. თუ გავლენიან პირებს არ აქვთ ციკლში მონაწილეობის შესაძლებლობა, შეტყობინება სხვა სახის დახმარებას მოუტანს ბიბლიოთეკას.

საზოგადოების ჯგუფებთან კონტაქტისას, სთხოვეთმათ, რომ თავიანთ ღონისძიებებზე დამსწრეებს 5-10 წუთით გაესაუბრონ პროგრამის შესახებ. შეხვედრისას გამოყავით ზოგადი ციკლების გეგმა და წარმოადგინეთ დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმისა, თუ რატომ არის პროგრამა საინტერესო საზოგადოების წევრებისთვის.

მოიტანეთ და დაარიგეთ ფლაერები, წიგნის სანიშნეები და სხვა მასალები; თუ შესაძლებელია, შეხვედრის ბოლოს გაესაუბრეთ აუდიტორიას, უპასუხეთ მათ შეკითხვებს. თუ ეს ვერ ხერხდება, სთხოვეთ ჯგუფის ლიდერებს, დაარიგონ ფლაერები ან შეახსენეთ პროგრამის შესახებ მათ წევრებსა და თანამშრომლებს. ცხრილში 8-6 მოცემულია წერილი, რომლის ადაპტირებული ვარიანტის გაგზავნა სარეკლამო მასალებთან ერთად შეგიძლიათ საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის.

ცხრილი 8–6

სენტ ლუისის საჯარო ბიბლიოთეკა

17 ოქტომბერი, 2003

ძვირფასო ქალბატონო და ბატონო:

12 ნოემბრიდან 9 იანვრამდე, სენტ ლუისის საჯარო ბიბლიოთეკა წარმოგიდგენთ ეროვნული მასშტაბის მოგზაურ გამოფენას- "ფრანკენშტაინი:ბუნების საიდუმლოს ამოცნობა. ეს გამოფენა გვაცნობს ურჩხულსა და მეცნიერს, რომლის ისტორია გამძლე მითია მას შემდეგ, რაც მერი შელიმ თავისი წიგნი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკენშტაინი გამოსცა. გამოფენა გვიჩვენებს, თუ როგორ იქცა ფრანკენშტაინი ადამიანად შიშის სიმბოლოდ ახალი ინოვაციების, სამეცნიერო ტექნოლოგიების წინაშე, რაც წინააღმდეგობას გვიქმნის იმის გაგებისთვის, თუ რა არის "ბუნებრივი" - კლონირება, ორგანოების ტრანსპლანტაცია, გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები.

გამოფენა ვეტერანთა დღის შემდეგ გაიხსნება და 2004 წლის 9 იანვრამდე გაგრძელდება. მისი დათვალიერება შესაძლებელი იქნება ცენტრალური ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში, მეორე სართულზე. ცენტალური ბიბლიოთეკა მდებარეობს 1301 ზეთისხილის ქუჩაზე. ბიბლიოთეკის მუშაობის საათები მითითებულია დანართ ბროშურაზე. გამოფენის დათვალიერება შესაძლებელია ბიბლიოთეკის მუშაობის საათებში. გაითვალისწინეთ, რომ 17 ნოემბერს, გახსნის ცერემონიალზე ნაჩვენები იქნება ფილმების სერია ფრანკენშტაინის შესახებ, ჩატარდება ორი სხვა პროგრამაც.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მოამზადეს ბიბლიოგრაფია, რათა უფრო სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი გამოფენის თემატიკა. ბიბლიოგრაფია ვრცელია და მისი გაცნობა შეგიძლიათ ბიბლიოთეკის ვებ–გვერდზე: www.slpl.lib.mo.us.

იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ინფორმაცია დაგაინტერესებთ როგორც თქვენ, ისე თქვენს კოლეგებსა და სტუდენტებს. გიწვევთ გამოფენაზე,დაესწარით ერთ ან მეტ პროგრამას და მოიწვიეთ სხვებიც. შესაძლებელია კლასებისა და ჯგუფური ვიზიტებიც.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით იმეილზე
bmcdonald@slpl.lib.mo.us ან ტელეფონზე: 314-539-0348.

გულწრფელად,

ბრენდა მკდონალდი
ცენტრალური სამსახურის დირექტორი

პრესლერიზი

რეკლამა

მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა ძვირი სიამოვნებაა, ის ყველაზე ეფექტური საშუალებაა თქვენი პროგრამის პრომოუშენისთვის. რეკლამის სხვა ჩვეულ მეთოდთა შორის მოიაზრება სარეკლამო ფლაერები და პოსტერები, ფასიანი დახმარებები, წიგნის სანიშნეები, ღილაკები და სხვა სარეკლამო საშუალებები.

სარეკლამო ფლაერები (პატარა ფურცლები სარეკლამო ინფორმაციით) და პლაკატები მარტივი უნდა იყოს და მოიცავდეს სათაურს ან ციკლების თემას, ცხრილს, თითოეული მოვლენის სახელწოდებას ისევე, როგორც მათი ჩატარების დროს, ადგილს, წამყვანების სახელებსა და მათ მოკლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოგრაფიულ მონაცემებს; მიუთითეთ დამფინანსებელთა და პროგრამების პარტნიორთა ვინაობა და, თუ შესაძლებელია, ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიც. ფლაერები და პლაკატები გაავრცელეთ ბიბლიოთეკაში, საზოგადოებრივ ცენტრებში (ქალაქის მუნიციპალიტეტში, საფოსტო ოფისებში, სკოლებსა და ადგილობრივ კოლეჯებში, რესტორნებში, სუპერმარკეტებში, ქიმწმენდებში, წიგნის მაღაზიებში, გამაჯანსაღებელ კლუბებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში). სთხოვეთ მეგობრებსა და სანდო პირებს, დაარიგონ ფლაერები და პლაკატები თავიანთი რეგიონის მაღაზიებში. ფლაერის მაგალითისთვის იხილეთ ცხრილი 8-7.

ცხრილი 8–7



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასიანი რეკლამები ადგილობრივ გაზეთებში, რადიოსა და სატელევიზიო სადგურებში შესაძლოა ეფექტური, მაგრამ განსაკუთრებით ძვირი იყოს. ვიდრე ფასიან რეკლამას მიმართავდეთ, დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ გაზეთებს, რადიო და ტელესადგურებს საზოგადოებრივი სერვისის რეკლამებთან დაკავშირებით (როგორც უკვე ვისაუბრეთ თავში ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა და განცხადებები"). ზოგიერთმა გაზეთმა და ტელესადგურმა, შესაძლოა, თავისი სურვილით უფასოდ ან ფასდაკლებით დაუთმოს საეთერო დრო არაკომერციულ ორგანიზაციებს. საპროგრამო მასალებში სპონსორებად დაასახელეთ ის მედია–გადაცემები, რომლებიც უფასოდ გთავაზობენ რეკლამას; თუ ფასიანი რეკლამით სარგებლობთ, ხარჯების შესამცირებლად დაიხმარეთ „ბიბლიოთეკის მეგობრები" და სხვა ჯგუფები. რეკლამაში გამოხატეთ მადლიერება დაფინანსების წყაროებისა და მათი მხარდაჭერისთვის. მაგალითად, კუიჰოგას საგრაფოს (ოჰაიო) საჯარო ბიბლიოთეკამ განათავსა რეკლამა გაზეთ „Plain Dealer"–სა და ჟურნალ „Cleveland"–ში, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 8-8.

განავითარეთ მარტივი, ფინანსურად ეფექტური წიგნის სანიშნეები, ღილაკები და სხვა სარეკლამო მასალები სერიის ღონისძიებათა რეკლამირებისთვის. ასეთი მეთოდები გააორმაგებს იმ მმართველთა მხარდაჭერას, რომლებიც პროგრამებს ესწრებიან. დაარიგეთ სარეკლამო მასალები სკოლებში, საზოგადოებრივი ჯგუფების შეხვედრის ადგილებში, სხვა ადგილებსა და ღონისძიებებზე. სთხოვეთ მეგობრებს და სანდო პირებს, მიაწოდონ წიგნის სანიშნეები მეგობრებსა და კოლეგებს. კანზას სიოოს საჯარო ბიბლიოთეკამ მათი პროგრამის – „ფრანკენშტაინი: ბუნების საიდუმლოს შეცნობა" – რეკლამირებისთვის ეფექტური ბროშურა და წიგნის სანიშნე მოამზადა (ცხრილებში 8-9 და 8-10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8–8

Cuyahoga County Public Library
Presents...

"Frankenstein: Penetrating the Secrets of Nature"

Parma Regional Branch
7335 Ridge Road
440-885-5362

OPEN TO THE PUBLIC DURING LIBRARY HOURS



Over 30 free programs planned at various branch libraries. Visit www.cuyahogalibrary.org for details.

Friday, August 15, 7 p.m.
"Medical Ethics: Frankenstein to the 21st Century"

Panel discussion moderated by Robert J. White, M.D., Ph.D.

Panelists:
Professor Andrew Trew, John Carroll University
Dr. Patrick McCarthy, The Cleveland Clinic Foundation
Professor James L. Lissemore, John Carroll University
Dr. John R. Judge, physician/lawyer
Professor Kirsten Parkinson, Hiram College
Rev. Theodore E. Bell, Parma Community General Hospital

Parma Community General Hospital
7007 Powers Boulevard
free and open to the public.

This program is funded in part by the Cuyahoga Humanities, Inc.

Wednesday,
September 3, 7 p.m.

"Fortitude" by Kurt Vonnegut, Jr.

Featuring Dorothy and Reuben Silver

Beachwood Branch Library
25501 Shaker Boulevard
free. Register at
216-831-6698.

"Fortitude" is a program in a series sponsored by the Center for Literature, Medicine and the Humanities (www.hcf.org/clmh).

"Frankenstein: Penetrating the Secrets of Nature" was developed by the National Library of Medicine, in collaboration with the American Library Association. It has been made possible by major grants from the National Endowment for the Humanities, Washington, D. C., and the National Library of Medicine, Bethesda, Maryland.

Locally, the exhibit is presented with support from Parma Community General Hospital, the Parma Hospital Health Care Foundation, and the Friends of Parma Libraries.

CUYAHOGA COUNTY PUBLIC LIBRARY
"SERVING THE PEOPLE WITH PRIDE"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8–9

FRANKENSTEIN

PENETRATING THE SECRETS OF NATURE

July 23 - Sept. 5, 2003

Kansas City Public Library • 311 E. 12th St. • (816) 701-3518 • www.kclibrary.org

Visit the "Frankenstein: Penetrating the Secrets of Nature" exhibit at Main Library and take advantage of programs that will explore the nature of life, death and individual responsibility. Hollywood didn't give birth to Frankenstein; author and feminist Mary Shelley was his creator. More than a century before Boris Karloff made the monster famous here in America, a group of friends challenged Shelley to write a "terrifying tale" as part of a parlor competition. With both a waking dream and the era's scientific developments for inspiration, she wrote the ground-breaking *Frankenstein: or, The Modern Prometheus*.

Shelley's monster has fascinated and repelled audiences since his first appearance in 1818. In her novel, he is a sensitive and articulate creature who turns to violence only after he's rejected by humans. A 1923 London stage play portrayed him as a speechless creature who killed without remorse. Then, in 1931, Boris Karloff's screen performance stereotyped the monster's image and ignited the horror genre in film. Numerous *Frankenstein* films have been produced since then and the Library will explore several while the exhibit is on display. Shelley's novel, and books with related themes, will be discussed. An opening reception featuring a Shelley dramatization, a trolley tour of haunted Kansas City, author talks by Chuck Palahniuk (*Fight Club*) and Lisa Hefner Heitz (*Haunted Kansas*), a discussion about the ethics of science, a Monster Carnival and a blood drive are among other programs.

The exhibit was developed by the National Library of Medicine in collaboration with the American Library Association. It was made possible by major grants from the National Endowment for the Humanities, Washington, D.C., and the National Library of Medicine, Bethesda, Md. Area collaborators include: Community Blood Center, Midwest Bioethics Center, Rainy Day Books and Wade Williams.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 8–10



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯამება

იფიქრეთ, თუ როგორი მარკეტინგი და საზოგადოებრივი ურთიერთობის მეთოდები იმუშავებს ყველაზე უკეთ თქვენი პროგრამების სერიის, საზოგადოებისა და ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. გაითვალისწინეთ ბიუჯეტი და ხელმისაწვდომი დრო. იფიქრეთ დამგეგმავ ჯგუფზე: ამ ღონისძიებას ერთი ადამიანი მოამზადებს თუ მთელი საბჭო? გაითვალისწინეთ ადრინდელი წარუმატებლობები თუ წარმატებები თქვენთვის სავარაუდოდ უკეთესი საკომუნიკაციო მეთოდების განსაზღვრისას. შეუთავსეთ ნაცადი წარმატებული მეთოდები ახალ იდეებს.

გაითვალისწინეთ, როგორი მოცულობისა და ტიპის აუდიტორიას მოიზიდავს ციკლები. თუ ბიბლიოთეკას 50 ადამიანის მიღების საშუალება აქვს, ნუ დახარჯავთ რეკლამაზე ასობით დოლარს და რესურსები ჯონივრულად გამოიყენეთ. მოახდინეთ კონცენტრირება მხოლოდ იმ ჯგუფებსა და ინდივიდებზე, რომლებიც ყველაზე მეტად დაინტერესდებიან ამ პროგრამით. მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ საზოგადოება ფლობს ინფორმაციას ბიბლიოთეკის ღონისძიებათა შესახებ. ეს შესაძლებელია ფლაერებისა და რამდენიმე პრეს–რელიზის, მედია–შეტყობინებების გავრცელების საშუალებით; დარჩენილი დრო მოახმარეთ წერილებსა და სატელეფონო კავშირებს.

კონტრასტისთვის, თუ თქვენი მიზანია იმ 200 ადამიანის მოწვევა, რომელთაც დღემდე არ ჰქონიათ ბიბლიოთეკასთან კავშირი, სარეკლამო მუშაობა უფრო მეტ შემოქმედებითობას მოითხოვს. დახარჯეთ დამატებითი დრო და შესაძლებლობები ახალ ადამიანებთან დაკავშირებისთვის. ახალი სარეკლამო მასალების მომზადებამ ახალი გამოშვებებისა და ადგილებისთვის შეიძლება არსებითი მოგება მოგვიტანოს. საბიბლიოთეკო პროგრამებით ახალი სახეების მოზიდვას შეუდარებელი შედეგი აქვს ბიბლიოთეკის ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდასა და ბიბლიოთეკის მუდმივი ხელმძღვანელების ენთუზიაზმის ამაღლებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა

ბიბლიოთეკა ჩვენი ინტელექტის სახლია, ჩვენი ტრანსცენდენტური უნივერსიტეტი, ერთი განსხვავებით: მას არავინ ამთავრებს – ეს არავის შეუძლია და არც მოეთხოვება.

— ვართან გრეგორიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოდ წიგნებით ვერ მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას პროგრამების საჭიროებათა შესახებ. მიუხედავად იმისა, პროგრამების სფეროში ახალბედა თუ ექსპერტი ხართ, გრძელვადიანი წარმატებისთვის აუცილებელია უწყვეტი კონტაქტები, სწავლა, კოლეგებთან და ნაცნობებთან ურთიერთობა. იმისთვის, რომ მუდამ განახლებადი სამუშაო გქონდეთ, გჭირდებათ სხვადასხვა წყაროებიდან იდეების, შთაგონების წყაროების, რჩევების, ტრენინგებისა და ძირითადი პროგრამების მოძიება.

ზოგიერთი ბიბლიოთეკის მუშაობა ეძღვნება მხოლოდ მოზრდილთა პროგრამებს. როგორც წესი, ზრდასრულთა პროგრამებთან დაკავშირებული ვალდებულებები შერწყმულია სხვა სახის პასუხისმგებლობებთან, მათ შორისაა საბავშვო და საყმაწვილო პროგრამები, რეფერატები და მკითხველთა კონსულტაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობა და განვითარება.

ბევრისთვის ყოველივე ზემოხსენებულში მოიაზრება ხანგრძლივი სამუშაო დრო და პროგრამების „რეალური“ საქმიანობის ფარგლებში მოქცევის მოთხოვნილება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რთული ამოცანის შესრულებისა და დიდი საათობრივი დატვირთვით მუშაობისას კადრები პირადად იყვნენ დაინტერესებულნი პროგრამის შინაარსით და გაწეული სამსახური აუნაზღაურდეთ როგორც პროგრამის ხარისხის, ისე აუდიტორიის ჩართულობის მიხედვით.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადმინისტრაციისა და კოლეგების მხარდაჭერა გქონდეთ. ეს კი დაკავშირებულია სხვა კადრების ჩართვასთან პროგრამების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესში, აგრეთვე, მომხდარი თუ მომავალი მოვლენების პერიოდულ განხილვებთან.

სამუშაო პროცესში ჩართეთ მოხალისეები და კოლეგები, ითანამშრომლეთ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; ჩართეთ მათი წევრები მუშაობაში; შექმენით კოლეგების ქსელი, რათა ყოველთვის გქონდეთ შთაგონების წყარო. დაიმახსოვრეთ, – წარმატებას მოაქვს წარმატება. იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც კულტურის პროგრამების წარმატებას განაპირობებს, მოიაზრება:

- საპროგრამო მოქმედებებისთვის ადმინისტრაციის მხარდაჭერა;
- ყველა თანამშრომლის ინფორმირება პროგრამების შესახებ;
- პროგრამის ავტორები სიამოვნებას იღებენ ექსპერიმენტებისგან: აუდიტორიის ჩამოყალიბებას სჭირდება დრო, ცდა და შეცდომების გამოსწორება;
- თემები უნდა გამოიყენოთ პროგრამების განვითარებისა და პრომოსთვის;
- პროგრამების მიზნები კარგად და მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული;
- პროგრამის ხელმძღვანელი უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს;
- ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს რეალური მოლოდინი აუდიტორიის მოცულობისა და მრავალფეროვანი საქმიანობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსელური მუშაობა, კოლეგებთან მუდმივი თანამშრომლობა და განათლების უწყვეტი პროცესი უფრო გააადვილებს თქვენს სამუშაოს. დარეგისტრირდით ელექტრონულ დისკუსიებში, როგორებიცაა: Publib, PRtalk, ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი ოფისის სია; გაეცანით შესაბამის ვებ–გვერდებს, მაგ., ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი ოფისის ელექტრონული რესურსების ცენტრის ვებ–გვერდს (http://www.ala.org/publicprograms/orc/); დაესწარით კონფერენციებსა და სემინარებს, ასევე წიგნების, სახელოვნებო, ჰუმანიტარული ხასიათის ფესტივალებს; გაეცანით არსებულ პროფესიულ ლიტერატურას და გამოეცით ახალი!

ისიამოვნეთ იდეების ცხოვრებაში დანერგვითა და ისეთი კულტურის პროგრამების განხორციელებით, რომლებიც ნამდვილად განსხვავებულ პრეცედენტს შექმნის ადამიანებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

ხუთვარსკვლავიანი პროგრამები

საუკეთესო კულტურის პროგრამების განხორციელება შესაძლებელია ისეთი პროგრამების თანმიმდევრული თემატური სერიების წარმოდგენით, რომლებიც მისაღები იქნება თემის აუდიტორიისთვის, დაგვეხმარება მრავალფეროვანი აუდიტორიის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებისთვის კვალიფიცირებული წამყვანების წარდგენაში. სწორედ ეს კრიტერიუმები დააკმაყოფილა ამ თავში წარმოდგენილმა 10 პროგრამამ, რომელიც სხვადასხვა სიდიდისა და ტიპის ბიბლიოთეკამ მოამზადა.

ბრწყინვალე პროგრამების შექმნის ხელშემწყობი სხვა ფაქტორებია: ძლიერი ადგილობრივი პარტნიორობა (რაც ხელს უწყობს პროგრამების დაგეგმვას), ადეკვატური ფინანსური რესურსების მოპოვება, ეფექტური მარკეტინგისა და გავრცელების სტრატეგია, სასურველი რაოდენობის აუდიტორიის მოზიდვა, დაბოლოს, მისი გამორჩეულობა საზოგადოების თვალში. ამ მაგალითებს წარმოგიდგენთ იმ იმედით, რომ კულტურის პროგრამების სპეციალისტებს სტიმული მივცეთ თავიანთ ბიბლიოთეკებში პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექსიკური წარმოშობის ამერიკელი მწერლების ფესტივალი 2003
(მეშვიდე წლიური შეხვედრა)
სენტ–პოლის (მინესოტა) საჯარო ბიბლიოთეკის მეგობრები

პარტნიორი ორგანიზაციები
„ადამსის სახელობის ესპანური ენის გაღრმავების სკოლა“, „გვადალუპეს ალტერნატიული პროგრამები“, „მეტ-როპოლიტენის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი“, „მინესოტას ტყუპები“, „მეზობელი სახლი“, „რუმინატორის წიგნები“, მინესოტას უნივერსიტეტის შემოქმედებითი წერის პროგრამა და სტუმარ მწერალთა ედელშტაინ-კელერის სახელობის ხელშეწყობის ორგანიზაცია.

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
287,151 (მეტროპოლიის მოსახლეობა: 3 მილიონი)

პროგრამის აღწერილობა
ლათინურამერიკული წარმომავლობის მწერალთა ფესტივალი წარმოგვიდგენს რეგიონული და ეროვნული მასშტაბით ცნობილ მწერლებს; გასულ წლებში წარმოდგენილ მწერალთა შორის იყვნენ:
ისაბელ ალენდე, ესმერალდა სანტიაგო, ლუის როდრიგესი და ხუან ფელიპე ჰერერა, ასევე საქვეყნოდ აღიარებული მწერლები მინესოტიდან – რეი გონსა-ლესი, სანდრა ბენიტესი და ჯორჯ რაბასა.
ფესტივალი ასევე მოიცავს უმაღლესი სკოლების მოსწავლე მწერალთა პროგრამასა და „გარდაცვლილთა დღეებისადმი“ მიძღვნილ ღონისძი-ებას. ჩვეულებისამებრ, ფესტივალი ოქტომბრის დასაწყისიდან შუა ნოემბრამდე გრძელდება და იმართება რივერვიუს ფილიალის ბიბლიოთე-კაში.

ფორმატი და წამყვანები
„Chillin' with Salsa“ – შედგება კითხვის, დადგმების, ორენოვანი და ბავშვთა ნამუშევრების წარმოდგენებისგან; უძღვება ხუან ფელიპე ფერერა, მწერალი და მეცნიერი, ბავშვებისა და მოზრდილთათვის შექმნილი 19 წიგნის, მათ შორის, ლექსებისა და მოთხრობების, პროზაული ნაწარმოებებისა და დასურათე-ბული წიგნების ავტორი.
„Diario en Medellín“ – დოკუმენტური ფილმი.
მხატვრული კითხვა როგორც ახალი, ისე ჯერ დაუსრულებელი ნაწარმოებებისა – დიეგო ვასქეს უმცროსი, მწერალი და სლემ-პოეზიის მოყვარულთა კერპი.
კითხვა და გამოხმაურება – ლუის ალბერტო ურეა.
„Dias de muertos“ – ტრადიციული და ინოვაციური „offrendas“ (რიტუალური ძღვენი), პოეზია, მოთხრობები, მუსიკა „გარდაცვლილთა დღეების“ მექსიკური ტრადიციის აღსანიშნავად.
„სახლი ყველაფერი: ლათინური გეისბოლის ისტორია“ - წარმოადგინეს მწერალმა მარკოს ბრეტონმა და ფოტოგრაფმა ხოსე ლუის ვილიეგასმა, ადგილობრივი წარმოშობის გმირთან, ტონი ოლივასთან ერთად.
„ჩემი ცხოვრების ფილმები/Las peliculas de mi vida“ – ჩილელი მწერლის, რედაქტორისა და ჟურნალისტის, ალბერტო ფუგეს პრეზენტაცია.
„ჩვენი ხმა“ – ორენოვანი წარმოდგენა სტუდენტებისა და პედაგოგების მონაწილეობით თაობათაშორისი გამოცდილებისა და კულტურული სირთულეების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამის ჩატარების ადგილი

რივერვიუს ფილიალის ბიბლიოთეკა (5), გვადალუპეს ალტერნატიული პროგრამები (1), მეტროპოლიტენის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორია (1), რუმინატორის წიგნები (1).

სამიზნე აუდიტორია

პირველადი სამიზნე აუდიტორია იყო სან პაულოს ჩიკანოს/ლათინური წარმომავლობის თემი; შემდეგი კი ფართო საზოგადოება, რომელიც დაინტერესებულია ჩიკანოს/ლათინთა კულტურით.

დასწრება

დაახლოებით 1.000, მათ შორის, 30 % ჩიკანო ან ლათინოამერიკელი.
სან პაულოს მოსახლეობის 10 % ჩიკანო/ლათინური წარმომავლობისაა.

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები

სპეციალური ბროშურები/იმეილი, რეკლამა კალენდარში და ახალ ამბებში, ფლაერები ქსელის ბიბლიო-თეკებში, პრეს-რელიზები 100-ზე მეტ მედია–გამოშვებებში მეტრო-პოლიის მასშტაბით, განსაკუთრებული ადგილი ლათინური ქვეყნებისა და მეზობელი რეგიონების გაზეთებში.

ბიუჯეტი

$ 22,000; მოიცავს $13.000 საგრანტო დაფინანსებას, პირდაპირ ხარჯებს (გარდა პერსონალის ანაზღაურებისა), დაახლოებით $ 4,000 მეგობართა პირადი ფონდიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ხმები ახალ მიწაზე:
კენტუკის აპალაჩების მუსიკის დღესასწაული
აღმოსავლეთ კენტუკის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები

თანამშრომელი ორგანიზაციები

არც ერთი

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
566,768

პროგრამის აღწერილობა
საზოგადოებრივი პროგრამების სერია კენტუკის აპალაჩების მუსიკის განვითარებისთვის.

ფორმატი და წამყვანები
ლექციები, წარდგენები, მიღება; გადანერგილი ფესვები: ანგლო-კელტური წარმომავლობები; სპიკერები და წამყვანები „ღია“, „შავი“ და „ქარვისფერი“. (იგულისხმება ლუდის ფერები.)

ლექციები და წარმოდგენები, მიღება: მთის ნიადაგი, მასალები ახალი ხმისთვის, წარმოადგინეს: დოქტორმა რონ პენმა და ფოლკლორისტმა მომღერალმა ჯან რიტჩიმ.

ლექციები, წარმოდგენები და მიღება: ბლუგრასის ქსელი: „ავკრიფოთ ტემპი“, დულციმერის ოსტატი ჰომერ ლედფორდი და ,,Cabin Greek Band”.

ყოველი ლექციის კვირეულს თან ახლდა შესაბამისი ფილმების სერია.

პროგრამის ჩატარების ადგილი
ლექციები და მიღებები: საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
წარმოდგენები: საუნივერსიტეტო თეატრი

სამიზნე აუდიტორია
საუნივერსიტეტო თემის გარდა, ახლო რეგიონების აპალაჩიანთა მუსიკით დაინტერესებული მაცხოვრებლები; საბავშვო ბაღები და სკოლები 12 კლასის ჩათვლით, მუსიკისა და სოციალური მეცნიერებების მასწავლებლები და სტუდენტები; საუნივერსიტეტო თემი.

დასწრება

გადანერგილი ფესვები: ანგლო-კელტური წარმომავლობები: 250
ჯინ რიტჩი: 470
ჰომერ ლედფორდი და ,,Cabin Greek Band”: 530

მარკეტინგისა და სარეკლამო მეთოდები

სერიების პლაკატები, რომელიც დარიგდა რეგიონის სკოლებში, უნივერსამებში, მუსიკალურ მაღაზიებში, ბანკებში; რეკლამა საუნივერსიტეტო რადიოში; არაკომერციული რეკლამა რადიოთი, ხელოვნების შესახებ რეგიონის ყოველდღიურ გამოშვებაში; განცხადებები ელექტრონული ფოსტით, მათ შორის, ხმოვანი შეტყობინებები გაეგზავნათ მუსიკის მასწავლებლებსა და ოლქის სასკოლო დაწესებულებებს.

ბიუჯეტი
$ 5,750 ($ 2,100 პროგრამა „LIVE!“–ის გრანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებების პორტალი

გრინვიჩის (კონექტიკუტი) ბიბლიოთეკა, გრინვიჩი

პარტნიორი ორგანიზაციები

ურბანისტ ხელოვანთა ინიციატივები, თემის კვლევების ინსტიტუტი, გრინვიჩის გაერთიანებული გზა, კლემენტინ ლოკვუდ პეტერსონის ფონდი, გრინვიჩის ბიბლიოთეკის მაკონტროლებელი საბჭო.

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
61,101

პროგრამის აღწერილობა

6-7 ოქტომბერი, 2001: ოჯახებისთვის ორდღიანი თემატური სიმპოზიუმი კულტურის საკითხებზე, ახალგაზრდობისთვის, ბიბლიოთეკის ზრდასრულთა აუდიტორიისთვის – თემა „ჩვენს საზოგადოებაში ტრადიციისა და ცვლილებების იდეების ფართო კვლევა მუსიკაში, მითოლოგიაში, ცეკვაში, პოეზიისა და არქიტექტურაში“.

ფორმატი და წამყვანები

თემაზე პორტალებისა და ციხე-სიმაგრეების სკულპტურების წარმოდგენა (შო სტიუარტი). მონაწილეები ფიზიკურად გადაადგილდებოდნენ წარმოდგენილ ინსტალაციებში, როგორც პროგრამის თითოეულ სეგმენტში. დილისა და შუადღის სესიები, რომელსაც ერთვოდა დისკუსიები წამყვანებთან ერთად – ამბების მოყოლა, საუბრები ბავშვებთან ხელოვნების შესახებ, კომპიუტერული გრაფიკა და ვებ-დიზაინი, პოეტების საზოგადოება, საუბრები ცეკვაზე. ინდური კლასიკური ცეკვა, პერუს მუსიკის კონცერტი, მცირე პრესის გამოცემა.

პრეზენტაციები:

შუ სტიუარტი, მოქანდაკე

ბილ ბუშელი, ბერძენი მთხრობელი, კითხულობდა მოთხრობებს საბერძნეთის ისტორიიდან და მითოლოგიიდან.

ურბანისტი ხელოვანები, იაპონური კალიგრაფიის ლექციები და წარმოდგენები

კეტრინ ედი, კონფერანსიე, და კონექტიკუტელი სლემ-პოეტები

სონალ ვორა, ოდისის ინდიელთა ცეკვის წარმოდგენა რალფ ნაზარეთი, გამომცემელი, „გამომცემლობები „იუგანტა“ და Turn of River“.

მარიო სუსკო, ხორვატი ამერიკელი პოეტი, კითხვის საღამო

ინტი-ანდინი, პერუს მუსიკალური ჯგუფების წარმოდგენა

პროგრამის ჩატარების ადგილი
გრინვიჩის ბიბლიოთეკა

სამიზნე აუდიტორია

ოჯახები, თინეიჯერები, ზრდასრული ახალგაზრდები, ასაკოვნები, ხელოვანები

დასწრება
3,921

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები
Greenwich Times (ადგილობრივი ყოველდღიური გაზეთი), ვებ-გვერდი, არაკომერციული რეკლამა, ჩასმა ღონისძიებათა კალენდარში, ფლაერების დაგზავნა მთელ ქალაქში, ინტერვიუ ადგილობრივი რადიოთი, ყოველთვიური საინფორმაციო ფურცელი.

ბიუჯეტი
$ 8,861 ($ 2,000 LIVE! პროგრამის გრანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკენშტაინი: ზუნების საიდუმლოთა შეცნობა
კანზას სითის (მისური) საჯარო ბიბლიოთეკა

თანამშრომელი ორგანიზაციები

არ არის მითითებული

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
239,525

პროგრამის აღწერილობა
კანზას სითის საჯარო ბიბლიოთეკა კონცენტრირებულია საგამოფენო პროგრამებზე ზრდასრულთათვის, თუმცა, ბიბლიოთეკამ მოაწყო ,,მონსტრების კარნავალი" ახალგაზრდებისთვის, და მოთხრობების კითხვის საათები ყველა საბავშვო განყოფილებებში. პროგრამები დაიგეგმა და დაინერგა სპეციალური ,,ფრენკ ჯგუფის" მიერ (კადრების საპროგრამო კომიტეტი ზრდასრულთა პროგრამების ხელმძღვანელის ხელშეწყობით).

ფორმატი და წამყვანები

საზეიმო გახსნა: ლაპარაკობს მერი შელი – მიღება, დამოუკიდებელი საგამოფენო ტურები, ჩაუტაუკუას პრეზენტაცია – სუზან ფონტჩაკი, დენვერელი ისტორიკოსი და მსახიობი.

ლიტერატურული დისკუსიების სერია იმ ეთიკური და სოციალური პრობლემების შესახებ, რომლებიც სამეცნიერო ინოვაციებმა მოიტანა: მერი შელის ,,ფრანკენშტაინი: თანამედროვე პრომეთე", ,,დოქტორი ჯეკილი და მისტერ ჰაიდი" (რობერტ ლუის სტივენსონი), ,,ოცნებობენ ანდროიდები ელექტრონულ ცხვარზე? (ფილიპ კ. დიკი), ,,მენდელის ჯუჯა" (საიმონ მოერი) – ალან ლუბერტი, ფასილიტატორი.

მონსტრების კარნავალი – საბავშვო ბაზრობა და ფესტივალი მონსტრების თემაზე, მათ შორის, პორტრეტების ხატვა, შეჯიბრება და თამაშობები, კოსტუმირებულ გმირებთან შეხვედრა – ბიბლიოთეკარები და გმირები.

დისკუსიები ფილმების შესახებ – ჩვენება და დისკუსია თემებზე ,,ფრანკენშტაინის საპატარძლო", ,,ფრანკენშტაინის ქალიშვილი", ,,ახალგაზრდა ფრანკენშტაინი", ,,საშინელებათა სურათების ჩვენება", ,,ადამიანი–სპილო" და ,,ღმერთები და ურჩხულები" – ბობ ლანი, ფასილიტატორი.

დიზაინერი გენები – ჯანდაცვა და მომავალი – ლექციები და დისკუსიები თემაზე ,,სამეცნიერო მიღწევების გავლენა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების კლიენტებისა და მიმწოდებლების ფასეულობათა სისტემაზე" – ალან ლუბერტი, სოციალური ეთიკის სპეციალისტი, ორგანიზატორი.

კანზას სითის მოჩვენებები – მიღება და ტური ტოლეიბუსით კანსას სითის ,,სულების" ადგილებში – ბარბარა მაგერლი, ისტორიკოსი და გიდი.

სისხლის მოძრაობა – მობილური ერთეული იღებს შემოწირულობას – კანზას სითის თემის სისხლის ცენტრი. (რეკლამის გავლენით, კანზას სითის მოქალაქეებმა საკუთარი სისხლი ჩააბარეს ცენტრში. მათ მიეწოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია ძველის ტვინის
რეგისტრისა და ორგანოების დონაციის
შესახებ.

ლისა ჰეფნერ ჰეიტი: მოთხრობები
სულებზე – ავტორის პრეზენტაცია და
ავტოგრაფები წიგნზე – ლისა ჰეფნერ
ჰეიტი, ავტორი წიგნისა „Haunted
Kansas“

ჩაკ პალანიუკი: ავტორის პრეზენტაცია
– საუბარი ავტორთან და ავტოგრაფი
წიგნზე ადგილობრივ წიგნის
მაღაზიაში; კვლევა მერი შელის
თემების - განსხვავებულობის,
დეფორმაციისა და შემოქმედებითი
თავისუფლების შესახებ)

ბავშვთა მოთხრობების საათები –
ბავშვებისთვის მოთხრობების
მხატვრული კითხვა თემებზე
„ურჩხული მოდის“: ფლორენს ჰეიდის
,,ურჩხული მოდის“, ედ ემბერლის
„წადი, დიდო მწვანე ურჩხულო“;
ბავშვებმა გააკეთეს ქაღალდის
თოჯინა-ურჩხულები –
ორგანიზატორები: ბავშვთა
ბიბლიოთეკარები.

შერწყმული საუნივერსიტეტო
პროგრამები – როკჰარსტის
უნივერსიტეტმა აირჩია
,,ფრანკენშტაინი“, როგორც კამპუსში
სექტემბრის პირველ ორ კვირაში
პირველი კურსის სტუდენტებისთვის
საკითხავი ნაწარმოები.

პროგრამის ჩატარების ადგილები
მთავარი ბიბლიოთეკა

სამიზნე აუდიტორია
ზრდასრულები, თინეიჯერები, კანზას
სითის რეგიონის მცხოვრებლები,
რომლებიც დაინტერესდნენ მოძრავი
გამოფენით ,,ფრანკენშტაინი“ და
პროგრამებით სიცოცხლის,
სიკვდილისა და ინდივიდუალური
პასუხისმგებლობის ბუნების შესახებ.

დასწრება
ბიბლიოთეკაში დასწრება გამოფენის
მსვლელობისას: 38,001
პროგრამის დასწრება: 1,972

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები

ბროშურები/გზავნილები, ბუქმარკები,
მონსტრების კარნავალის პოსტერები,
მოსაწვევი „მერი შელი საუბრობს“,
პრეს-რელიზები კალენდრებისთვის,
ზოგადი შეტყობინებები მედიისთვის,
პრომო ელექტრონული ფოსტით;
სამიზნე ორგანიზაცია ,,Kansas City Star“
–ის განოფილებები და მწერლები
სპეციფიკური პროგრამებით.

ბიუჯეტი

პირდაპირი ხარჯები $ 9. 875.40
შემოწირულობა: $ 11. 960

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყნარი ოკეანის სანაპიროს ხმები

კინგის საგრაფოს საბიბლიოთეკო სისტემა

პარტნიორი ორგანიზაციები
Uwajimaya Inc.

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
1.090.968

პროგრამის აღწერილობა

15-30 სექტემბერი, 2001: პროგრამების სერიის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა აზიის/წყნარი ოკეანის აუზის კულტურისა და ამ ქვეყნებიდან ემიგრაციის შედეგად მომხდარ ცვლილებებზე კინგის საგრაფოში.

ფორმატი და პრეზენტაცია

ფესტივალის „წყნარი ოკეანეს სანაპიროს ხმები“ ფარგლებში, შესვედრა 24 ავტორთან და 50 კულტურის ღონისძიება, შაბათი, 15 სექტემბერი, 2001.

მკითხველები და წამყვანები:

სიეტლის საერთაშორისო საცეკვაო დასი (ჩინეთი)
კაზე დაიკო – ტაიკოს დასარტყამი ინსტრუმენტები (იაპონია)
ამაუტა – მუსიკა ანდებიდან (სამხრეთ ამერიკა)
ჰა ჯინი (ჩინეთი)
მოლი გლოსი (ჩრდილო-დასავლეთი)
ბრენდა პეტრსონი (წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო)
ლინდა მინატოია (წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო და იაპონია)
ფილიპ რედ აგლე (წყნარი ოკეანის სანაპიროს მკვიდრი ამერიკელები და ვიეტნამელები)
ლენსი ნამიოკა (ჩინეთი და იაპონია)
ჯენეტ ვონგი ((წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო და კორეა)
ალან ჩონგ ლაუ ((წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო)
დევიდ ჯეიმს დანკანი (შეერთებული შტატები)

კიდევ რვა
კულტურის/სახელოვნების/სახელობო პროგრამები

პროგრამების ჩატარების ადგილი

ფესტივალის დასაწყისი: ბელვიუს რეგიონული ბიბლიოთეკა
სხვა: სხვადასხვა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა და კირკლანდის თეატრალური ცენტრი

სამიზნე აუდიტორია

აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის მოსახლეობა, სტუდენტები, ფართო საზოგადოება.

დასწრება
3,479 (2001 წლის 11 სექტემბრის მომდევნო კვირაში)

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები

ამ დიდ საბიბლიოთეკო სისტემას საუკეთესო სარეკლამო მეთოდები აქვს. მისი რეკლამა მოიცავს ვებ–გვერდის ლინკებს და გრაფიკებს, ფერად პლაკატებს, ბროშურების გზავნილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამების ბუკლეტებს, ახალი ამბების შეტყობინებებს, ინფორმაციებს ჟურნალისთვის, არაკომერციული რეკლამას (PSA), პრეს-რელიზებს, იმეილებს, ინფორმაციას კალენდრისთვის, პიარის შეტყობინებებს, ყოველდღიური, ყოველკვირეული გაზეთებისა და რეგიონული ყოველთვიური გამოცემებისთვის სატელეფონო შეტყობინებებს, ფასიან რეკლამას სიეტლის ყოველკვირეულ და რეგიონულ გაზეთებში, ფასიან რეკლამას რადიოში, მედია-რეკლამას ქუჩებში კინგის საგრაფოს საბიბლიოთეკო სისტემის სატვირთო მანქანებითა და რეკლამას კინგის საგრაფოს ავტობუსებზე.

ბიუჯეტი
$60,500 ($3,000 პროგრამა „LIVE!"–ის გრანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისთვის! 11 სექტემბერი: კითხულობს და მსჯელობს მეინის თემი

მეინის ბიბლიოთეკები

პარტნიორი ორგანიზაციები
მეინის ჰუმანიტარული საბჭო და 63 ბიბლიოთეკა, მეინის სახელმწიფო ბიბლიოთეკისა და სასწავლო წრის რესურსების ცენტრის დახმარებით. ტოპსფილდის ფოდნის პროექტი.
საბიბლიოთეკო მომსახურების არეალი
არ არის მითითებული. (მეინის მოსახლეობაა 1.3 მილიონი.)

პროგრამის აღწერილობა
2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენიდან ერთი თვის შემდეგ, მეინის მცხოვრებლები შეიკრიბნენ ადგილობრივ ბიბლიოთეკებში, რათა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებები ამ ტრაგიკული დღისა და მისი შედეგების შესახებ. მონაწილეებმა წაიკითხეს ამონარიდები ფრანკლინ დ.რუზველტის ოთხი გამოსვლიდან თავისუფლების შესახებ და ვ. ჰ. უდენის პოემა „1 სექტემბერი, 1939" ნაწარმოების მოკლე ისტორიული ექსკურსის დამატებით.

ფორმატი და წამყვანები
სადისკუსიო პროგრამები ერთდროულად ჩატარდა შტატის ყველა ბიბლიოთეკაში, 2001 წლის 11 ოქტომბერს, 19:00-20:30 სთ–ზე. დისკუსიებს უძღვებოდნენ მეცნიერები და სხვა გამოცდილი ფასილიტატორები, გამოყენებული იქნა გზამკვლევები ყველა იმ საიტისთვის, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მეინის ჰუმანიტარული საბჭოს ვებ-გვერდის სამუალებით.

პროგრამის ჩატრების ადგილი
ადგილობრივი საჯარო ბიბლიოთეკები შტატის მასშტაბით

სამიზნე აუდიტორია
მითითებული არ არის.

დასწრება
მეინის 1000-ზე მეტმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა კითხვის საღამოში, რომელიც მეინის შტატის 63 ბიბლიოთეკაში მოეწყო.

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები
მასალები მიწოდებულ იქნა ვებ-გვერდის მემვეობით.

ბიუჯეტი მითითებული არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაზის ერა პარიზში: 1914-1940

მისოულას (მონტანა) საჯარო ბიბლიოთეკა

პარტნიორი ორგანიზაციები
მონტანას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სმითსონის ინსტიტუტის „მოძრავი გამოფენების სერვისი“ (SITES).

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
95, 802

პროგრამის აღწერილობა
მოზაურ გამოფენას მხარს უჭერდა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია და სმითსონის ინსტიტუტის საგამოფენო განყოფილება; მისოულას საჯარო ბიბლიოთეკამ წარმოადგინა პროგრამების ძალზე ფართო სპექტრი – ლექციები, კონცერტები, დადგმები, რადიო პროგრამები და შესაბამისი გამოფენები. მომზადდა ყველა ლექციის აუდიო - ან ვიდეო ჩანაწერი და დაემატა მონტანას უნივერსიტეტის მედია-სერვისის კოლექციას. პროგრამებს ფართო აუდიტორია დაესწრო.

ფორმატი და წამყვანები
ჯაზი, როგორც დემოკრატიის მეტაფორა – წინასაგამოფენო ლექცია მონტანას უნივერსიტეტში – დოქტორი ბილი ტეილორი (800 დამსწრე).

ჯაზის სემინარი შუადღეს – ბილ ტეილორი (200 დამსწრე).

ჯაზ-კონცერტი – ბილ ტეილორის ტრიო (750 დამსწრე).

გამოფენის გახსნა, მიღების ცერემონიალი ბიბლიოთეკაში – რეგთაიმი და ვიდეო- გამოფენა.

ლექციების სერია თემებზე „ჰემინგუეი პარიზში“, ჯაზი ფრანკოფონთა ლიტერატურაში, ჯანგო რაინჰარდტის ცხოვრება, ჯაზის ეპოქის ცეკვა, ჯაზის ეპოქა ამერიკაში, შტაინი, პიკასო, ლუის არმსტრონგი, სიდნეი ბეშეტის ცხოვრება, ჯაზისა და ბლუზის მოტივები სარტრის „გულზიდვაში“, ახალი აღქმები, ახალი პარადიგმები, ჯაზი და კინემატოგრაფიის „ახალი ტალღა“ და პარიზი და კერძები – წამყვანები იყვნენ მეცნიერები მონტანასა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტებიდან, მათ შორის, დოქტორი უილიამს ბევისი, გერი ბრენერი, სილვია კენდი, უილიამ ქნოულსი, მაიკლ მაიერი, ჭრის ანდერსონი, მაიკლ ვალენტინი, გარი კერი;

ორი გამოფენა ჯაზის თემაზე – მონტანას უნივერსიტეტის ნატიფი ხელოვნების მუზეუმის გამოფენა მთავარი გამოფენის პარალელურად (5,000 დამთვალიერებელი);

ორი კონცერტი ახალგაზრდების მონაწილეობით – გერშვინის „ამერიკელი პარიზში“ – მისოულას სიმფონიური ორკესტრი (დაესწრო 1.800 მეოთხეკურსელი);
ჰარლემი პარიზში – კვირა შუადღის საკვირაო ჯაზ-პროგრამა, ჯაზის ეპოქის თემატიკით, წარმოდგენილია KUFM–მონტანას სახოგადოებრივი რადიოს მიერ მთელი საგამოფენო პერიოდის განმავლობაში;

ჯაზ-კონცერტები – მონტანას უნივერსიტეტის ჯაზ-ბენდის მონაწილეობით, საჯარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში გამოფენას აფორმებდა კალგარის ჯაზის საქსოფონის კვარტეტი და მისოულას საგრაფოს უმაღლესი სკოლის ჯაზ ბენდი;
ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობების სალამი – მონტანას სარეპერტუარო თეატრი (472 დამსწრე)
გამოფენა ჯაზის ეპოქაში
ადგილობრივი თემის ცხოვრების შესახებ – ისტორიული მუზეუმი ფორტ მისოულაში (900 დამსწრე, მათი ერთი მესამედი ბავშვები იყო).

პროგრამის ჩატარების ადგილი
9 ლექცია საჯარო ბიბლიოთეკაში, ერთი – უნივერსიტეტში. სხვები, როგორც ზემოთ არის მითითებული. ბილი ტილორის ღონისძიებები უნივერსიტეტში.

სამიზნე აუდიტორია
დასავლეთ მონტანას ახალგაზრდა აუდიტორია, რომელიც მოიცავს სკოლის მოსწავლეებს საგრაფოს რეგიონიდან, მათ შორის, ჰმონგი, მკვიდრი ამერიკელები, ემიგრანტები საბჭოთა ბლოკიდან, 1500 მოსწავლე იმ კატეგორიის სკოლებიდან, რომლებიც ემსახურება ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობას.

დასწრება
გამოფენის დამთვალიერებლები: 16 000
პროგრამის დასწრება: 13 ლექციას დასწრო 1,414 ადამიანი
დამსწრეთა სხვა მაჩვენებლები მოცემულია ზემოთ, პროგრამების აღწერილობაში.

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები
დიდმასშტაბიანი რეგიონული სარეკლამო კამპანია მოიცავდა საგაზეთო რეკლამებს, განცხადებებს რადიოში, სატელევიზიო რგოლებს, ინფორმაციას ახალ ამბებში, პრეს-რელიზებს ორგანიზაციების ფართო სპექტრისთვის მთელს ქალაქსა და საუნივერსიტეტო ეროობაში. ადგილობრივმა საზოგადოებრივმა რადიოსადგურმა KUFM–მა დიდი რეკლამა გაუკეთა პროგრამას და გამოფენას, შექმნა მუსიკალური პროგრამები გამოფენის დამატებად. საჯარო და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკამ მოამზადა ზრდასრულთა და ბავშვთა მასალების ბიბლიოგრაფიები. უნივერსიტეტის ბიბლიოგრაფია მიეწოდა კამპუსს, ადგილობრივ წიგნის მაღაზიებს და წარმოდგენილი იყო ყველა პროგრამაზე; ასევე განთავსდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე მიწოდებული ანკეტების მიხედვით, აუდიტორიის ნახევარი მანამდე არც ერთ საბიბლიოთეკო პროგრამას არ დასწრებია. მათი საერთო რაოდენობის 12%, ვინც სტუმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა, მისოულის რეგიონის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს.

ბიუჯეტი
$22.929 პირდაპირი ხარჯები, $4,371 არაპირდაპირი დაფინანსება მონტანას ჰუმანიტარული კომიტეტიდან, მონტანას უნივერსიტეტის პრეზიდენტის ლექციების სერია, უნივერსიტეტის ფონდი, საზოგადოებრივი რადიო KUFM, მანსფელდის ბიბლიოთეკის მეგობრები, მისოულას საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, მისოულას საჯარო ბიბლიოთეკის მეგობრები, „UM Productions“, „Holiday in Parkside“, „Budget Travel“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ექსპერიმენტი:
ჯორჯ ვაშინგტონი და ამერიკული რესპუბლიკა
ლუდონვილის (ოჰაიო) საჯარო ბიბლიოთეკა

პარტნიორი ორგანიზაციები
ოჰაიოს ჰუმანიტარული საბჭო,
ლუდონვილის სკაუტები,
ჰანტინგტონის ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
10,000

პროგრამის აღწერილობა
ბიბლიოთეკა მასპინძლობდა 12 პროგრამასა და დამატებითი ღონისძიებების სერიებს, მოვლენებს, რომლებიც მოეწყო ჯორჯ ვაშინგტონისადმი მიძღვნილ ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის „მოძრავი გამოფენის“ პარალელურად.

ფორმატი და წამყვანები
გახსნის ცერემონიალი და მიღება – კენ ჰემონტრი.

ჯორჯ ვაშინგტონის ამბის დღესასწაული – მოთხრობის დრო – ლორა ლი უილსონი.

ვერნონის მთა სურათებში – სლაიდების ჩვენება – კოლინ სენდასკი.

უზენაესი სასამართლო და საზოგადოებრივი პოლიტიკა ჯორჯ ვაშინგტონის დროს – ლექცია – დოქტორი შერმან ჯექსონი.

პრეზენტაცია როტარის ლანჩზე – გეილ პეტონი.

ჯორჯ ვაშინგტონი ოჯახური კითხვის საღამო – ინტერაქტიური მულტიმედია *პრეზენტაცია* – ლორა ლი უილსონი.

რელიკვიური მკვნარეები – დისკუსია – ჩარლზ ეფელგეიტი კინგვუდის ცენტრიდან.

ჯორჯ ვაშინგტონის ამბავი/ტური ლორა ლი უილსონთან და კოლინ სენდასკისთან ერთად.

შეხვედრა ჯორჯ ვაშინგტონთან – პრეზენტაცია პირველ პირში – კენ ჰემონტრი.

მულტიმედიური პრეზენტაცია ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უმაღლეს სკოლაში – კოლინ სენდასკი.

მოთხრობების დრო ლუდონვილის სემინარების ცენტრში – ლორა ლი უილსონი.

შეჯიბრი გაფერადებაში საბავშვო ბაღის მოსწავლეებისა და პირველკლასელებისთვის

შეჯიბრი ილუსტრაციებში II-VI კლასის მოსწავლეებისთვის

შეჯიბრი თხზულების წერაში საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის

შეჯიბრი თხზულების წერაში უფროსკლასელებისათვის

გამოფენის დათვალიერება კლასებისა და სკოლების მიერ, სკოლებისთვის სასწავლო მასალების მიწოდება.

პროგრამის ჩატარების ადგილი

ძირითადად, ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამიზნე აუდიტორია
მითითებული არ არის

დასწრება
აღრიცხვა შესასვლელში: 15, 215;
გამოფენის დამთვალიერებელი: 2.093.

პროგრამებზე: 144 ზრდასრული, 43 ახალგაზრდა ზრდასრული, 380 ბავშვი, 943 სკოლის მოსწავლე.

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები
ახალი ამბების გამოშვება და სტატიები ადგილობრივ გაზეთებში, ფლაერები, ვებ-გვერდები, შეჯიბრებები, პირადი შეხვედრები, მუშაობა ადგილობრივ სკოლებთან, სამოქალაქო ჯგუფები, კოლეჯები, ჰუმანიტარული ორგანიზაციები.

ბიუჯეტი
ასა-ს საგამოფენო დაფინანსებასა და ბიბლიოთეკის დანახარჯებთან ერთად გარე რესურსებიდან შემოვიდა $780.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუსმინოთ პრერიებს

ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

პარტნიორი ორგანიზაციები
სმითსონის ინსტიტუტის
საბუნებისმეტყველო ისტორიის
მუზეუმი, აშშ-ს სოფლის მეურნეობის
დეპარტამენტი

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი

სტილვოთერის კამპუსი აერთიანებს 22 000 სტუდენტს და აქვს დაახლოებით 1,100 სრული საათობრივი დატვირთვის შესაბამისი ფაკულტეტი და კადრები.
დამატებით, სტუდენტების, პროფესორების, ბიბლიოთეკის მომსახურებისთვის, როგორც საგრანტო ორგანიზაცია, შტატის მასშტაბით ემსახურება ოკლაჰომაში მცხოვრებ 3 მილიონიან თემს.

ფორმატი და წამყვანები

ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და დირექტორთა საბჭოს მეგობართა წინასწარი შეხვედრა.

სიმპოზიუმი და გახსნის ცერემონიალი.

დაუფასებელი სილამაზე: ბალახი და საძოვრები – ლანჩი/ლექცია-პრეზენტაცია დოქტორი რონ ტირლი, ბოტანიკის მეცნიერებათა პროფესორი, ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კავშირი პრერიებთან – პროგრამა ახალგაზრდა სკაუტი გოგონებისთვის (4-6 კლასები) გოგონა სკაუტების „მაგიური იმპერიის საბჭო" – ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბოტანიკოსთა საზოგადოება, და „Eco-OSU" (ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიური ორგანიზაცია).

სამეცნიერო ღონისძიებები ფერადკანიანთა ეკოლოგიური აკადემიის მესაზე – ლანჩი, სლაიდშოუ/ლექცია-პრეზენტაცია – გრეგ ფედერკო, სტილვოთერის უმაღლესი სკოლის სტუდენტი, ფერადკანიანთა ეკოლოგიური აკადემიის მესის მონაწილე; მარკ მოზლი, ბუნებრივი რესურსების დაცვის განყოფილება; დოქტორი ქრისტინ მოზლი, ასოცირებული პროფესორი, ლიდერობის სკოლა, ოკლაჰომას უნივერსიტეტი.

დიდი სტეპები: ლანდშაფტის რომანტიკა – სლაიდების ჩვენება/ლექცია-პრეზენტაცია – დოქტორი რომ აისერნი, ისტორიის მეცნიერებათა პროფესორი, ჩრდილოეთ დაკოტას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხორბლის მოსავალი - ლანჩი, სლაიდშოუ/ლექცია-პრეზენტაცია-ლინ რორსი, ვიჩიტას ხორბლის მთესველთა გილდია.
ადამიანი და ბალახები: ინტიმური ურთიერთობა – ლანჩი, სლაიდი/ ლექცია-პრეზენტაცია – დოქტორი რონ ტირლი, ბოტანიკის მეცნიერებათა პროფესორი, ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამის ჩატარების ადგილი

ბიბლიოთეკის ინტერნეტ–კლასი

სამიზნე აუდიტორია

ყველა პროგრამა გამიზნული იყო ზოგადი პუბლიკისთვის, გარდა სკაუტი გოგონებისთვის ჩატარებული სემინარისა (4-6 კლასების მოსწავლეები და მათი ხელმძღვანელები).

დასწრება

გამოფენის დამთვალიერებლები: 12, 961
საგამოფენო პერიოდში ბიბლიოთეკის ვიზიტორთა საერთო რაოდენობა: 187,382
პროგრამაზე დასწრება: 741

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები

ვებ-გვერდი, ჯგუფებთან დაკავშირება, პროგრამის ფლაერები, შეკვეთილი ბროშურები, მოსაწვევები სპეციალურ ღონისძიებებზე, კამპუსის საინფორმაციო ფურცელი, არაკომერციული რეკლამა საზოგადოებრივ რადიოში, ყოველდღიური გაზეთი.

ბიუჯეტი

ნაღდი და არაპირდაპირი შემოსავალი: $21,225; აგრიკულტურის და ბუნებრივი რესურსების განყოფილება, ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა; ოკლაჰომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მეგობრები; მაღაზიათა ქსელი „უოლ-მარტი“ (Wal-Mart).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგული გეოგრაფია და საკუთარი თავის პოვნა
ფილადელფიის ღია ბიბლიოთეკა

პარტნიორი ორგანიზაციები
ყველა ბიბლიოთეკამ, რომელიც წარმოდგენას მასპინძლობდა, პარტნიორული ურთიერთობა დაამყარა თემის შესაბამის ჯგუფებთან (როგორებიცაა, ნიუმანის ხანდაზმულთა ცენტრი, მარლოს წიგნის მაღაზია, ჯერმანთაუნის ისტორიული საზოგადოება).

ბიბლიოთეკის მომსახურების არეალი
1,5 მილიონი

პროგრამის აღწერილობა
21 აპრილიდან 9 მაისამდე: სამმა ავტორმა ჩაატარა სამი ლექცია, კითხვის საღამო ან მოაწყო ლიტერატურული დისკუსია საზოგადოებისთვის. ამ პოპულარული ემიგრანტი ავტორების გამოცდილება და ლიტერატურული ნაშრომი კარგად ასახავს რეზიდენტთა პირად ისტორიებს ფილადელფიის ეთნიკურ გარემოში. ავტორთა პრეზენტაციებმა გამოკვეთა კულტურის სიამაყისა და ეთნიკური იდენტურობის მნიშვნელობა. საზოგადოება დაინტერესდა ამ ავტორების ნაწარმოებებით, დამსწრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება.

ფორმატი და წამყვანები
ლექციები და დისკუსიები კენ კალფუსის, ნაომი შიჰაბ ნაისა და კრეგ ლესლის მონაწილეობით.

წერითი ვორკშოპები, ლექციები, ლიტერატურული დისკუსიები ილენ რენშოს, ნორა ფეინბერგის, იგორ კაპლანის მონაწილეობით.

პროგრამის ჩატარების ადგილი
ცენტრალური ბიბლიოთეკა, ჩრდილო–აღმოსავლეთის რეგიონული ბიბლიოთეკა, დევიდ ნიუმანის ხანდაზმულთა ცენტრი.

სამიზნე აუდიტორია
თინეიჯერები, ხანდაზმულები, ემიგრანტთა ჯგუფები, ფართო საზოგადოება.

დასწრება
884

მარკეტინგისა და რეკლამის მეთოდები
არაკომერციული რეკლამა, ორენოვანი პრეს-რელიზები, კალენდარი, ორენოვანი ფლაერები და ბუქმარკები, შეტყობინება რუსულ პრესასა და ინგლისურენოვან პრესასთან, პარტნიორი ორგანიზაციებისთვის სარეკლამო მასალების მიწოდება, პროგრამაზე წიგნების სიების დარიგება, რომელშიც ასევე მოცემულია ინფორმაცია მომავალი პროგრამების შესახებ.

ბიუჯეტი
$14,088 ($2.250 პროგრამა „LIVE!“–ის გრანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

ამ ჩამონათვალში მოცემულია ნაშრომები, რომელიც ციტირებულია ტექსტში ან გამოყენებულია წიგნის შექმნის პროცესში:
(სახელწოდებები არ ვთარგმნეთ, რადგან ეს მასალები ქართულად თარგმნილი არ არის (მ.ს.)

American Library Association Public Information Office. 1987. *PR primer.* Chicago: American Library Association.

American Library Association Public Programs Office (ALA/PPO). 1994. *The whole person catalog 3: The source for information about arts and humanities programming in libraries.* Ed. Susan Brandehoff. Chicago: American Library Association.

---------- . 1998. *LIVE! @ The library: Workshop notebook.* Chicago: American Library Association Public programs Office.

---------- . 1999a. *Cultural programs for adults in public libraries: A survey report.* Prepared by Debra Wilcox Johnson. Chicago: American Library Association Public Programs Office.

----------. 1999b. *Let's talk about it* tip sheet. Chicago: American Library Association Public Information Office.

Brandehoff, Susan. 1997. Turning libraries into cultural centers. *American Libraries* (March):41-43.

Candy, Philip C. 1991. *Self-direction for lifelong learning: A comprehensive guide to theory and practice.* San Francisco: Jossey-Bass.

de la Peña McCook, Kathleen. 2000a. *A place at the table: Participating in community building.* Chicago: American Library Association.

----------. 2000b. Librarians and comprehensive community initiatives. *Reference and User Services Quarterly* 40 (Fall): 24-31.

----------. 2001. Authentic discourse as a means of connection between public library service responses and community–building initiatives. *Reference and User Services Quarterly* 41 (winter): 127-33.

Geever, Jane C., and Patricia McNeill. 1997. *The Foundation Center's guide to proposal writing*, rev. ed. New York: Foundation Center.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Hayes Laura, 2002. Coping, view 1: Programs Laudable. *American Libraries* (September): 35.

Heim, Kathleen M., and Danny P. Wallace, eds. 1990. *Adult Services: An enduring focus for public libraries*. Chicago: American Library Association.

Lear, Brett.W. 2002. Adult programs in the Library. Chicago: American Library Association.

McCarthy, Kevin F., and Kimberly Jinnett. 2001. *A new framework for building participation in the arts*. Santa Monica, CA: Rand.

Miller, Berna. 1997. The quest for lifelong learning. American Demographics (March):20-22.

Miner, Lynn E., et al. 1998. Proposal planning and writing, 2nd ed. Phoenix: Oryx Press.

Monroe, Margaret E. 1981. The cultural role of the public library. In vol. 11 of *Advances in Librarianship*, ed. Michael H. Harris. New York: Academic Press.

Moores, Alan, and Rhea Rubin. 1984. Lt's talk about it: A Planner's manual. Chicago: American Library Association.

National Endowment for the Arts 1998. 1997 Survey of public participation in the arts. NEA Research Division Report no. 39. Washington, DC: National Endowment for the Arts.

Outcome Evaluation toolkit: How Libraries and Librarians help. Project Directors: Joan C. Durrance and Karen Pettigrew-Fisher. (http://ibec.ischool.washington.edu/ibecCat.aspx?subCat=Outcome%20Toolkit&cat=Tools%20and%20Resources)

Putnam, Robert D. 2000. *Bowling alone: The collapse and revival of American community*. New York: Simon and Schuster.

Quick, Sam et al. 1984. Sharing our selves: A basis for lifelong learning. The Futurist (June): 20-22.

Rifkin, Jeremy. 1995. The end of Work: The decline of the global labor force and the dawn of the post-market era. New York: Putnam.

----------.2000. The age of access: The new culture of hyper capitalism where all of life is a paid-for experience. New York: Penguin/Putnam.

Robertson, Deb. 2002. Oprah and out: Libraries keep book clubs flourishing. American Libraries (September): 52-53.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Rubin, Rhea Joyce. 1997. Humanities programming: A how-to-do-it manual. How-to-do-it manuals for librarians, no.72. New York: Neal-Schuman.

Van Fleet, Connie, and Douglas Raber. 1990. The public Library as a social/cultural institution: Alternative perspectives and changing contexts. In Adult Services: An enduring focus for public libraries, ed. Kathleen M. Heim and Danny P. Wallace, 456-500. Chicago: American Library Association.

Wallace, Danny p.1990. The Character of Adult services in the eighties: Overview and analysis of the ASE questionnaire data. In Adult services: An enduring focus for public libraries, ed. Kathleen M. Heim and Danny P. Wallace, 27-165. Chicago: American Library Association.

Wiegand, Wayne A. 2003. To reposition a research agenda: What American studies can teach the LIS community about the library in the life of the user. Library Quarterly 73 (4):369-82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებორა ა. რობერტსონი ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის დამარსებელი და მისი ხელმძღვანელი 1990 წლიდან. მას შემდეგ მათი აუდიტორია 10 მილიონ წევრამდე გაიზარდა. რობერტსონს ეკუთვნის ეროვნული მასშტაბის 20-ზე მეტი პროგრამა და ინიციატივა, მათ შორის, მომრავი გამოფენები, კითხვისა და დისკუსიის პროგრამების ციკლები, საგანმანათლებლო და კულტურის პროგრამები. რობერტსონი საბიბლიოთეკო პროგრამების სფეროში მრჩეველია ისეთი ორგანიზაციებისა, როგორებიცაა: სმითსონის ინსტიტუტი, საზოგადოებრივი მაუწყებლობა, *პოეზიის ფონდი*, ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციასთან არსებული *ამერიკულ მწერალთა ხმა* და ბრაუნის უნივერსიტეტი. იგი ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის პოპულარული წარმომადგენელია ეროვნული, დარგობრივი ხასიათისა თუ შტატის საბიბლიოთეკო ასოციაციის კონფერენციებზე.

მრავალფეროვანი, ხარისხიანი კულტურის პროგრამების შექმნა ერთგვარი გასაღებია იმ ბიბლიოთეკისთვის, რომელსაც სურს სრულფასოვნად შეასრულოს თავისი მისია – ხელი შეუწყოს საზოგადოების აქტიურ ჩართვას კულტურულ დიალოგში. ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის საზოგადოებრივი პროგრამების ოფისის დირექტორი, დებორა ა. რობერტსონი წიგნში – „კულტურის პროგრამები ბიბლიოთეკებისათვის“ - წარმოგვიდგენს წარმატებულ სტრატეგიებსა და საბიბლიოთეკო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითებს.

ბიბლიოთეკარები, თანამშრომლები და მოხალისეები გაეცნობიან პრაქტიკულ რჩევებს მრავალფეროვანი კულტურის პროგრამების შექმნისთვის - იქნება ეს დაგეგმვა, დაფინანსება თუ პრომო. ეს ავტორიტეტული რესურსი გვიჩვენებს ყველა იმ ეტაპს, რომლის გავლაც საზოგადოების არსებული მოთხოვნილებების შესასწავლად და შესაბამისი შედეგების მისაღწევად გვჭირდება. წიგნის ყოველ თავში მოცემული მარკეტინგისა და პრომოუშენის მაგალითები შემოქმედებით შთაგონებას იწვევს და გვეხმარება ბიბლიოთეკის, როგორც საზოგადოებრივ - კულტურის ცენტრის განვითარებაში.

„ხუთვარსკვლავიანი“ პროგრამის 10 მაგალითი გვიჩვენებს სხვადასხვა სიდიდის აუდიტორიისთვის მომზადებულ და სხვადასხვა ღირებულების მქონე პოპულარულ ღონისძიებებს, რაც დაგეხმარებათ თქვენი ბიბლიოთეკის რესურსების სწორად გამოყენებაში.

ამ წარმატებული მოდელების გათვალისწინების შედეგად, მაღალი ხარისხის, კარგი დასწრების მქონე პროგრამებით თქვენი ბიბლიოთეკა საზოგადოებრივ მხარდაჭერას მოიპოვებს და უფრო თვალსაჩინოს გახდის მის საქმიანობას. ამ ავტორიტეტული რესურსით სარგებლობა უნარების განვითარების, ეფექტურობის ამაღლებისა და შემოქმედებითი ხედვის გაფართოებისთვის ნებისმიერი სიდიდის ბიბლიოთეკის კულტურის პროგრამების ორგანიზატორებს შეუძლიათ. ყოველივე ეს ხელს შეგვიწყობს მომგებიანი კულტურის პროგრამების განვითარებაში.

4
สำนักหอสมุดกลาง
มหาวิทยาลัยศิลปากร

9 789941 916069